http://www.tsu.ge/newspaper

# თბილისის უნივერსიტეტი

20 დეკემბერი
ოთხშაბათი
N6 (2051)
2006 წელი

ივანე ჯავახიშვილის
იუბილისადმი
მიძღვნილი ნომერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან ფასი 30 თეთრი

# უნივერსიტეტი ივანე ჯავახიშვილის დაბადების 130 წლისთავს აღნიშნავს

20-22 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისი დამაარსებლისა და ქართული სახელმწიფოს იდეოლოგის ივანე ჯავახიშვილის დაბადების 130 წლისთავს აღნიშნავს.

20 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიაში ივანე ჯავახიშვილის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გაიმართება. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები ყვავილებით შეამკობენ ივანე ჯავახიშვილის საფლავს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზის წინ გაიხსნება გამოფენა „სურათები ივანე ჯავახიშვილის საოჯახო ალბომიდან“.

სხდომათა დარბაზში ისტორიოგრაფიის პატრიარქის გახსენებას სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნება.

ღონისძიებების პირველი დღე რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართული საიუბილეო საღამოთი დასრულდება.

21 დეკემბერს თსუ-ს პირველ კორპუსში 11 საათზე გაიხსნება ფოტოგამოფენა, რომელიც ეძღვნება სამეცნიერო ექსპედიციას თურქეთში.

11 საათიდან 18 საათამდე თსუ სხდომათა დარბაზში მუშაობას გააგრძელებს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომლის დამთავრების შემდეგ იქვე გაიმართება პრემიერა დოკუმენტური ფილმისა „მზიანი ღამის ფერები“, რომელიც ეძღვნება თურქეთის (ტაო-კლარჯეთის) ქართულ ისტორიოგრაფიულ ძეგლებს.

ივანე ჯავახიშვილის დაბადების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები დასრულდება 22 დეკემბერს სტუდენტთა 66-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვებული შრომების კრებულის პრეზენტაციითა და კონფერენციაში გამარჯვებული სტუდენტების დაჯილდოვებით (11 საათი, თსუ სხდომათა დარბაზი) და სტუდენტური სალიტერატურო ჟურნალის — „ლილ“ პრეზენტაციით (12 საათი, თსუ სხდომათა დარბაზი).



## ანონსი

### დოკუმენტი საიდუმლო გრიფით

გადასახლებული სტუდენტების წერილი თუ დაგეგმილი ხაფანგი?!

ÌÄ-8 ÂÄ.

### ივანე ჯავახიშვილისა და ქართული უნივერსიტეტის დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სარწმუნოებრივი პოლიტიკისადმი

ÌÄ-9 ÂÄ.

### დოკუმენტებში ამოკითხული ისტორია

წიგნის „პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926“ პრეზენტაცია

ÌÄ-10 ÂÄ.

## წვეთობით შეგროვებული წყალი: „მოვალეობა, უპირველეს ყოვლისა“

რეპორტაჟი ივანე ჯავახიშვილის სახლიდან

მაკა ლდოკონენი



ოქროსუბნისა და პლეხანოვის გასაყარზე კოხტად ჩამწკრივებულ საკუთარ სახლებს გავცდი, ყოფილ კალინინის ქუჩას გავუყევი და იმ შენობისკენ გავემართე, 1917 წლიდან ივანე ჯავახიშვილის ოჯახი რომ ცხოვრობდა. ამ ქუჩას დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელი ჰქვია.

66 ნომერში კი ნათელა ჯავახიშვილის (ივანე ჯავახიშვილის ქალიშვილი) შვილიშვილი ლევან ცინცაძე და მისი მეუღლე, ქალბატონი მანანა ტყემალაძე ცხოვრობენ.

მე-3 გვერდზე

## როგორ გააძევეს ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან

საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცლები წიგნში – ,,ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე”

ნინო კაკულია

ბევრი საუბრობს იმაზე, რომ ისტორია შეთხზული ,,რეალობაა”, რომ ისტორიას ხშირად ,,ჟამთააღმწერელი” უდებს იმ სარჩულს, რასაც კონკრეტული პერიოდი კარნახობს მას.

ივანე ჯავახიშვილმა მხოლოდ უტყუარ ფაქტებზე დაყრდნობით შექმნა საქართველოს ისტორია. მან ეს მოახერხა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობისა და საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის საქართველოში შემოსვლის ნიადაგზე აღზევებული ბოლშევიკების პირისპირ. ,,ის არაფრით არ დაწერდა იმას, რაზეც ფაქტები არ მეტყველებდნენ“, — აღნიშნავენ თანამედროვე ისტორიკოსები. ასეთივე ცივი სიმართლით არის დაწერილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწე ისტორიკოსების, პროფესორების ვახტანგ გურულისა და მერაბ ვაჩნაძის წიგნი „ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე”.

მე-4-5 გვერდებზე

## დევნის მიუხედავად, პაპაჩემს ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდა ბატონ ივანესთან

ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველ მოადგილესთან სანდრო დიდებულიძესთან

მანანა ჟურხაძე

**— თქვენი ბაბუა, ალექსანდრე დიდებულიძე, ივანე ჯავახიშვილის მეგობარი იყო და მასთან ერთად უდიდესი წვლილი მიუძღვის მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოს საუნივერსიტეტო განათლების განვითარებაში. რას გვეტყვით მათ ურთიერთობაზე?**

— ბატონი ივანე პაპაჩემზე ექვსი წლით უფროსი იყო, მაგრამ მათ მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. ამავე დროს, პაპაჩემი ბატონ ივანეს უდიდეს პატივს სცემდა. სანდრო დიდებულიძეს უნივერსიტეტის დამაარსებელთა რიგებში ყოფნის ბედნიერება არ ჰქონია. მაშინდელი რექტორის პეტრე მელიქიშვილის თხოვნით, პაპაჩემი ოდესიდან მოგვიანებით, 1919 წლის სექტემბერში ჩამოვიდა. თანაც, პირველ წლებში, ის ძირითადად, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მუშაობდა.

მე-6 გვერდზე

## ივანე ჯავახიშვილსა და სიმონ ჯანაშიას შორის დაძაბული ურთიერთობა მოკლევადიანი იყო

ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორთან სიმონ ჯანაშიასთან

სოფო ზურაბიანი

სიმონ ჯანაშია — ერთერთი იმათთაგანია, ვის უშუალო წინაპარსაც ივანე ჯავახიშვილთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ბაბუამისი — სიმონ ჯანაშია ივანე ჯავახიშვილის პირველი ასპირანტი იყო და უნივერსიტეტში სწორედ მისი წარდგინებით დატოვეს. უმცროსი სიმონ ჯანაშია დღეს განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორია. ოჯახში დამკვიდრებული ტრადიცია არც მან დაარღვია და ბაბუისა და მამის მსგავსად თავადაც ისტორიკოსი გახდა. მუშაობს განათლების რეფორმაზე. დროს პოულობს სკოლაში ისტორიის გაკვეთილების ჩასატარებლადაც. დღეს იგი ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო ნომრის სტუმარია.

მე-6 გვერდი

## თავად შევესწარი ბატონი ივანეს სიკვდილს

იხსენებს ივანე ჯავახიშვილის თანამებრძოლის, აკაკი შანიძის ქალიშვილი მზექალა შანიძე

მაია ტორაძე

პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელს ივანე ჯავახიშვილს დღესაც მოკრძალებით იხსენებენ მისი მოწაფეების ოჯახებში. მათ შორის, უპირველესია აკადემიკოს აკაკი შანიძის ოჯახი. ქალბატონი მზაქალა შანიძე თავის ბავშვობისდროინდელ მოგონებებს ბედნიერს უწოდებს და ჩვენთან საუბარს თანხმდება.



მე-7 გვერდი

# ლექციით დაწყებული და დასრულებული სიცოცხლე

დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელი, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წლის 11(23) აპრილს თბილისში, პედაგოგ ალექსანდრე ჯავახიშვილისა და სოფიო ვახვახიშვილის ოჯახში.

ჯავახიშვილების გვარის უძველესი წინაპრები მესხეთიდან იყვნენ — თორელები. შემდგომ ისინი გადმოსახლებულან ქართლში, მდ. თეძმის ხეობაში, სოფელ ხოვლეში.

ალექსანდრე ჯავახიშვილსა და სოფიო ვახვახიშვილს ტრადიციული ქართული ოჯახი ჰქონდათ და შვილებსაც სამშობლოსა და დედაენისადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით ზრდიდნენ. 1885 წელს პატარა ივანე თბილისის პროგიმნაზიაში შეიყვანეს. იმ პერიოდის განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ ივანე ჯავახიშვილის გიმნაზიის მეგობარი ივანე ნიჟარაძე შემდგომ წერდა: „გარუსების ტენდენცია და ქართული კულტურის დევნა სულს უხუთავდა ქართულ შეგნებულ მოწაფეობას. შეგნებული ქართველი ახალგაზრდობა დამოუკიდებლივ სწავლობდა თავის ენასა და კულტურას. მათ შორის საუკეთესო წარმომადგენელი იყო ვანო. მას უკვე გიმნაზიაში ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ შევიდოდა უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილებაზე“.

1895 წლის ივლისში ივანე ჯავახიშვილმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია და იმავე წლის აგვისტოში შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე. აქ იგი მუშაობდა გამოჩენილი მეცნიერის — ნიკო მარის ხელმძღვანელობით. შეიძლება ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის პეტერბურგის პერიოდი ერთგვარი შესავალი იყო მისი შემდგომი მოღვაწეობისა. მას კარგად ესმოდა, რომ ქართველოლოგიის ცენტრი თბილისში უნდა ყოფილიყო, საამისოდ კი შესაფერის დროს უცდიდა.

1898 წელს ნაშრომისათვის — „ანდრია მოციქულისა და წმიდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“ პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ივანე ჯავახიშვილი ოქროს მედლით დააჯილდოვა. 1899 წელს მან დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და, აღმოსავლური ენების ფაკულტეტის დადგენილებით, დატოვეს უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად. 1901 წელს მიავლინეს ბერლინის უნივერსიტეტში კვალიფიკაციის ასამაღლებლად. 1902 წლის აპრილ-სექტემბერში ნიკო მართან ერთად ქართული ხელნაწერების აღწერისა და შესწავლის მიზნით იმყოფებოდა სინას მთაზე.

1903 წლის 1 იანვარს ივანე ჯავახიშვილი დაინიშნა პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტად. ამ თანამდებობაზე იგი 1917 წლამდე მუშაობდა. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართული საისტორიო მეცნიერების ახალი ეტაპის დაწყება XX საუკუნის დასაწყისში. მან საფუძველი ჩაუყარა ისტორიის მეცნიერულ-კრიტიკულ და სისტემატიზებულ შესწავლას. პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობის პერიოდში გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა — „მამულიშვილობა და მეცნიერება“" (1904წ.), „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“ (1905წ.), „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფო წყობილება“ (1905წ.), „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში“ (1905წ.), „ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში“ (1906წ.), „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“ ((1906წ.), „ქართველი ერის ისტორია“ წიგნი I (1908 წ.), „ქართული სამართლის ისტორია“ წიგნი I (1909წ.), „ქართველი ერის ისტორია“ წიგნი II (1914 წ.), „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა“, წიგნი I, „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ (1916წ.) — უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში.

ივანე ჯავახიშვილი არა მარტო დიდი მკვლევარი, არამედ ახალგაზრდა თაობის, მომავალი მეცნიერული კადრების საუკეთესო აღმზრდელიც იყო. მან 1903 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა საქართველოს ისტორიის შემსწავლელი სექცია, ხოლო 1907 წელს იქვე დააარსა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, სადაც მოხსენებებს მშობლიურ ენაზე კითხულობდნენ. ამით მზადდებოდა ნიადაგი ქართულ ენაზე უმაღლესი განათლების დასაფუძნებლად, ქართული მეცნიერების განვითარებისათვის. 1911-12 წლებში ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით სტუდენტთა სამეცნიერო წრემ ჩაატარა ანკეტირება, რითაც გაირკვა, რამდენი ქართველი სტუდენტი სწავლობდა რუსეთში და საზღვარგარეთ; რამდენი და რა სპეციალობის ქართველი სწავლული მოღვაწეობდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

პეტერბურგის უნივერსიტეტში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის პა-



ივანე ჯავახიშვილის მეუღლე — ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანი-ჯავახიშვილისა, 1903 წ.

რალელურად ივანე ჯავახიშვილი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში — ნაყოფიერად თანამშრომლობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, იყო „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ წევრი, კითხულობდა საჯარო ლექციებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, იყო ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრი, აქტიურად მონაწილეობდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში და ა.შ.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ, ივანე ჯავახიშვილი თავის თანამოაზრეებთან: იოსებ ყიფშიძესთან, აკაკი შანიძესთან, შალვა ნუცუბიძესთან და სხვებთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა და აქტიური ბრძოლა გააჩაღა კავკასიაში პირველი უმაღლესი დაწესებულების — უნივერსიტეტის დაარსებისათვის, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა — 1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. ორი კვირით ადრე, 13 იანვარს, გაიმართა უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის სხდომა, რომლის მონაწილეებმა უნივერსიტეტის რექტორობა ივანე ჯავახიშვილს შესთავაზეს, რაზეც მან უარი განაცხადა. მისი წინადადებით პირველ რექტორად საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს. თვითონ ივანე ჯავახიშვილი იმ დროისათვის ერთადერთი — სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი გახდა. თუმცა თავად პეტრე მელიქიშვილი აღიარებდა: **„ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერავინ შეეტოქება და შეეზიარება.“**

ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII საუკუნეებში“, „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“, „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ და ა. შ.

1919 წლის 17 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს. უმძიმეს პერიოდში მოუწია მას რექტორის უაღრესად საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულება...

1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას საბჭოთა რუსეთის ჯარები შემოესია. ქვეყნის დამოუკიდებლობის გადასარჩენად დაირაზმა ქართული მხედრობა, ინტელიგენცია, სტუდენტი-ახალგაზრდობა. პროფესორ-მასწავლებლებმა რექტორის — ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით მტკიცე სოლიდარობა გამოუცხადეს რესპუბლიკის ხელისუფლებას და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგომა ითხოვეს. ივანე ჯავახიშვილმა ომში მიმავალ სტუდენტობას შემდეგი სიტყვებით მიმართა: **„მართალია, გვაკლია იარაღი, გვაკლია საომარი აღჭურვილობა, გვაკლია ბევრი სხვა რამეც, მაგრამ ჩვენ ბრძენ ხალხს უთქვამს: ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდაც ხისაო. ჩვენი ეროვნული კულტურის თეთრი ტაძარი გზას დაულოცავს ყველას, ვინც ბრძოლის ველისაკენ მიეშურება.“** ბოლშევიკების მიერ თბილისის აღების შემდეგ უნივერსიტეტს წითელარმიელების შემოჭრის საფრთხე დაემუქრა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ წესრიგის დაცვა მოითხოვა... ივანე ჯავახიშვილის გაუტეხლობამ და პრინციპულობამ თავისი გაიტანა — უნივერსიტეტი აოხრებას გადაურჩა.

რექტორის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდი ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის შემდგომ კეთილდღეობას მოახმარა. მისი საზრუნავი და სამოქმედო არე მეტად მრავალმხრივი იყო: ცდილობდა პროფესურის სამეცნიერო დონის ამაღლებას, იბრძოდა პროფესორ-მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, იწვევდა სპეციალისტებს სხვადასხვა ქვეყნიდან, ენერგიულად უჭერდა მხარს უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო-დამხმარე დაწესებულებების შენარჩუნებასა და მათი სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, ჩამოაყალიბა უნივერსიტეტის სტამბა (1923 წ.), შექმნა ახალი ფაკულტეტები: აგრონომიული, პოლიტექნიკური და იურიდიული (სოციალურ-ეკონომიკური), ყოველმხრივ ეხმარებოდა ხელმოკლე სტუდენტებს, არაერთხელ აღმოუჩენია მათთვის მატერიალური თუ მორალური დახმარება; სტუდენტებისათვის იგი ადამიანობის ეტალონს წარმოადგენდა: იყო ძალზე მომთხოვნი, ამავდროულად უაღრესად კეთილი და ყურადღებიანი.

რექტორობის პერიოდში ივანე ჯავახიშვილი განაგრძობდა აქტიურ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას — იყო განათლების სამინისტროსთან არსებული სახელმძღვანელოებისა და სატერმინოლოგიო საქმის მომგვარებელი კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე), საქართველოს „საისტორიო და



ივანე ჯავახიშვილი ახალგაზრდა მეცნიერებთან, 1927 წელი

საეთნოგრაფიო საზოგადოების“ თავმჯდომარე...

1918 წლის 30 იანვარს ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა ქართულ უნივერსიტეტში პირველი ლექცია თემაზე: „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფიო მწერლობასა და ცხოვრებაში“. 1918-19 წლებში რამდენიმე ახალი ნაშრომით გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია: „ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და

იმავე ხანებში დაიბეჭდა ი. ჯავახიშვილის ახალი ნაშრომები: „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი IV, ნაწილი I (1924 წ.), „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“, წიგნი III ნაკვ. I, „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“, ნაკვ. — II „ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“ (1925-26 წწ.).

1923 წლის 30 მარტს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ივანე ჯავახიშვილი ახალი ვადით აირჩია რექტორად. სამწუხაროდ, მალე საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი ლაქია ვაი-მეცნიერების მხრიდან დაიწყო ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ საშინელი ცილისმწამლებლური კამპანია, რასაც 1926 წლის 23 ივნისს მისი რექტორობიდან გათავისუფლება მოჰყვა.

1926-31 წლებში ივანე ჯავახიშვილი განაგრძობდა მოღვაწეობას უნივერსიტეტში, იყო საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, გამოსცა „ქართული სამართლის ისტორიის“ II წიგნი...

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 7 ივლისის დადგენილების საფუძველზე ჩატარდა თსუ-ის რეორგანიზაცია და მის ბაზაზე 4 სპეციალური სასწავლო ინსტიტუტი შეიქმნა. განათლების სახალხო კომისარიატის 1931 წლის 28 მაისის დადგენილების საფუძველზე ივანე ჯავახიშვილი გააძევეს პედაგოგიური ინსტიტუტიდან „კონდრატიევშჩინას“ მავნებელთა ჯგუფის მიმართულების თანამოაზრეობის ბრალდებით. ეს იყო შემზარავი უმადურობა უნივერსიტეტის დამაარსებლის მიმართ.

1931 წლის 27 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილი დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტად. 1933 წლის 8 იანვარს აღდგენილ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 17 თებერვალს ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის საქართველოს ძველი ისტორიის კათედრის გამგედ დაინიშნა, სადაც იგი 1935 წლამდე მუშაობდა.

ამ პერიოდში განახლდა დაუნდობელი ბრძოლა ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ, რომლის კულმინაციას წარმოადგენდა უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის — კარლო ორაგველიძის მიერ 1936 წლის 23 მარტს ისტორიის ფაკულტეტის საბჭოზე წაკითხული მოხსენება — „საქართველოს ისტორიის საკითხისათვის“, სადაც მან მკაცრად გააკრიტიკა ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება, უწოდა მჩაგვრელი კლასის აპოლოგეტი, ხოლო მისი დამსახურება ქართული მეცნიერების წინაშე მარტოოდენ ემპირიული მასალების, ფაქტების შეგროვებასა და მათ სისტემატიზაციამდე დაიყვანა. ივანე ჯავახიშვილმა პრინციპული გადაწყვეტილება მიიღო — 1936 წლის 10 აპრილს განათლების სახალხო კომისარს წერილი გაუგზავნა, რომელშიც აუწყებდა უნივერსიტეტში მოღვაწეობისათვის თავის დანებების შესახებ.

მალე ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ მიმართული ბინძური კამპანია შეწყდა და 30-იანი წლების მიწურულს სრულად დაფასდა მისი უდიდესი ღვაწლი ქართველი ერის წინაშე — 1936 წელს მიიწვიეს კავკასიისმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (შემდგომში ენიმკი) მუდმივ სწავლულ-კონსულტანტად; 1937 წლის 13 მარტს დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის განყოფილების გამგედ; 1937 წელს დაინიშნა შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის დირექტორად; მისი თაოსნობით თბილისში მოეწყო „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა; 1937 წლის 27 დეკემბერს თბილისში გამართულ სსრკ-ის მწერალთა კავშირის V პლენუმზე წაიკითხა მოხსენება — „რუსთაველის ეპოქის საქართველოს სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

1938 წლის 25 მაისს თსუ-ის დაარსების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება — „ბრძოლა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის“, რომელშიც გაიხსენა კავკასიაში პირველი უნივერსიტეტის დაარსების წინაპირობები, ბრძოლის პერიპეტიები და ა. შ. იგი შემდეგი სიტყვებით მოძღვრავდა სტუდენტ-ახალგაზრდობას: „მხოლოდ საფუძვლიანი ცოდნა მისცემს მათ შესაძლებლობას, ღირსეული ადგილი დაიკავონ საზოგადოებაში. უნდა ახსოვდეთ, რომ სიყვარულის გარეშე არ გაკეთდება არასოდეს დიდი საქმე. გულცივი, გულგრილი ადამიანი ვერ გააკეთებს ვერასოდეს დიდ საქმეს; უნდა უყვარდეს ყოველ მათგანს თავისი ხალხი, უნდა უყვარდეს მეცნიერება, უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას, რომ შეალიოს თავისი ძალა მეცნიერებასაც და ხალხსაც. სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა. ეს ისეთი ბედნიერებაა, რომელიც ყველას ხვედრს არ წარმოადგენს და ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისაგან დაჯილდოებულია ნიჭით, რომ მას აქვს ნებისყოფა, აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ ვალდებულია სამაგიერო გადაუხადოს იმ ერს, რომლისგანაც ის წარმოშობილია“.

1938 წლის 15 ივნისს სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ივანე ჯავახიშვილი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა. იმავე წელს აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად. 1939 წელს აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

30-იან წლებში ივანე ჯავახიშვილის რამდენიმე ნაშრომი დაიბეჭდა, კერძოდ, „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XII საუკუნეებში“" (1934 წ.), „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, წიგნი I“ (1935 წ.), ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია„ (1937 წ.), „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1937 წ.), „ქართული მუსიკის ისტორიის საკითხები“ (1938 წ.) და ა.შ.



ივანე ჯავახიშვილი შვილიშვილებთან — დათოსთან და დალისთან ერთად

ივანე ჯავახიშვილი 1940 წლის 18 ნოემბერს ლექციის კითხვის დროს გულის უეცარი შეტევის შედეგად გარდაიცვალა. დაკრძალეს 21 ნოემბერს უნივერსიტეტის ეზოში პირველი რექტორის — პეტრე მელიქიშვილის გვერდით. 1953 წელს მის საფლავზე დაიდგა მოქანდაკე თენგიზ ღვინიაშვილის მიერ შესრულებული ქანდაკება. 1975 წელს უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრასთან გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს ისტორიის სასწავლო-მემორიალური კაბინეტი, სადაც წარმოდგენილია მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მემორიალური მასალები და სამეცნიერო ლიტერატურა (1998 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით, კაბინეტი საფუძვლიანად გაფართოვდა და ახალი ექსპონატებით შეივსო).

1988 წელს აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის წინადადებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის — ივანე ჯავახიშვილის სახელი ეწოდა.

ნომერში გამოყენებულია თსუ-ს მუზეუმის ფონდის ფოტოსურათები

# წვეთობით შეგროვებული წყალი: „მოვალეობა, უპირველეს ყოვლისა“

## რეპორტაჟი ივანე ჯავახიშვილის სახლიდან

პირველი გვერდიდან

ქალბატონ მანანას ტელეფონით ვესაუბრე, ხალისიანი და გულღია ქალბატონი უნდა იყოს: დაუზარლად მიმიწვია და მირჩია, სასაუბროდ ბატონი თარხუჯი (ივანეს ვაჟის, კახას შვილი) მოვიწვიოთ — ჩვენი ოჯახის ცოცხალი ენციკლოპედიააო.

ბატონ თარხუჯთან სატელეფონო საუბარში მკაცრსა და დაწურულ ფრაზებში თავშეკავებულობა და სიმკაცრე გამოსჭვიოდა — ამიტომ, ცოტა არ იყოს, ვღელავ.



თარხუჯ ჯავახიშვილი

სანამ ძველთაძველ, მოჩუქურთმებულ კარზე ზარს დავრეკავ, იმასაც გაცნობებთ, რომ ეს სახლი 1852 წელს აუშენებიათ და ვინმე იფსიმე პაპანასოვას ეკუთვნოდა. ხოლო 1870 წელს დამტკიცებული პროექტით უკვე მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანისა და მისი მეუღლის ალექსანდრე ორბელიანის საკუთრება გამხდარა. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, ანასტასია ორბელიანის (ივანე ჯავახიშვილის მეუღლის) მამიდა, ერეკლე მეორის შვილთაშვილი ყოფილა.

დიდი ცნობისმოყვარეობით ველი მასპინძლის გამოჩენას: კარს ხვეულთმიანი ქალბატონი მიღებს და ქიტონის შრიალით მიმიძღვის წინ ჩემთვის ისტორიულ, მისთვის კი ყოველდღიურობად ქცეულ ოთახებში, სამზარეულოში გრილ სასმელს მთავაზობს, მერე ერთად ჩავდივართ საუკუნოვან ბაღში, ყვავილებს რწყავს და მცენარეების მოვლა-პატრონობის გამოცდილებას მიზიარებს.

მალე გამხდარი, თმაშევერცხლილი მამაკაცი გვიახლოვდება, თბილად გვესალმება, იგი ბატონი თარხუჯია. პროფილით თავის პაპას მოგაგონებთ. საუბრის მანერითა და ხმის ტემბრითაც უნდა გავდეს ივანე ჯავახიშვილს (თუმცა, ეს ჩემი წარმოსახვის შედეგად გამოთქმული ვარაუდია).

### პაპა ვანო

იმ ოთახში ვინაცვლებთ, ბატონი თარხუჯი ბავშვობაში „პაპა ვანოს კაბინეტს“ რომ ეძახდა. ფარდაგგადაფარებულ მაგიდაზე ლარნაკში ყვითელიისფრად შეფერილი ყვავილები გვხვდება.

**— ამ ყვავილის ხალხური სახელი, გაგიკვირდებათ, მაგრამ „პარიჟანკაა“!** — აღნიშნავს ქალბატონი მანანა, — **კიდევ უფრო უცნაური კი ის იყო, ყვავილი „ფაცია“ რომ შევიძინე და აღმოვაჩინე, რომ „ფაცია“ ლათინური სახელი ყოფილა!**

**— მე კი, იცით, რა მაკვირვებს,** — იღიმის ბატონი თარხუჯი, — **რატომ არქმევენ ვაშლებს მხოლოდ რუსი მეცნიერების გვარებს?**

ყვავილებისა და ვაშლების თემა მახალისებს. დიქტოფონს ჩანთიდან თამამად ვიღებ, ქალბატონი მანანა სურათების ალბომს მაგიდის კიდეზე მორიდებით დებს და გადის ოთახიდან, ბატონი თარხუჯი კი მოგონებებში მიმიძღვის:

**— ბავშვობა ამ სახლში გავატარე. ახლა, ბევრი რამ შეიცვალა. მხოლოდ ეს მაგიდა, მერხი, ბუხარი, როიალი, რამდენიმე ნივთი და სურათი შემორჩა კედლებს. 1956 წლამდე, სანამ ყველაფერს, წიგნებიან-ავეჯიანად ხელნაწერთა ინსტიტუტს გადასცემდნენ, ამ ოთახში პაპას კაბინეტი იყო. მე პატარა ბიჭუნა ვიყავი და წიგნების კარადებითა თუ საარქივო მასალებისთვის სპეციალურად შეკვეთილი კოლოფებით გამოტენილი ეს ოთახი მისტიკურ იერს ატარებდა ჩემს წარმოსახვაში, ისევე, როგორც მომავალში — პაპა ვანოს სახე ფოტოსურათებზე და მისი საფლავი — უნივერსიტეტის ეზოში.**

ივანე ჯავახიშვილის ვინაობა კი გვიან გაიაზრა:



**— წლების შემდეგ უფრო რეალურად შევხედე და ჩავუღრმავდი ამ ადამიანს, მოვისურვე, გამერკვია, თუ ვინ იყო იგი, გარდა იმისა, რაც საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული გახლდათ. თუმცა... არც თუ იოლი სათქმელია „გარდა“, როდესაც „ქართველი ერის ისტორიის“ ავტორზე ვსაუბრობთ.**

რატომ ჰქონდა ივანე ჯავახიშვილს თავის დროზე ესოდენ დიდი სახელი, რატომ იმსახურებდა თანამედროვეთა პატივისცემასა და აღიარებას, რატომ გამოსჭვივის გარშემომყოფთა მოგონებებში უდიდესი მოწიწება მისადმი? — ამ კითხვეზე პასუხის მოსაძებნად ბატონი თარხუჯი კიდევ ერთხელ ავლებს თვალს ვანო პაპას ცხოვრება-მოღვაწეობას და თავისი წინაპრის სულიერი პორტრეტის უკეთ წარმოსაჩენად საინტერესო მაგალითები მოჰყავს:

**— უნივერსიტეტის პირველი რექტორის არჩევაზე რომ მიდგა საქმე, ყველა ნიშნითა თუ მაჩვენებლით, ელემენტარული სამართლიანობის პრინციპის დაცვით, რექტორობა ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნოდა, ერთხმადაც შეთავაზეს, მაგრამ პაპამ უარი განაცხადა და პეტრე მელიქიშვილის კანდიდატურა წამოაყენა: ბატონი პეტრე ცნობილი მეცნიერი გახლავთ რუსეთსა თუ ევროპაში და მისი რექტორობა მეტ**



**სახელს მოუტანს ჩვენს ახლადდაარსებულ უნივერსიტეტსო;**

**უფრო ადრე, როდესაც ქართული ხელნაწერების შესასწავლად ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი სინას მთაზე გაემგზავრნენ, ხელნაწერთა ძიებისას პაპას „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ შეხვდა, იგი მაშინვე ნიკო მარისთვის მიუტანია და უთქვამს: როგორც უფროსსა და მეტად ღვაწლმოსილს, შენ გეკუთვნის ამ ხელნაწერის გარჩევაო;**

**1910-1912 წლებში, როდესაც „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი და მეორე ტომი გამოიცა, „საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ივანე ჯავახიშვილს სთხოვა გამოქვეყნებული ნაშრომი ყოველწლიურ კონკურსზე წარედგინა. პაპა ყოველგვარი კონკურენციის გარეშე მიიღებდა პირველ პრემიას, მაგრამ შეთავაზებაზე უარი განაცხადა: „კონკურსები მთელ მსოფლიოში იმისათვის იმარ-**



**თება, რათა ახალგაზრდა მკვლევარები მორალურად წაახალისონ და მატერიალურად დაეხმარონ. მე კი წახალისება არ მჭირდება, ისედაც ჩემი შესაძლებლობის ზღვარზე ვმუშაობ, პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტობა კი ბევრს არა, მაგრამ საარსებოდ გარკვეულ სახსარს მაძლევს, ამიტომ ზნეობრივად გაუმართლებლად მიმაჩნია, შევეცილო მათ, ვისაც მორალური დახმარება ესაჭიროება“.**

1939 წელს ივანე ჯავახიშვილი მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს. მაგრამ... აი, როგორ პასუხობს იგი გიორგი კვიტაიშვილის მილოცვას: **„ცოტა არ იყოს, შეწუხებული ვარ, ვინაიდან, ამ ჩემს აკადემიკოსობას ჩემი საქმიანობის გაორმაგება უნდა მოჰყვეს, ჩემი ენერგია კი, უკვე, მაქსიმალურად მაქვს დაძაბული, აღარც ჯანმრთელობა მიწყობს ხელს, ვგრძნობ, დაკისრებულ ვალდებულებას პირნათლად ვერ შევასრულებ, ამას კი მიჩვეული არ ვარ და ზნეობრივად დამტანჯავს“.**

ბატონი თარხუჯი ცოტა ხანს დუმს, მერე გამომცდელად მაკვირდება და მიხსნის:

**— ალბათ, ეს სიტყვები ნებისმიერი სხვა ადამიანისგან არაბუნებრივად მოგვეჩვენებოდა, მაგრამ როდესაც ვეცნობით ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებას, ცხადი ხდება, რომ აქ არ არის ნატამალი სიცრუისა! ამ ადამიანის მორალი და ზნეობრივი პრინციპები მისი არსებობის ბუნებრივი წესია და არა აბსტრაქტული ცნებები. პირადად ჩემზე ყველაზე მეტ ეფექტს პაპა ვანოს აბსოლუტური უანგარობა ახდენს — მისთვის უცხოა და მიუღებელი თავის გამოჩენა თუ ტრაბახი.**

და აქვე ბატონი თარხუჯი იხსენებს ბებიის, ქალბატონი ანასტასიას შეგონებას:

**— ხშირად გვმოძღვრავდა შვილიშვილებს: ის, რომ ვანო თქვენი პაპა იყო და თქვენ მისი შვილიშვილები ხართ, თქვენი დამსახურება როდია. უმთავრესი, რაც გევალებათ, ისეთი არაფერი ჩაიდინოთ, რითაც მის ხსოვნას ჩრდილს მიაყენებთო.**

### რევოლუციის შემდეგ დადუმებული „რუბინშტეინის როიალი“

არაერთგზის დამოძღვრილი შვილიშვილი ბებიის ფოტოს დასცქერის: ანასტასია ორბელიანი იმ აივანზე ზის, საიდანაც ცოტა ხნის წინ ბაღში ჩავედით, ხელში ვიოლინო უჭირავს, ჩაფიქრებულია...

**— შეიძლება თამამად განვაცხადო, რომ ანასტასია სავიოლინე განათლების მქონე პირველი ქართველი ქალი იყო. მართალია, იმ სამუსიკო სასწავლებელს, სადაც სწავლობდა, კონსერვატორია 1917 წელს დაერქვა, მაგრამ ეს ფორმალური ცვლილება მხოლოდ დაწესებულების სახელს შეეხო, სამუსიკო სასწავლებელი საკმაოდ მაღალი რანგის სასწავლო დაწესებულება გახლდათ, დაარსებული დიდი მუსიკოსის, ანტონ რუბინშტეინის მიერ, რომელიც პეტერბურგის კონსერვატორიის ფუძემდებელი იყო.**

**სწორედ ანტონ რუბინშტეინს გამოუგზავნია საჩუქრად ქალბატონი მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანისათვის ამავე ოთახში დღემდე შემორჩენილი როიალი, რომელსაც წლების მანძილზე ოჯახში მოიხსენიებენ როგორც „რუბინშტეინის როიალს“.**

როგორც ბატონი თარხუჯი იხსენებს, ბებია ანასტასია ხშირად უკრავდა ვიოლინოზე, თუმცა ამ სახლში გაცილებით მეტი მხიარულება რევოლუციამდე სუფევდა, როდესაც მუსიკოსი მეგობრები იკრიბებოდნენ და კონცერტებს მართავდნენ. რევოლუციის შემდეგ კი ენთუზიაზმი გამქრალა — ბოლშევიკების შემოსვლამ შიში და ძარცვა მოუტანა საუკუნოვანი ტრადიციების მქონე ოჯახს.

### ნოეს კიდობანი

მოგონებებით ამ სახლის პირველ მეპატრონეებს, ჯამბაკურ-ორბელიანებს ვუბრუნდებით: ქალბატონ მარიამს და ალექსანდრეს შვილები არ ჰყოლიათ და უამრავ ახლობელსა თუ უცხო ადამიანს უვლიდნენ. 1919 წელს ალექსანდრე ორბელიანი გარდაცვლილა, რევოლუციის შემდეგ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ცხადი იყო, რომ მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს სახლს ჩამოართმევდნენ, ამიტომ მას პრაქტიკულად მთელი ნათესაობა მოუწვევია აქ საცხოვრებლად. სწორედ ამ პერიოდში პეტერბურგიდან გადმოსახლებულან მარიამის ძმისშვილი ანასტასია და მისი მეუღლე ივანე ჯავახიშვილი, რომლებმაც ბინა აქ დაიდეს.

ამავე სახლში ცხოვრობდა ანასტასიას უფროსი და თეკლე და მისი მეუღლე, ქართული პროფესიული ლიტერა-



ტურის კრიტიკის ფუძემდებელი კიტა აბაშიძე. ქვედა სართულზე კი — ივანე ჯავახიშვილის დის, ალექსანდრას, ოჯახი:

**— ალექსანდრა რჩეულიშვილების რძალი იყო. სწორედ ამ სახლში დაიბადა მისი შვილიშვილი, მწერალი გურამ რჩეულიშვილი, რომელიც სკოლის დამთავრებამდე აქ ცხოვრობდა. აქვე ივანე ჯავახიშვილის უფროსი და — ეკატერინე და ივანეს მომდევნო ძმა — გიორგი ცხოვრობდნენ. მათ შვილები არ ჰყოლიათ. ამგვარი ხალხმრავლობის თაობაზე, ერთხელ, ჩემს ბიძას, ალექსანდრეს (ლალის) ხუმრობით უთქვამს: მარიამ ორბელიანმა ეს სახლი ნოეს კიდობანს დაამსგავსაო,** — იხსენებს ბატონი თარხუჯი.

### წვეთობით შეგროვებული წყალი

„პარიჟანკებით“ გალამაზებულ, ფარდაგგადაფარებულ ძველებურ მაგიდას ვცილდებით, კედლებს ვათვალიერებთ. ბატონი თარხუჯი განსაკუთრებული სითბოთი იხსენებს ბებიის დას, თამარს, შინაურები ატას რომ ეძახდნენ. კედელზე ნახშირში შესრულებული ატას ბავშვობისდროინდელი პორტრეტი ჰკიდია, რომელიც მიხაი ზიჩის მოსწავლეს, ქალბატონ მერი ეტლინგერს დაუხატავს.

კიდევ ერთი ნახატი — ოთახის კარზე ზეთით შესრულებული თეთრი ცხენი: თითქოს იქით ოთახში საჯინიბოა და ცხენს თავი აქეთ გადმოუყვიაო.

**— ეს ცხენი ჯერ კიდევ ალექსანდრე ორბელიანის დროს გახლავთ დახატული, მოყვარული მხატვრის მიერ, რომელიც ოჯახის მეგობარი ყოფილა.**

ამ ცხენთან დაკავშირებით ბატონი თარხუჯი წინაპრებისგან გაგონილ სასაცილო შემთხვევას იხსენებს:

**— ქუჩაზე რუს გენერალს ჩაუვლია ეტლით. ზაფხული იდგა და შეღებული ფანჯრებიდან თუ შემოიხედავდით, ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებოდათ, თითქოს სახლში ცხენი ჰყავთო. რუსი გენერალიც ასე მოტყუებულა, ეტლი გაუჩერებია და ამბის გასაგებად თავისი „დენშჩიკი“ გამოუგზავნია, იკითხე, რატომ ჰყავთ სახლში ცხენიო?**

ბატონი თარხუჯი განაგრძობს:

**— ერთხელ, საახალწლოდ, სტუმრები შეკრებილან ამ სახლში, ბიძია ლალი შვიდი წლის იყო. უფროსებს თვალში მოაკლდათ, მოძებნეს და ნახეს ონკანთან იდგა. სტუმარს უთხოვია, წყალი მომიტანეო და ისიც გულმოდგინედ ასრულებდა დავალებას, ჭიქას წყლით ავსებდა (წყალსადენი ახალი შემოყვანილი გახლდათ და წყალი წვეთ-წვეთ მოდიოდა). კი მაგრამ, შენი ტოლები ერთობიან და შენ აქ გინდა გაატარო საღამოო? — უკითხავთ უფროსებს. მას კი ფრანგულად უპასუხია: მოვალეობა, უპირველეს ყოვლისაო!**

ქალბატონი მანანა ბრუნდება, კარადიდან რამდენიმე ნივთს იღებს, სახსოვრად რომ შემორჩენია ოჯახს: ქალალდის საჭრელ სპილოს ძვლის დანას, სურას, რომელიც ივანე ჯავახიშვილისათვის 50 წლის იუბილეზე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლებს უჩუქებიათ, ზედ სამახსოვრო წარწერითა და უნივერსიტეტის გერბით; ძვლისაგან გამოთლილ კალმების ჩასაწყობს, დამზადებულს მეტეხის ციხეში, ზედ დახატული მეტეხის ციხის ხედითა და უნივერსიტეტის გერბით.

დღე იწურება, მოგონებები არ ილევა. ქალბატონ მანანას თითქოს სურს კიდევ გვიამბოს რამე, მაგრამ თავს იკავებს და მორიდებით, უკვე მერამდენედ მეუბნება, რომ ამ ოჯახის მხოლოდ რძალია და ბევრს ვერაფერს მოგახსენებთო.

ივანე ჯავახიშვილის სახლიდან გამოსულს, ისეთი განცდა მაქვს, თითქოს წარსულში ვიმოგზაურე. ვფიქრობ, იმ უამრავ ნიჭიერ, ცნობილ ადამიანზე, ამ კედლებში რომ დაბადებულა და უცხოვრია. თან მომყვება ბატონი თარხუჯის სიტყვები: **შემთხვევით არაფერი ხდებაო, ისინი ერთნაირები იყვნენ და იმიტომ შეხვდნენ ერთმანეთს, ერთნაირ ტრადიციებზე იზრდებოდნენ და ამიტომაც ერთნაირი სულისკვეთებით ცხოვრობდნენო.**



# როგორ გააძევეს ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან

## საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცლები წიგნში – ,,ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე"

ნინო კაკულია

მასში ასახულია 1930 წელს უნივერსიტეტის გაუქმების შემდეგ, მის ბაზაზე შექმნილ ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში – საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში 1930 წლის დეკემბერში და 1934 წელს კვლავ აღდგენილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1936 წლის მარტ-აპრილში გამართული დისკუსიის სტენოგრამა.

ფაქტები ყველაფრის მეტყველია. რას ისახავდა მიზნად უდიდესი ისტორიკოსის, ქართული სახელმწიფოს იდეოლოგის წინააღმდეგ ქართველ ,,მეცნიერთა" ბრძოლა – კომუნისტური პარტიის წინაშე ვალის მოხდას, თუ ვინმეს სწამდა, რომ ივანე ჯავახიშვილი თავის მრწამსსა და გზას შეიცვლიდა?

მხატვარს და ისტორიკოსს გაუჭირდებოდა იმ დროს უნივერსიტეტში მოღვაწეთა პორტრეტებისა და იმ ორგანული, დანგრეული ღირებულებების ისე წარმოჩენა, როგორც დოკუმენტურ მასალებშია ასახული.

როგორ მახინჯდებიან ადამიანები, ვინ როგორ იქცევა გმირად და ანტიგმირად, საბოლოოდ ვინ არის განწირული და შერისხული შთამომავლობისგან? – ამ კითხვებზე პასუხს, როგორც მკითხველს, უნივერსიტეტის კედლებს შიგნით გამართული სამარცხვინო დისკუსიის თანამონაწილეობა მოგაძებნინებთ.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ წიგნს ბევრი მკითხველი არ ჰყავს, ისე როგორც არ ჰყავს ბევრი გამგები – ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებას. ამიტომ, მისი სახელი, დღესაც, შედარებით ჩრდილშია. ეს მისი ცხოვრების გზის ბუნებრივი გაგრძელებაა, მაგრამ ამით მხოლოდ მას აკლდება, ვინც ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის პერიოდისდროინდელ საქართველოს ისტორიას ჯავახიშვილთან და მის თანამოაზრეებთან ბრძოლის ჭრილში არ განიხილავს.

### თვითგამორკვევის გზა: ვინ დგას მუშათა კლასთან და ვინ – მის მტერთან

*ინტერვიუ წიგნის ავტორთან, ისტორიკოს ვახტანგ გურულთან*

**– თანამედროვე ისტორიკოსი ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქზე წერთ. თქვენს წიგნში ,,ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე" 1930-1936 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის, მისი სკოლისა და სხვა ცნობილი მეცნიერების წინააღმდეგ წამოწყებული სამარცხვინო კამპანიის ამსახველი ფაქტობრივი მასალაა. პირველ რიგში, საინტერესოა ამ წიგნის გამოცემის თქვენი მოტივაცია და მიზანი, რაც, ალბათ, დღევანდელი საზოგადოებისთვის იმ პერიოდის დაპირისპირების მხოლოდ გაცნობას არ შეიცავს?**

– წიგნი ,,ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე", რომელშიც წარმოდგენილია XX საუკუნის 20-30 წლების დოკუმენტები და მასალები, წიგნის ავტორთა შესავალი წერილი და კომენტარები, მზადდებოდა დიდი ხნის მანძილზე, როგორც იდეური, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით. საერთოდ, თუ არ შევისწავლიდით, რა ვითარება იყო უნივერსიტეტში 20-იან, 30-იან წლებში, ისე საქართველოს ისტორია ვერ დაიწერებოდა. უნივერსიტეტი მაშინ ყველაფრის ცენტრად ითვლებოდა. პრაქტიკულად, ის იყო განმსაზღვრელი ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებისა. 1930 წლის დეკემბერში და 1936 წლის მარტ-აპრილში გამართული დისკუსიის მასალები გასაიდუმლოებული ნამდვილად არ იყო. ის, ათწლეულების მანძილზე, საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში ინახებოდა, თუმცა, მთლიანად გამოქვეყნებული არ ყოფილა. გამოქვეყნდა მხოლოდ ნაწილ-ნაწილ, დოკუმენტური მასალიდან ამონარიდების სახით, დაახლოებით მთელი მოცულობის 5-10%. როცა ჩვენ ამ მასალებს გავეცანით, მაშინვე იმ დასკვნამდე მივედით, რომ მეცნიერული თვალსაზრისით ამ პირველი წყაროს გამოქვეყნება ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის აუცილებელი იყო, მაგრამ მე და ჩემი თანაავტორი, პროფესორი მერაბ ვაჩნაძე მთელი ორი წელი ვფიქრობდით იმაზეც, რა რეზონანსს გამოიწვევდა წიგნი საზოგადოებაში? ვიცოდით ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრე პროფესორების წინააღმდეგ ვინც თავი ცუდად წარმოაჩინა, მათი შვილები და შვილიშვილები ცოცხლები არიან. მასალების გამოქვეყნება, რა თქმა უნდა, მათ შთამომავლებს არ ესიამოვნებოდათ. თუმცა, ნორმალურ, დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქმედებს პრინციპი – შვილი და შვილიშვილი მამის და ბაბუის საქციელზე პასუხს არ აგებს. საბოლოოდ, მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეს წიგნი მაინც გამოგვექვეყნებინა. ამას ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდა. სტენოგრამის გაშიფვრასა და მის გამოსაცემად მომზადებას, დაახლოებით, 2 წელი მოვუნდით. როგორც იქნა, ეს საქმე ბოლომდე მივიყვანეთ. წიგნი 2003 წლის გაზაფხულზე გამოიცა. ჩვენს წიგნში 1930 წლის დისკუსიიდან გამოვაქვეყნეთ სხდომების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ივანე ჯავახიშვილს ეხებოდა. ხოლო 1936 წლის მარტ-აპრილის დისკუსიის სტენოგრამა მთლიანად გამოქვეყნდა. წიგნის დანართში დავბეჭდეთ XX საუკუნის 20-30-იანი წლების ეპოქის ჩაწვდომისათვის აუცილებელი დოკუმენტური, ეპისტოლარული, მემუარული და სხვა მასალა. ეს მასალა გარეგნულად თითქოს პირდაპირ კავშირში არ არის ხსენებულ ორ დისკუსიასთან, თუმცა მკითხველს უადვილებს დისკუსიის არსში გარკვევას.

**– წიგნის შესავალ ნაწილში თქვენ აღნიშნავთ, რომ ,,თბილისის უნივერსიტეტი ბოლშევიკური ტირანიის ბატონობის ხანაში დაკარგული სახელმწიფოებრიობისა და დარბეული ეკლესიის სანაცვლოც იყო, გარდა უმაღლესი სასწავლებლისა." ამ უნივერსიტეტში პროკომუნისტურმა ქართულმა პროფესურამ ჯავახიშვილის იდეურ დევნას შეუწყო ხელი. ანუ, უნივერსიტეტში აღმოცენდა ტირანია? რა ,,ჩადეთ" ამ სიტყვაში – ტირანია?**

– ტირანიას ჩვენ ვუწოდებთ იმ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებისა და საქართველოში 1921 წლის თებერვალ-მარტის შემდეგ ჩამოყალიბდა. ტირანია არის საბჭოთა სისტემა, ბოლშევიზმი, ზოგადად, საბჭოთა წყობილება. ნორმალურ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ის პროფესორმასწავლებლები ისე არ გადაგვარდებოდნენ, რომ უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების გაძევების გადაწყვეტილების აღსრულებისათვის შეეწყოთ ხელი. ადამიანი სულიერად მახინჯი არ იბადება. მის გაჩენაში ღმერთი ურევია და ის არ შეიძლება, მახინჯი იყოს. მას ამახინჯებს ხელისუფლება, სახელმწიფო წყობილება, ცხოვრების მანძილზე გასავლელი რთული გამოცდები. ეს ადამიანები სახელმწიფო წყობილებამ დაამახინჯა და ივანე ჯავახიშვილს შეუსია. თავისთავად, ისინი არსებული სისტემის მსხვერპლნი იყვნენ. პროკომუნისტური პროფესურა პაიკის როლს თამაშობდა იმ ჭადრაკის დაფაზე, რომელიც, შეიძლება, იმდროინდელი სახელმწიფოს სახით წარმოვიდგინოთ. ასე რომ, დავაზუსტებ – ტირანია იყო ის პოლიტიკური სისტემა, რომელიც მაშინ არსებობდა საბჭოთა კავშირში და, მათ შორის, საქართველოშიც.

**– სხდომებზე გამომსვლელთა მთავარი მოტივაცია, როგორც თავად აღნიშნავდნენ, ანტიმარქსისტი ქართველი პროფესორებისა და მათთან ერთად საკუთარი ფიზიონომიის გამოაშკარავებაც იყო. თვითგამორკვევის პრობლემა წამოჭრა შალვა ნუცუბიძემ, რომელმაც სხდომაზე აღნიშნა: – ,,თითოეულმა უნდა სთქვას – ვისთან არის: – მუშათა კლასთან თუ მის მტერთან – აი, ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი". თქვენ როგორ შეაფასებდით უნივერსიტეტის ინტელიგენციის თვითგამათრახების გზას და ამ ფონზე ჯავახიშვილის მეცნიერულ მსჯავრს?**

– 1930 წლის დეკემბრისა და 1936 წლის მარტ-აპრილის დისკუსიებზე ეს არ მოხდებოდა, უნივერსიტეტის შიგნით დიდი ცვლილებები რომ არ განხორციელებულიყო. 1926 წელს ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტის რექტორის პოსტი პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის სოციალური ,,გადახალისების" მიზნითაც დაატოვებინეს. უმაღლეს სასწავლებელში უნდა მოსულიყო ე.წ. მუშურ-გლეხური ინტელიგენცია, ხალხი, რომელსაც ზოგს ორი კლასის განათლება ჰქონდა, ზოგს – ოთხი კლასის. წინასწარ შერჩეულ პიროვნებას გააგზავნიდნენ მოსკოვში, ისწავლიდა ე.წ. წითელი პროფესურის ინსტიტუტში, აიღებდა პროფესორის მოწმობას, ჩამოდიოდა თბილისის უნივერსიტეტში და აქ აგრძელებდა მოღვაწეობას. 1930 წლის დეკემბრის დისკუსია იმიტომ შედგა, რომ უნივერსიტეტში საბჭოთა წყობილებას კომუნისტური პარტიის წევრების, კომკავშირლების სახით უკვე ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა. ეს ხალხი 1926 წლიდან (რომელიც უნივერსიტეტის ცხოვრებაში გარდატეხის წელია) ნელნელა შემორეკეს უნივერსიტეტში და ამას წინ ვერავინ აღუდგებოდა. 1928 წელს, როდესაც უნივერსიტეტის დაარსების 10 წლისთავი აღინიშნა, მაშინდელმა რექტორმა თედო ღლონტმა წერილი გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა უნივერსიტეტი დააქციესო; ჩვენ ვცდილობთ, ივანე ჯავახიშვილის გაფუჭებული საქმე როგორმე გამოვასწოროთო. უფრო უარესიც მოხდა: – 10 წლის იუბილეზე უნივერსიტეტში მთავრობის წარმომადგენლები მოვიდნენ, მათ შორის, ფილიპე მახარაძე და იმ პერიოდისთვის ჯერ არც თუ ისე დიდი თანამდებობის პირი – ლავრენტი ბერიაც. საზეიმო სხდომაზე ვილაც ადგა და თქვა: ჯავახიშვილი ავირჩიოთ საპატიო პრეზიდიუმშიო. ივანე ჯავახიშვილი სხდომას არ ესწრებოდა. დარბაზი ტაშით დაინგრა. ხოლო როდესაც საპატიო პრეზიდიუმში ფილიპე მახარაძე დაასახელეს, ტაში ძალიან ცოტამ დაუკრა. ბერიამ ამ ფაქტს მაშინვე რეაქცია მისცა, მოხსენებითი ბარათი დაწერა, სადაც აღნიშნა: უნივერსიტეტის სტუდენტების ნახევარზე მეტი ჩვენს წინააღმდეგ არის, რაიმე რომ გართულდეს (საერთაშორისო მდგომარეობას გულისხმობდა), ახლავე უნდა ვიმოქმედოთ, თორემ კაცმა არ იცის, უნივერსიტეტში რა ამბები დატრიალდებაო. ეს იყო სიგნალი იმისა, რომ უნივერსიტეტის დარბევა უკვე სწრაფი ტემპებით უნდა დაწყებულიყო. ამ გეგმის განხორციელებას მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის რექტორობიდან გათავისუფლება და თედო ღლონტის მოყვანა ვერ უზრუნველყოფდა. ჯავახიშვილის გადაყენებიდან 2 წელი გავიდა, მაგრამ არსებითად არაფერი შეცვლილა. 1928 წლიდან დაიწყო დიდი დარბევა და მისი კულმინაცია 1930 წლის დეკემბრის დისკუსია იყო. დარბევა სხვადასხვა მეთოდით მიმდინარეობდა. პრაქტიკულად უნივერსიტეტი გაუქმდა. ეს გადაწყვეტილება მოსკოვში მიიღეს: – აღარ გვინდა საუნივერსიტეტო განათლებაო. ამის მთავარი მოტივი იყო ის, რომ მთელ საბჭოთა კავშირში ძველი პროფესურა დიდ ოპოზიციას წარმოადგენდა. მოსკოვის, ლენინგრადის (პეტერბურგის), კიევის, ოდესისა და სხვა უნივერსიტეტები ოპოზიციის კერას წარმოადგენდნენ და ამიტომ, ინსტიტუტებად დაშალეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაიყო 4 ინსტიტუტად. ის დისკუსია, რომელზეც ჩვენ გვაქვს საუბარი, 1930 წლის დეკემბერში, პრაქტიკულად, უნივერსიტეტში კი არ ჩატარდა, არამედ პედაგოგიურ ინსტიტუტში. შემოიყვანეს ლექტორების სრულიად ახალი შემადგენლობა და ჩათვალეს, რომ ამით უმაღლეს სასწავლებელში ივანე ჯავახიშვილი და მისი თანამოაზრეები საერთოდ ამოძირკვეს. მაშინ ერთერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი პედაგოგიური ინსტიტუტი იყო, რომელიც მასწავლებლებს ამზადებდა. ამ ,,შტურმის" მიუხედავად უნდა ითქვას, რომ 1930 წლის დეკემბრის დისკუსია ხელისუფლებამ მაინც წააგო. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას მაძლევს სხდომაზე აკაკი შანიძისა და სიმონ ყაუხჩიშვილის გამოსვლა, რომელთაც დაიცვეს ივანე ჯავახიშვილი.

### ვინ იყო ივანე ჯავახიშვილის ულალატო თანამოაზრე?

**– თქვენს წიგნში გადმოცემული ფაქტების თანახმად, აკაკი შანიძემ სხდომათა დარბაზში დამსწრეთა უხეში შეძახილების ფონზე ივანე ჯავახიშვილი დაიცვა: – ,,მე არ ვეკუთვნი იმ პირებს, რომლებსაც სურთ ჯავახიშვილის ჩაწიხვლით გაიკეთონ თავიანთი კარიერა". ასეთი განცხადებების გაკეთების სითამამე ბევრს არ ჰყოფნიდა. ზოგს ნამდვილად ჰქონდა ჯავახიშვილის დაცვის სურვილი, მაგრამ ამას მხოლოდ იმ რეჟიმისადმი მსახურების პირობებში თუ მოახერხებდა. იყო თუ არა ეს თვითგადარჩენის ერთგვარი ტაქტიკა? თუ, ეს იყო მაინც ტირანიის წინაშე პიროვნული სისუსტის გამოვლენა?**

– ამას სისუსტეს ვერ დავარქმევთ. აკაკი ბაქრაძეს უყვარდა ასეთი მაგალითის მოყვანა: კაცს სახლში ცოლშვილის გამოსაკვებად პური მიაქვს და მისდევს ძაღლების ხროვა. ამ კაცს შეუძლია, ძაღლების მოსაშორებლად მათ პური გადაუგდოს, მაგრამ მაშინ ცოლშვილი შიმშილით დაეღუპება. ჭკვიანი კაცი ძაღლებს პატარ-პატარა ნატეხებს უყრის, რომ სახლამდე მიაღწიოს და პურის დიდი ნაწილი შეინარჩუნოს. აი, ეს პრინციპი მოქმედებდა მაშინ. თავი უნდა გადაირჩინო იმიტომ, რომ როცა ივანე ჯავახიშვილს გააძევებენ, მისი საქმე გააგრძელო. აკაკი შანიძის გამოსვლაში ის კი არ იყო მთავარი, ხუთწლიან გეგმას შევასრულებო, არამედ ის, რომ მან გაბედა და თქვა: მე ივანე ჯავახიშვილს არ დავწიხლავ და ამით კარიერას არ გავიკეთებო. 10 გარეწრის მიერ უნივერსიტეტის დამაარსებლის დაწიხვლას იმხელა მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენადაც ერთი დიდი მეცნიერის სიტყვას ჯავახიშვილის დასაცავად. ხელისუფლებამ წააგო დისკუსია იმ გაგებით, რომ იმ წლებში უნივერსიტეტში ჯერ კიდევ ძლიერი იყო ძველი პროფესურა. რაც შეეხება 1936 წლის მარტ-აპრილის დისკუსიას, მაშინ ეს პოლიტიკური კამპანია ხელისუფლებამ მოიგო, რადგან უნივერსიტეტი, პრაქტიკულად, განადგურებული იყო. ვინც დარჩა ძველი პროფესურიდან, ვეღარაფერს აკეთებდა. ჩაკვდა ის იდეაც, რაც ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა მოიტანეს, მიუხედავად იმისა, რომ, 1934 წელს უნივერსიტეტი უკვე აღდგენილი იყო.

**– მაინც, ვინ იყო ივანე ჯავახიშვილის ულალატო თანამოაზრე?**

– ძნელი სათქმელია. ყველა გმირად ვერ იბადება. ჯორდანო ბრუნოს ადგილზე 100-დან 99 გატყდებოდა. 1930 წლის დისკუსიიდან, მე ვთვლი, რომ აკაკი შანიძის და სიმონ ყაუხჩიშვილის გამოსვლები გმირობის ტოლფასია. წყობილებისათვის რაღაც რომ არ დაეთმოთ, არ შეიძლებოდა. მათ ივანე ჯავახიშვილის შეფასებისას არ დათმეს. სიმონ ყაუხჩიშვილი სხდომაზე ძალიან მოკლედ გამოვიდა, მაგრამ თქვა, რომ ივანე ჯავახიშვილი არის ძალიან დიდი... წარმოუდგენელი იყო, ვინმეს ეთქვა: ჯავახიშვილი ყველაფერში მართალია, საბჭოთა წყობილება კი ყველაფერში მტყუანი. მას ხომ მაშინვე დაიჭერდნენ და ვეღარც დაიცავდა ჯავახიშვილს და მის იდეას. 1936 წელს აკაკი შანიძისა და სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ დაწყებული საქმე სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა გააგრძელეს. მათაც მასწავ-ლებელი ნაწილობრივ დაიცვეს, ნაწილობრივ კი ხელისუფლებას მოუხადეს ხარკი. დღევანდელი გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ, მათ გადაარჩინეს ივანე ჯავახიშვილის სკოლა. ისინი რომ წყობილებას დაპირისპირებოდნენ, დაიჭერდნენ, გადაასახლებდნენ ან დახვრეტდნენ. ვინ გააგრძელებდა ივანე ჯავახიშვილის საქმეს? ვინ გაზრდიდა ამდენ მოწაფეს?

**– ამ დისკუსიების ფონზე ჯავახიშვილი კიდევ უფრო დიდ გმირად აქციეს... ეს რამდენად შედიოდა კომუნისტური ხელისუფლების ინტერესში?**

– იოსებ სტალინის ნიჭი იმაში იყო, რომ თავის მოწინააღმდეგეს გმირად არ აქცევდა. როგორც ჩანს, სტალინთან ყველა მოქმედება შეთანხმებული არ იყო. მხოლოდ უნიჭო პოლიტიკურ მოღვაწეებს არ შეეძლოთ იმის გათვლა, როგორ აქცევდნენ მოწინააღმდეგეებს გმირებად და როგორ იქცეოდნენ თავად ანტიგმირებად. სტალინს ჯავახიშვილის გაწირვა არ უნდოდა – ეს მთავარი ფაქტორია სხვათა შეცდომებისა ჯავახიშვილის სასარგებლოდ.

### უნივერსიტეტიდან წასული ივანე ჯავახიშვილი რექტორის სატელეფონო ზარს არ პასუხობდა

**– თუ არის ცნობილი სხდომების მსვლელობის პერიოდში, რას აკეთებდა ივანე ჯავახიშვილი და როგორი იყო მისი რეაქცია?**

– ივანე ჯავახიშვილის რეაქცია ის იყო, რომ დისკუსიებზე არ მივიდა. ივანე ჯავახიშვილი მარტო დიდი მეცნიერი კი არა, დიდი ადამიანი, დიდი მოქალაქე იყო. ის მთელ ამ პროცესებს, ადამიანურ მანკიერებებს, მოღალატეობრივ პოზიციას და პატარა კაცობას




გაგრძელება მე-5 გვერდზე

მეოთხე გვერდიდან

ზემოდან დაჰყურებდა. ივანე ჯავახიშვილს ასეთ მდგომარეობამდე მისული უნივერსიტეტი ეცოდებოდა, თორემ, ის იმდენად დიდი ადამიანი იყო, რომ არ შეიძლება, მისი მოწინააღმდეგეების მიმართ ბოღმა და ზიზღი ჰქონოდა. მას ესმოდა, რომ ეს ადამიანები წყობილებამ დაამახინჯა. ივანე ჯავახიშვილს, რა თქმა უნდა, არ სიამოვნებდა, განიცდიდა მისი ,,კოლეგების" ბოლშევიკურ განწყობილებას, მაგრამ მას პროტესტი არ გამოუხატავს და ამის გამო მათ წინააღმდეგ არავინ დაურაზმავს. ივანე ჯავახიშვილმა იცოდა, რომ იმდროინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას არანაირი აზრი არ ჰქონდა.

**— ივანე ჯავახიშვილმა 1936 წლის 10 აპრილს მის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას საქართველოს სსრ განათლების კომისრისადმი გაგზავნილი განცხადებით უპასუხა, რომელშიც ის გაუთავებელი დავის ფონზე უნივერსიტეტიდან საკუთარი ნებით წასვლაზე მიუთითებს. თავისი გადაწყვეტილებით დიდმა მეცნიერმა მტრის მიზანი აღასრულა. ამდენად, თქვენი აზრით, რამდენად გამართლებული იყო მისი ნაბიჯი?**

— გამოცდებს ჩავიბარებ და მერე ჩემს ნაცვლად, ვინც გინდათ, ის მოიყვანეთო. მე კი, 1899 წლიდან სანკტ-პეტერბურგის და თბილისის უნივერსიტეტებში ვმუშაობდი და პენსია დამინიშნეთო. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეული პროტესტი იყო. ივანე ჯავახიშვილი დაემორჩილა უხეშ ძალას. უფრო დიდ პროტესტად შეიძლება ჩავთვალოთ მისი რეაქცია კარლო ორაგველიძის სატელეფონო ზარზე, როდესაც მას ორაგველიძემ სახლში დაურეკა. ივანე ჯავახიშვილი ტელეფონთან არ მივიდა: — რატომ მირეკავს, აღარ ვარ უნივერსიტეტის თანამშრომელიო.

### ჯავახიშვილს ლექციაზე მთვრალი სტუდენტები შეუგზავნეს და ის უნივერსიტეტიდან წავიდა

**— ვის დააკლდა ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან წასვლით?**

— ამით, რა თქმა უნდა, დააკლდა უნივერსიტეტს, სტუდენტობას. თავად კი არაფერი დაკლებია. ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში მისვლა აღარც შეიძლებოდა. ბოლოს რატომ წავიდა, იცით? მთვრალი სტუდენტები შეუყარეს ლექციაზე და სტვენა დაუწყეს. ჯავახიშვილმა მიატოვა ლექცია და წავიდა. კვლავ რომ გაეგრძელებინა მოღვაწეობა, უარესს გაუკეთებდნენ, დებოშსა და პროვოკაციას მოუწყობდნენ. ამდენად, უნივერსიტეტში მის მოღვაწეობას აზრი აღარ ჰქონდა. თანაც, თბილისის უნივერსიტეტი ისეთი კონტინგენტით შეივსო, რომ იმ ხალხთან თანამშრომლობა არ სურდა. ეს იყო ის კომკავშირული თაობა, რომელიც უნივერსიტეტში, ასე ვთქვათ, დიპლომის მისაღებად მოვიდა. თანდათან ამცირებდნენ თავადაზნაურთა, სამღვდელოების, ვაჭრების წრიდან აბიტურიენტთა მიღებას, რომლებიც, აქ, მართლაც სასწავლებლად და არა დიპლომისთვის მოდიოდნენ.

### ჯავახიშვილმა არ იცოდა, რა იყო პროლეტარიატი, მან იცოდა — ნიჭიერი და უნიჭო

**— ივანე ჯავახიშვილისნაირი პიროვნება რეალურად დაშორდა თუ არა იმ პერიოდის საზოგადოებას? სხდომებზე მინიშნებაც გაკეთდა, რომ წარმოშობით თავადისათვის მუშათა კლასი გახდა მიუღებელიო. ახერხებდა თუ არა ივანე ჯავახიშვილი ურთიერთობას პოსტრევოლუციურ საზოგადოებასთან?**

— ივანე ჯავახიშვილისათვის მიუღებელი იყო ის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური სისტემა და იდეოლოგია, რომელიც საბჭოთა წყობილებამ მოიტანა. მან არ იცოდა, რა იყო პროლეტარიატი. ასეთი ცნებები მისთვის მიუღებელი იყო. ბატონი ივანესათვის არ არსებობდა თავადი, აზნაური, მღვდელი, გლეხი და მუშა. ჯავახიშვილისთვის არსებობდა ნიჭიერი და უნიჭო სტუდენტი. არსებობდა კარგი და ცუდი ლექტორი. ჯავახიშვილს რა კავშირი უნდა ჰქონოდა მუშათა კლასთან ან გლეხებთან? როდესაც უმაღლეს სასწავლებელში კომკავშირლები შემორეკეს, დიდი მეცნიერი მათი მოყვანის წინააღმდეგი კი არ იყო, არამედ ამბობდა: ეს ხალხი ვერ შეძლებს იმ პროგრამის დაძლევას, რაც უნივერსიტეტშია დამტკიცებულიო. ზოგს საშუალო სკოლაც არ ჰქონდა დამთავრებული. ის იცავდა რუსეთის იმპერიის დროს არსებულ განათლების სისტემას, როცა პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტებს მხოლოდ გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იღებდნენ. ეს იყო იმის წინაპირობა, რომ საუნივერსიტეტო პროგრამა დაეძლიათ. ივანე ჯავახიშვილი ამ პრინციპს იცავდა. მისი მოთხოვნა იყო, რომ უმაღლესი სასწავლებლის კარი საშუალო განათლების მქონეთ შეეღოთ. მაშინ გამოდიოდა, რომ უნივერსიტეტში მხოლოდ შეძლებული ფენის შვილები მოვიდოდნენ, ანუ, თავადების, აზნაურების, მღვდლების, ვაჭრების შვილები... ეს ხელისუფლებას არ უნდოდა. ხელისუფლების ინტერესებში მუშებისა და გლეხების მოყვანა შედიოდა.

**— იყო თუ არა უკომპრომისო ივანე ჯავახიშვილი საბჭოთა წყობილების შეფასებისას?**

— საბჭოთა წყობილება ყველა დიდ მეცნიერს — ივანე ჯავახიშვილს, შალვა ნუცუბიძეს, აკაკი შანიძეს, კორნელი კეკელიძეს ტირანიად მიაჩნდათ. ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ხმამაღლა შეფასებას ვერავინ გაბედავდა. თუმცა, შენს შინაგან რწმენას ვერ დამალავ, სადღაც მაინც წამოგცდება... ლექციაზე სტუდენტებთან შეიძლება თავი შეიკავო და არაფერი თქვა, მაგრამ პოზიცია სადღაც „გამოგააშკარავებს". ერთხელ სტუდენტმა ივანე ჯავახიშვილი იმის გამო დააბეზღა, რომ ივანეს ლენინის გარდაცვალების გამო სიხარული შეატყო. ასპირანტი ყალიჩავა სიტყვით გამოვიდა სხდომაზე: „რას წარმოადგენს წერეთელი და ჯავახიშვილი. მე ვიცი ერთ-ერთი ფაქტი. როდესაც რუსეთმა, საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა ლენინი, მაშინ ჩვენი გრიგოლ წერეთელი და ჯავახიშვილი მოგროვდნენ და ლაპარაკობდნენ, რომ გავკეთდით ხალხი, ლენინი მოკვტაო. ეს არის კონტრრევოლუციონერი, ის მეთაურობს იმას, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მოდის. დასკვნა ჩემი ასეთი არის, რომ ჯავახიშვილი და წერეთელი არის აშკარა მავნებლები" (სტილი დაცულია).

ყველა ჭკვიან კაცს უნდა გახარებოდა ლენინის, არა როგორც ადამიანის, არამედ როგორც ტირანისა და ამ ქვეყნის დამქცევის სიკვდილი. როდესაც ლენინი გარდაიცვალა, პეტერბურგს უწოდეს ლენინგრადი. მაშინ მიხეილ პოლიევქტოვს სადღაც, შეიძლება სრულიად შემთხვევით წამოსცდა: ეს ქალაქი პეტრე პირველის დაარსებულია და ლენინი რა შუაშიაო. ჩვენი პროფესურა ლექციებზე საბჭოთა წყობილებას ვერ შეებრძოლებოდა, მაგრამ მეგობართა წრეში, ცხადია, ისინი არ მალავდნენ თავიანთ განწყობასა და საბრძოლო სულისკვეთებას.

### ივანე ფაქტებს არ მალავდა, ამიტომ იყო ის საშიში პოლიტიკური სისტემისათვის

**— ივანე ჯავახიშვილის ისტორიულ წყაროებში თქვენთვის ყველაზე მეტად საინტერესო რა დეტალია?**

— როგორც ისტორიკოსს, მე, პირადად, დღესაც მაოცებს ერთი რამ. მეცნიერი შეიძლება ერთ პრობლემას შეეხოს და დაამუშაოს. მაგრამ ქართველთა ეთნო-გენეზიდან დაწყებული საქართველოს მთელი ისტორია რომ გაიაზრო — ეს მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ და ეს შეძლო ივანე ჯავახიშვილმა. ეს ადამიანი თითქოს მწვერვალზე იდგა და იქიდან ყველაფერს ერთნაირი სიზუსტით აღიქვამდა. ,,ქართველი ერის ისტორიის" ყველა წიგნი ეს იყო უდიდესი შრომის და აზროვნების შედეგი, მაგრამ მისი შემოქმედება ამით ხომ არ დამთავრებულა? ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ქართული სამართლის ისტორია, ეკონომიკური ისტორია, ქართული პალეოგრაფია, ისტორიული გეოგრაფია... არ დარჩა საკითხი, მუსიკის ისტორიის ჩათვლით, ივანე ჯავახიშვილს არ გამოეკვლია. შეიძლება ადამიანს ღმერთმა დიდი ნიჭი მისცეს, მაგრამ ადამიანის ხორციელი სხეული ბუნების კანონზომიერებას ემორჩილება. რაღაც პერიოდის შემდეგ ადამიანი ვერ უძლებს დიდ გონებრივ და ფიზიკურ დატვირთვას, მიუხედავად იმისა, რომ ტვინი შეიძლება მუშაობდეს. ივანე ჯავახიშვილს ღმერთმა დიდი სულიერი და ფიზიკური გამძლეობაც მისცა. მისი პირადი წერილებიდან ჩანს, რომ ის ავად იყო, კუჭ-ნაწლავი აწუხებდა, მხოლოდ გამხმარ პურს ჭამდა, უკვე სისხლის დენაც ჰქონდა დაწყებული, მაგრამ მაინც მუშაობდა.

**— როგორც ისტორიკოსი, ივანე ჯავახიშვილის მეთოდოლოგიას როგორ შეაფასებდით? მისი მეთოდოლოგია მარქსიზმ-ლენინიზმის მიმდევარმა ქართველმა მეცნიერებმა არაერთგზის დაგმეს იმის გამო, რომ ის მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით მუშაობდა და იყო ფაქტოლოგი, თითქოს განზოგადება არ შეეძლო... რატომ ებრძოდნენ მის მეთოდოლოგიას?**

— ივანე ჯავახიშვილმა განათლება რუსეთში მიიღო და, პრაქტიკულად, ის იცნობდა იმ მეთოდოლოგიას, რომელიც მაშინ რუსულ საისტორიო სკოლაში არსებობდა. ივანე ჯავახიშვილი საზღვარგარეთ, გერმანიაში გაემგზავრა, რათა იქ შეესწავლა სხვადასხვა საკითხი და, მათ შორის, ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევები. ასე რომ, ივანე ჯავახიშვილი, როგორც ისტორიკოსი, ორი დიდი ისტორიოგრაფიული სკოლის — რუსულისა და დასავლეთევროპულის გავლენით ჩამოყალიბდა. მას უყენებდნენ ბრალდებას, რომ ის არის ფაქტოლოგი და ვერ განაზოგადებს. ბოლშევიკები იმავე ბრალდებებს ყველა დიდ რუს ისტორიკოსს უყენებდნენ.

რატომ არ უნდოდათ ფაქტოლოგია? ჯავახიშვილი ბრწყინვალედ ანზოგადებდა მხოლოდ იმას, რაზეც ფაქტები მეტყველებდა. მას საერთოდ არ აინტერესებდა, ამ საკითხს როგორ უყურებდა მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი. საბჭოთა ხელისუფლებისათვის იმიტომ იყო ჯავახიშვილი საშიში, რომ არავითარ შემთხვევაში ანგარიშს არ გაუწევდა იმას, რაც ფაქტებიდან არ გამომდინარეობდა.

კომუნისტური ისტორიოგრაფიის პრინციპი კი რა იყო? — რაც ფაქტებიდან გამომდინარეობს, იქიდან უნდა აიღო ის, რაც ეთანხმება მარქსს, ენგელსს, ლენინს, სტალინს, რაც არა — უნდა დამალო. ივანე არ მალავდა. ამიტომ კომუნისტებს ფაქტოლოგები არ უყვარდათ. ფაქტოლოგია არის საწყისი ისტორიული მეცნიერებისა. საბჭოთა ისტორიოგრაფიის ნაკლი სწორედ ის იყო, რომ ისტორიკოსები არქივში მოძიებული 10 დოკუმენტიდან 7-ს ვერ აქვეყნებდნენ, რადგან პოლიტიკურ ხელისუფლებას უწევდნენ ანგარიშს. ასე დამახინჯდა საბჭოთა ისტორიოგრაფია.

მე მახსოვს, სტუდენტობის და ასპირანტურაში სწავლის დროს ძალიან ბევრ დოკუმენტს ვერ ვაქვეყნებდით. იგივე, ამ სტენოგრამას ვინ გამოგაქვეყნებინებდა, თუნდაც, XX საუკუნის 60-70 წლებში? ამ მასალებში ხომ საბჭოთა წყობილების მთელი ფიზიონომია ჩანს? უფრო ადრე ხომ საერთოდ ზედმეტი იყო ამაზე საუბარი — ყველაფერი გასაიდუმლოებული გახლდათ.

**— რატომ არ გაანადგურეს ეს სტენოგრამები?**

— არ იფიქროთ, რომ საბჭოთა წყობილების დროს რაიმე დოკუმენტი ნადგურდებოდა. ეს არის კომუნისტური წყობილების მხილების თვალსაზრისით შექმნილი ჭორი. განადგურებული, პრაქტიკულად, არაფერი არ არის. იყო სხვადასხვა კატეგორიის საიდუმლო არქივები, სადაც ეს დოკუმენტები ინახებოდა. თუ რაიმე დოკუმენტი შემთხვევით დაიკარგა, ეს სხვა საქმეა, მაგრამ არც ის დოკუმენტები ნადგურდებოდა, რომელიც ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა. ყველაფერი დაცულია და თქვენ წარმოიდგინეთ, ჯერ კიდევ არ დამდგარა ზოგიერთი დოკუმენტის გამომზეურების დრო.

### შვილები პასუხს არ აგებენ წინაპრების საქციელზე

**— წიგნის ბოლო ნაწილში თქვენ, ასე ვთქვათ, ირიბად ისვრით ქვას, როდესაც ჯავახიშვილის მოწინააღმდეგეების შთამომავლობაზე აკეთებთ აქცენტს. თქვენ ამბობთ, რომ ,,შვილები და შვილიშვილები პასუხს არ აგებენ მამებისა და პაპების ნამოქმედარის გამო. მიუხედავად ამისა, ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს, ჩვენს შემდეგ ჩვენი შთამომავლობა მოდის!"**

**დღეს განათლების სამინისტროში მუშაობენ სიმონ ჯანაშიასა და სანდრო დიდებულიძის შვილიშვილები. რას ამბობს ისტორია მათ წინაპრებზე ივანე ჯავახიშვილთან მიმართებაში?**

— ყოველ შემთხვევაში, ნიკო ბერძენიშვილის, სიმონ ჯანაშიას, სიმონ ყაუხჩიშვილის, აკაკი შანიძის, სანდრო დიდებულიძის, შალვა ნუცუბიძის შთამომავლებს ეჭვის საბაბიც არ აქვთ, რომ მათზე საზოგადოებამ ცუდი იფიქროს. მათმა წინაპრებმა ყველაფერი გააკეთეს ჯავახიშვილის სიცოცხლეშიც და მისი სიკვდილის შემდეგაც, რომ დიდი ისტორიკოსის მეცნიერული მემკვიდრეობა გადაერჩინათ, არ ჩამკვდარიყო მისი სკოლის ტრადიციები. სტენოგრამიდან ცნობილი სხვა გამომსვლელების შთამომავლებს კი ნამდვილად აქვთ იმის საფუძველი, რომ დღეს უხერხულობის გრძნობა ჰქონდეთ. ამაში არც ივანე ჯავახიშვილია დამნაშავე და არც ამ წიგნის გამომცემლები. ჩვენ ვხელმძღვანელობდით პრინციპით — რომ შვილი და შვილიშვილი მამის და ბაბუის ნამოქმედარზე პასუხს არ აგებს, მაგრამ მამა და ბაბუა კი აგებენ შვილებზე პასუხს. ეს ისეთმა დიქტატორმაც კი აღიარა, როგორიც სტალინი იყო და გარკვეული პერიოდის შემდეგ მან თქვა: შვილებს ნულა მოსთხოვთ პასუხსო. (ერთი პერიოდი კი შვილებსაც სჯიდნენ).

ისინი, ვინც ჯავახიშვილს ებრძოდნენ, ნამდვილი მეცნიერები არც ყოფილან. ჯავახიშვილი ყველაზე ავტორიტეტული იყო. ის იყო პატრიარქი. ნებისმიერი დიდი მეცნიერის მორალურ განადგურებას იმხელა ეფექტი არ ექნებოდა, როგორიც უნივერსიტეტის დამაარსებლის გატეხვას. ივანე ჯავახიშვილის დამხობით, თავისთავად დამხობილი იყო შალვა ნუცუბიძეც, აკაკი შანიძეც, კორნელი კეკელიძეც, დიმიტრი უზნაძეც და სხვები...

**— მართალია ივანე ჯავახიშვილი დახვრეტას გადაურჩა, მაგრამ ცხოვრების ცუდი პირობები ჰქონდა...**

— ეს უკვე ადგილობრივი ხელისუფლების დამსახურება იყო. 1924 წელს ივანე ჯავახიშვილი დააკავეს, უფრო სწორედ, თვითონ მივიდა მილიციაში იმის გამო, რომ მასთან სახლში ცხოვრობდა 1924 წლის აჯანყებაში გარეული მისი ნათესავი. მაგრამ შინ მალე გაუშვეს. ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და მეცნიერებათა აკადემიაში სტალინის ნებით აირჩიეს. ჯავახიშვილი წამებით არ მომკვდარა.

**— ვინ გამოეხმაურა თქვენს წიგნს და ვის რა რეაქცია ჰქონდა?**

— მე ცოტა სკეპტიკურად ვარ განწყობილი. ეს წიგნი დიდი მოცულობის გამოვიდა და, ალბათ, ამანაც იმოქმედა, რომ ის ცოტას აქვს წაკითხული. მე ვერც გავბედავდი, ივანე ჯავახიშვილის, როგორც ისტორიკოსის შეფასებას. მაგრამ რაც მოხდა უნივერსიტეტში იმ დროს, ეს ჩვენი ისტორიის სამარცხვინო ფურცელია და ის საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა გამხდარიყო.

ივანე ჯავახიშვილისნაირი პიროვნება დიდ იმპერიებს არც დღეს მოსწონს და მაშინ, მით უფრო...

არის ფასეულობები, რომელიც არც ერთ დიქტატორულ რეჟიმს არ მოსწონს და არიან ადამიანები, რომლებიც ვერ ცხოვრობენ ამ ფასეულობების გარეშე. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ივანე ჯავახიშვილი.



ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე

## უნივერსიტეტის „სასამართლო პროცესი"

### ამონარიდი დისკუსიის მასალებიდან

**1930 წელი 13 დეკემბერი. პირველი სხდომა.**

ივანე ვაშაყმაძე: — ,,ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი წარმომადგენელი არის პროფესორი ივ. ჯავახიშვილი. იდეოლოგიურად ის ძველი ფეოდალურ-ნაციონალისტური ქვეყნის წარმომადგენელია. მეთოდოლოგიურად მხოხავი ემპირისტია და ანტი-მარქსისტი. განზოგადებას და სინთეთიურ აზროვნებას ის გაურბის, ხოლო თუ მის ნაშრომებში შევხვდებით სინთეთიურ აზროვნებას, ის აუცილებლად ნაციონალისტური ბუნების იქნება. ამის გამო ისტორიული აზროვნება საქართველოში 1921 წლამდე ძალზე ჩამორჩენილი იყო და, ნაწილობრივ, ივ. ჯავახიშვილის მეოხებით ეხლაც ჩამორჩენილია.

ჯავახიშვილი და მისი მიმდევრები არ იცნობენ საზოგადოებრივ ფორმაციას, კლასთა ბრძოლის პრობლემებს. ისინი ისტორიის პერიოდიზაციას ქრონოლოგიის მიხედვით ახდენენ. ისტორიის ასეთი მეთოდოლოგია მე-18 საუკუნის ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიას არ სცდილდება და, რა თქმა უნდა, წარმოადგენს რეაქციონურ მიმართულებას. (მხოხავ-ემპირისტულ მეთოდოლოგიას)

**14 დეკემბერი.**

დოც. შარია: — ,,ისინი ეწევიან პოლიტიკურ საბოტაჟს. კრებაზე არ მოისურვეს დასწრება. ესენი გახლავთ ივანე ჯავახიშვილი და გრიგოლ წერეთელი. აკადემიური საბოტაჟი მაშინ იქნებოდა, თუ ისინი თავს დაანებებდნენ აკადემიურ ფორმებში მუშაობას და არ მოვიდოდნენ ლექციებზე. თავიანთი რეაქციონური იდეოლოგია აქ გამოააშკარავეს მათ. აი, ეს აქტი არის პოლიტიკური აქტი და მას ჩვენ აუცილებლათ სათანადო შესაბამი უნდა მივსცეთ"

**15 დეკემბერი. მესამე სხდომა**

გ. კვიცარიძე: — ,,დღევანდელი აუდიტორია და ჩვენი უნივერსიტეტი არის პროლეტარიატის ტაძარი. აქ სუნი არ უნდა უდიოდეს ეკლესიის საკმელს. საკმელის სუნი კი შემოაქვს პროფ. წერეთელს. ის არ არის ჩვენი სულის კვეთების პროფესორი. ჩვენ, ამისთანა პროფესორები, რასაკვირველია, ვერ გამოგვადგებიან და ვერ გამოგვიზდიან ნამდვილ პროლეტარულ კადრებს (ხანგრძლივი ტაში)

ცხაკაია: — საბჭოთა ხელისუფლების მე-15 წლის თავზე ჩვენ ვახდენთ რეაქციონური პროფესორების ფიზიონომიის გამოაშკარავებას და გამათრახებას.

**მეოთხე სხდომა. 17 დეკემბერი**

ასპირანტი ყალიჩავა: — ,,თავის წიგნში ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართველი ერის გამარჯვების სიმბოლო არის დავით აღმაშენებელი. რევოლიციის აღმშენებლობისათვის არ არის დავით აღმაშენებელი საჭირო, არამედ ის წითელი დროშაა, რომელსაც აწერია: **პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით. (ტაში)**

*(სტილი დაცულია)*

# დევნის მიუხედავად, პაპაჩემს ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდა ბატონ ივანესთან

### ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველ მოადგილესთან სანდრო დიდებულიძესთან

მანანა ჯურხაძე

1921 წელს, როცა საქართველოში ბოლშევიკები შემოვიდნენ, მან უარი თქვა პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორობაზე.

მას შემდეგ გადმოვიდა და დაიწყო აქტიური მუშაობა უნივერსიტეტში, როგორც პოლიტექნიკური ფაკულტეტის ერთერთმა შემქმნელმა, დეკანმა და ფიზიკის კათედრის გამგემ.



ბატონი ივანე განსაკუთრებული პიროვნება იყო. ჩვენს ოჯახში მისი წერილები ისე ინახება, როგორც რელიქვია. ასეთივე დიდი მოწიწებით ვინახავთ იმ სურათებს, რომელზეც აღბეჭდილია უნივერსიტეტის ყველა პროფესორი და, პირველ რიგში, ბატონი ივანეს გვერდით ჩამომჯდარი პაპაჩემი.

საგანგებოდ უნდა შევეხო გასული საუკუნის 30 წლებში ჩვენი ინტელიგენციის ტრაგიკულ ბედს.

თავისი დაფუძნებული უნივერსიტეტიდან გაძევებული ივანე ჯავახიშვილი წლების მანძილზე მუშაობდა მუზეუმში უბრალო თანამდებობაზე.

მასთან ურთიერთობას ერიდებოდნენ ხელისუფლების შიშით, თუმცა იყვნენ ადამიანები, რომლებიც ბატონ ივანეს არა მხოლოდ მორალურად, მატერიალურადაც ეხმარებოდნენ, სისტემატურად დადიოდნენ მასთან, სტუმრობდნენ ოჯახშიც. როგორც შთამომავალს, მეამაყება, რომ ამ მძიმე ვითარებაში ანდრია ბენაშვილთან ერთად პაპაჩემსაც ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდა ბატონ ივანესთან, თუმცა ეს დიდ რისკთან იყო დაკავშირებული.

**— ბატონ ალექსანდრეს რთულ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში მოუხდა მოღვაწეობა...**

— ცხადია, საქართველოსთვის მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი ძალიან მძიმე და დრამატული იყო. 1926 წელს პაპაჩემმა უარი თქვა დეკანობაზე და დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე არცერთ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე აღარ უმუშავია. 1946 წელს ენერგეტიკის ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა და გარდაცვალებამდე იქ მუშაობდა. 30-იან წლებში უნივერსიტეტს გამოეყო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელიც შეუერთდა ადრე არსებულ რუსულენოვან ინსტიტუტს. შემდეგ გამოეყო სამედიცინო, აგრარული, პედაგოგიური ინსტიტუტები და, პრაქტიკულად, უნივერსიტეტი, როგორც ასეთი, აღარ არსებობდა. არადა, ძლიერი უნივერსიტეტი — ეს არის ძლიერი ქვეყანა. როდესაც ორტეგა ი გასეტს უთხრეს, რომ ამერიკაში კარგი უნივერსიტეტები იმიტომ არის, რომ ამერიკა მდიდარი ქვეყანააო, მან უპასუხა: პირიქით, ამერიკა არის მდიდარი ქვეყანა იმიტომ, რომ მას აქვს კარგი უნივერსიტეტებიო. ეს არის ორტეგა ი გასეტის, განათლების უდიდესი სპეციალისტის პასუხი. ეს შეფასება ჩვენთვისაც გასათვალისწინებელია.

**— თქვენი აზრით, რა არის ივანე ჯავახიშვილისა და მისი თაობის უმთავრესი დამსახურება?**

— საქართველოში ქართულენოვანი უნივერსიტეტის დაარსება. ბოლშევიკების მცდელობის მიუხედავად, შემოეღოთ რუსულენოვანი სწავლება, ჩვენმა ინტელიგენციამ შეძლო დაემკვიდრებინა ქართული უნივერსიტეტი და შეექმნა ენათმეცნიერების, მათემატიკის, ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის საქვეყნოდ აღიარებული სკოლები.

ივანე ჯავახიშვილის უდიდესი დამსახურებაა ის, რომ უნივერსიტეტში მოღვაწე უცხოელი მეცნიერები — რუსები, უკრაინელები, ებრაელები ლექციებს ქართულ ენაზე კითხულობდნენ.

ივანე ჯავახიშვილი ყველა დიდი საგანმანათლებლო საქმის თაოსანი გახლდათ, და, კერძოდ, პოლიტექნიკური ფაკულტეტის დაარსებაც მის სახელთანაა დაკავშირებული.

**— ივანე ჯავახიშვილის და მისი თაობის მოღვაწეობის პერიოდზე საუბრისას ხშირად აღნიშნავენ მაშინ მოღვაწე მეცნიერთა მიერ უახლესი კვლევის მეთოდების შემოღებას. იყო თუ არა კვლევის ახალი მეთოდების დანერგვა მათი მთავარი მიღწევა?**

— რა თქმა უნდა, მოვიყვან კონკრეტულ მაგალითს. სწორედ ივანე ჯავახიშვილის მიერ შემოთავაზებული ერთერთი მეთოდი იყო (რომელზეც პაპაჩემმა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში იმუშავა და მონოგრაფიებიც გამოსცა) პალიმფსესტების წაკითხვის ახალი მეთოდი ინფრაწითელი სხივებით. მოგეხსენებათ, პალიმფსესტი ძველი პერგამენტია, რომლიდანაც ხდება ძველი ტექსტის წაშლა, წაფხეკა და მასზე ახლის გადაწერა. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ძველი ტექსტი გაცილებით უფრო ღირებულია. გარკვეული ფიზიკური მეთოდების გამოყენებით შეიძლება იმ ძველი ფენის წაკითხვა. მაშინ სწორედ ამ მეთოდის საშუალებით ძალიან ბევრი ძველი ხელნაწერის წაკითხვა გახდა შესაძლებელი.

**— რას გვეტყვით დღევანდელ საუნივერსიტეტო რეფორმაზე?**

— უნივერსიტეტში უნდა ხდებოდეს კვლევის ახალი მეთოდების დანერგვა. ჩვენი უმაღლესი განათლება გადაარჩინა კომერციალიზაციამ. არ არის მართალი, როცა ამბობენ, რომ რეფორმები უკანასკნელ ხანს დაიწყოო. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1991 წელს, მოხდა უმნიშვნელოვანესი რამ — დაარსდა კერძო უმაღლესი სასწავლებლები, სადაც ძალიან ბევრი მეცნიერი გადავიდა, სტუდენტთა რაოდენობა 60000-ით გაიზარდა. მოგვიანებით სახელმწიფო უნივერსიტეტებშიც შემოიღეს კერძო სექტორი, ამან უნივერსიტეტებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. თუმცა ამ პროცესს თან უამრავი ხარვეზი ახლდა. ჩვენ შევძელით იუნესკოს სტანდარტზე გადასვლა, რომლის მიხედვითაც დღეს ბაკალავრიატში დაახლოებით 90 სპეციალიზაციაა. ცხადია, შემდგომ მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში იზრდება სპეციალობათა რაოდენობა. პრინციპული გადაწყვეტილება იყო, რომ მივიღეთ კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, ჩატარდა აკრედიტაცია და ერთიანი ეროვნული გამოცდები.

სამწუხაროდ, კვლევების შედეგებით ირკვევა, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლებისთვის მხოლოდ 40%-ია მზად. ათ სტუდენტზე ერთი პროფესორი მოდიოდა, თანაც ბაკალავრიატში დაახლოებით 240 სპეციალობა გვქონდა. ამასთანავე კრიტიკას ვერ უძლებდა პედაგოგთა საქმიანობის ხარისხი. 75 ლარის მქონე პროფესორი ყოველ დღე რამდენიმე კერძო უნივერსიტეტებს შორის „დარბოდა" და არა თუ მეცნიერებისთვის, აკადემიური ლექციისთვის მოსამზადებელი დროც კი არ რჩებოდა. დღეს ხელფასები შედარებით მაღალია, თუმცა ეს პროფესორთა რაოდენობის შემცირების ხარჯზე ხდება. აქ შემარბილებელი როლი აკადემიურმა სტიპენდიებმა შეასრულა.

ადრე ვსწავლობდით 4-5 წელი და ეს მთელი სიცოცხლე გვყოფნიდა, დღეს კი ძალიან პოპულარულია — სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში.



(მარცხნიდან. სხედან) მიხეილ კონიაშვილი, გრიგოლ ნათაძე, ივანე ჯავახიშვილი, მიხეილ ზანდუკელი, ალექსანდრე დიდებულიძე, მიხეილ თაქთაქიშვილი, (დგანან) ნიკო მგელაძე, სერგო გორგაძე, იასონ მოსეშვილი, ანდრია ბენაშვილი, ვასილ კაკაბაძე, ნიკო ჩიგოგიძე, სოლომონ ქურდიანი, გიორგი ახვლედიანი, გიორგი კონიაშვილი, კორნელი კეკელიძე, ევგენი ჭოლოშვილი.

# ივანე ჯავახიშვილსა და სიმონ ჯანაშიას შორის დაძაბული ურთიერთობა მოკლევადიანი იყო

### ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორთან სიმონ ჯანაშიასთან

პირველი გვერდიდან

**— თვენი ბაბუა — სიმონ ჯანაშია ივანე ჯავახიშვილის პირველი ასპირანტი იყო. მათი კამათის ეპიზოდებს სამეცნიერო წრეებში იცნობენ. რას ყვებიან თქვენს ოჯახში ამ ორი მეცნიერის ურთიერთობაზე?**

— ბაბუაჩემი ბატონი ივანეს მოწაფე იყო და მისი ისტორიკოსად ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი სწორედ მას მიუძღვის. ჩემი ოჯახი ყოველთვის პატივს სცემდა, არა მარტო ბატონ ივანეს, არამედ მთელ მის ოჯახს. ბაბუაჩემს მამაჩემისთვის განსაკუთრებულად უსწავლებია: აი, ეს არის ბატონი ივანე და მას გამორჩეულ პატივს უნდა სცემდეო. სწორედ ის იყო პირველი ადამიანი, ვისაც მამაჩემმა თავი დაუკრა და მუდმივად აფასებდა. სამეცნიერო წრეებში ყველამ იცის მათთან დაკავშირებული ისტორია: სპეციალურ კრებაზე, სადაც ბატონ ივანეს აკრიტიკებდნენ, როგორც ბურჟუაზიული მეცნიერების წარმომადგენელს, ბაბუაჩემსა და ბატონ ნიკო ბერძენიშვილს მოუწიათ სიტყვით გამოსვლა და აღიარება იმისა, რომ ბატონი ივანე ნამდვილად არ იყო საბჭოთა მეცნიერი, მაგრამ ეს აბსოლუტურად არ გულისხმობდა იმას, რომ ის იყო ცუდი მეცნიერი. ცნობილ გამოსვლაში იყო ასეთი ფრაზაც — „ივანე ჯავახიშვილი ნამდვილად არის ძველი მეცნიერების წარმომადგენელი, ისეთივე ნაციონალისტი, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე". იმ დროს ილია ჭავჭავაძე დიდად არ უყვარდათ საქართველოში, ამიტომ ეს აღიქვეს, როგორც შეტევა ივანე ჯავახიშვილზე. სხდომის ამბები საკმაოდ დამახინჯებულად მიაწოდეს ბატონ ივანეს. მაშინ ბაბუაჩემსა და ივანე ჯავახიშვილს ძალიან დაეძაბათ ურთიერთობა. მაგრამ შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ, ისაუბრეს, ყველაფერი გაარკვიეს და მათ შორის ისევ ძველებური ურთიერთობა აღდგა. „მნათობში" გამოქვეყნებული იყო ბაბუაჩემისადმი ბატონი ივანეს რუსეთიდან მოწერილი წერილები, სადაც აღნიშნულია: (როგორც ჩანს, ბაბუაჩემი მონაწილეობდა მის რეაბილიტაციაში), — „ეტყობა მივლი და შენი ყურადღება ჩანსო". ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვის დღესაც ბაბუაჩემმა უნივერსიტეტის ეზოში სიტყვა წარმოთქვა.

**— მათ შორის კრიტიკა და კამათი მოინათლა დაპირისპირებად, რაც მაშინდელი მთავრობის ინტერესებში შედიოდა, ანუ სურდათ, ივანე ჯავახიშვილს თავისივე მოწაფეები დაპირისპირებოდნენ. მაგრამ, საბოლოო ჯამში, მათ ეს მაინც ვერ მოახერხეს...**

— რეალურად დაპირისპირება არც ყოფილა...

**— თუმცა, ამის მცდელობა იყო ხელისუფლების მხრიდან...**

— მცდელობა ნამდვილად იყო, რომ ჯავახიშვილის მოსწავლეებს წარმოეჩინათ იგი არა როგორც მეცნიერი, არამედ როგორც ფსევდომეცნიერი. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ მისმა მოწაფეებმა აღიარეს, ბატონი ივანე, მართალია, არ არის მატერიალური დიალექტიკის მიმდევარი, მაგრამ დიდი მეცნიერია.

**— უნივერსიტეტის დაარსება ქართველი ერის ისტორიაში უდიდესი მოვლენა იყო. თქვენ ხართ ისტორიკოსი და დღეს განათლების რეფორმაზეც მუშაობთ. რა ღირებულებების მესაძირკვლედ ითვლება უნივერსიტეტი და რა როლს ასრულებს იგი ქვეყნის განვითარებაში?**

— უნივერსიტეტის ერთერთი ძირითადი



ფუნქციაა, არა მარტო დააგროვოს მეცნიერული კვლევის შედეგები და გააკეთოს დასკვნები, არამედ განავითაროს კვლევის მეთოდები, რაც მეცნიერების განვითარებას განაპირობებს. დღესაც ეს არის გადამწყვეტი. ახალი კვლევის მეთოდების დანერგვა, პირველ რიგში, ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდების შემოღებას გულისხმობს. უნდა აღიზარდოს ახალი თაობა, რომელიც მონდომებული იქნება, მრავალმხრივი ინფორმაცია მოიპოვოს. მაგალითად, როდესაც იკვლევს ისტორიას, მას უნდა შეეძლოს სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია გამოიკვლიოს და გამოიყენოს. უნდა იცოდეს დემოგრაფიული, სოციოლოგიური კვლევის მეთოდები, სოციალური თეორიები, ფილოსოფიის საფუძვლები და ა.შ. საერთოდ, ადამიანმა ძალიან ბევრი რამე უნდა შეისწავლოს, რომ მას ისტორიკოსი ერქვას.

საინტერესო ფორმულირებას წავაწყდი ინტერნეტის თავისუფალ ენციკლოპედია — ,,ვიკიპედიაში". პირველად ვნახე ქართულად მსგავსი ფორმულირება, რომ ისტორია მეცნიერება კი არაა, არამედ მეცნიერებების კომპლექსია, რაც აბსოლუტურად გაუგებარი იქნება ნებისმიერი სტუდენტისთვის, რადგან დარწმუნებული ვარ, არავის უთქვამს მათთვის, რომ შეიძლება ისტორიისადმი ასეთი მიდგომაც არსებობდეს. ეს გულისხმობს იმას, რომ სტუდენტს უნდა შეეძლოს მრავალ სხვადასხვა სფეროში მუშაობა. უნივერსიტეტში სწორედ ასეთი სისტემა იყო ჯავახიშვილის დროს. არსებობდა ძალიან დიდი ფაკულტეტები, ასე ვთქვათ, დაყოფა არც ყოფილა და ამან განაპირობა, რომ იმ დროში ფართო დიაპაზონის მეცნიერები იყვნენ. მაგალითად, ბაბუაჩემს შეეძლო, ყოფილიყო ისტორიკოსი და ერთდროულად ემუშავა როგორც ევროპულ, ისე აღმოსავლურ წყაროებზე, არქეოლოგიაში, ენათმეცნიერებაში. დღეს, განათლების ის სტრუქტურა, რაც უნივერსიტეტშია, ძალიან პატარა შანსს იძლევა მსგავსი შესაძლებლობების მეცნიერის ჩამოყალიბებისათვის.

**— ნიშნავს თუ არა ეს ვიწრო სპეციალობაზე უარის თქმას, თუ პირიქით, ეს მიუთითებს კვლევის მეთოდების გაღრმავებაზე ორიენტირებულ სწავლებას კონკრეტული საგნისას?**

— ჩვენთან, მაგალითად, შეიძლება გახდე ისტორიკოსი ისე, რომ რეალურად არ იცოდე ბერძნული ან ლათინური. ეს არის აბსურდი. მეცნიერს, რომელსაც მეორადი წყაროების გამოყენება სჭირდება და მას ორიგინალში ვერ კითხულობს — ეს ჩვენთან დიდ ტრაგედიად არ ითვლება. ევროპაში კი შეუძლებელია — შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალისტი გახდე ისე, რომ არ იცოდე ის ენა, რომელზეც წყაროები უნდა წაიკითხო. მოვიყვან მაგალითს: ვარ ძალიან ვიწრო სპეციალობის — ვსწავლობ საქართველოს ისტორიის გარკვეულ პერიოდს, წყაროებს ორიგინალში ვერ ვკითხულობ, რადგან არ ვიცი არც ბერძნული, არც სომხური, არც ლათინური, კვლევის მეთოდებს ძალიან ცოტას ვიცნობ, არ ვიცი, როგორ გამოვიყენო სტატისტიკური მეთოდები, რომელნიც საერთოდ არ ვიცი, მათემატიკა არ მისწავლია, სკოლაშიც ბოლო წლებში ჰუმანიტარულ საგნებს ვსწავლობდი, გეოგრაფიაც კი ისწავლებოდა თითო-თითო სემესტრი (კვირაში ერთხელ) მაგრამ ამ დროში შეუძლებელია გეოგრაფიის სწავლა. სამაგიეროდ, ვსწავლობდი საბიბლიოთეკო და სხვა მსგავს საგნებს. ამის გარდა, იყო ისეთი საგნებიც, რომლებიც თავისთავად საინტერესოა, მაგრამ... საბოლოოდ, გამოდის, რომ მე ვითომ ყველაფერი ვიცი, სინამდვილეში კი არც ზოგადი განათლება მაქვს და არც კონკრეტული, სპეციალიზებული. ეს არის თავის მოტყუება და მეტი არაფერი.

**— მეცნიერების განვითარებაში ივანე ჯავახიშილის როლზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება, გამოვყოთ ძირითადი, თქვენი აზრით, რა არის მისი უმთავრესი დამსახურება?**

— ამ ადამიანმა შექმნა ეპოქა, რომელიც შემდგომი განვითარების დასაწყისი გახდა, მან მისცა ბიძგი საქართველოში ძალიან ბევრი მეცნიერული დარგის განვითარებას. ეს დაახლობით იგივეა, რაც საფრანგეთში განმანათლებლებმა შეძლეს. ეს არ არის, უბრალოდ, მცდელობა მეხსიერებაში ადამიანის როლის გასაძლიერებლად. ივანე ჯავახიშვილის იუბილეს ეს ნაკლებად ეხება, იმიტომ, რომ ძალიან ცოტა ხალხია დარჩენილი, ვისაც ახსოვს ბატონი ივანე, მაგრამ ხშირად ვყოფილვარ ისეთ იუბილეებზე, სადაც, ძირითადად ისმის ხოლმე ფრაზები: მახსოვს, შევხვდი, მან ეს მითხრა, მე ეს ვუთხარი... სინამდვილეში უფრო მნიშვნელოვანია, დავინახოთ ამ ადამიანის როლი მეცნიერების შემდგომ განვითარებაში. ივანე ჯავახიშვილს ქართველების, როგორც ერის ჩამოყალიბებაში, უდიდესი წვლილი მიუძღვის. სწორედ დიდმა ივანემ და მისმა თაობამ განაპირობა ის, თუ როგორები ვართ ჩვენ დღეს.



ივანე ჯავახიშვილი მოწაფეებთან — სიმონ ჯანაშიასა (მარცხნივ) და ნიკო ბერძენიშვილთან

# თავად შევესწარი ბატონი ივანეს სიკვდილს

## იხსენებს ივანე ჯავახიშვილის თანამებრძოლის, აკაკი შანიძის ქალიშვილი მზექალა შანიძე

პირველი გვერდიდან

**— ქალბატონო მზექალა, ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი ქართული მეცნიერებისთვის ფასდაუდებელია. რას ნიშნავს იგი თქვენთვის, როგორც მეცნიერისა და პიროვნებისთვის?**

— ივანე ჯავახიშვილი მარტო ჩემთვის კი არა, ყველასთვის ნიშნავს მხოლოდ ერთს — ის არის უნივერსიტეტის დამაარსებელი. უნივერსიტეტის დაარსება კი ილია ჭავჭავაძის მოქალაქეობრივი მოღვაწეობის შემდგომი ეტაპი და დიდი საზოგადოებრივი მოვლენა იყო.

ივანე ჯავახიშვილს ძალიან კარგად ესმოდა, რომ ქართველების კონსოლიდაცია და ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება უმაღლესი ეროვნული სასწავლებლის გარეშე არ შეიძლებოდა. ამიტომაც იკისრა ქართული განათლების კერის დაფუძნების საორგანიზაციო საქმე, რომელსაც წინ უზარმაზარი წინასწარი სამუშაოები უძღოდა — XX საუკუნის დასაწყისიდან თითქმის 15 წელი ემზადებოდა უნივერსიტეტის დაარსებისთვის. ეს მისი უდიდესი დამსახურებაა.

რაც შეეხება იმას, თუ როგორი მეცნიერი იყო ივანე ჯავახიშვილი, მოგახსენებთ, რომ, არსებითად, ის არის ისტორიის, როგორც მეცნიერების მესაძირკვლე თანამედროვე ეპოქაში. XIX საუკუნეში საქართველოს ძალიან კარგი ისტორიკოსები ჰყავდა, მაგრამ მხოლოდ მეორე ნახევარში დაიწყო საქართველოს სიძველეების შეგროვებაზე ზრუნვა. ამავე პერიოდში დაარსდა საეკლესიო მუზეუმი და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ანუ, გაჩნდა საჭიროება მეცნიერული მუშაობისა, მაგრამ ამისთვის სისტემური ხასიათის მიცემა მხოლოდ უნივერსიტეტში მოხერხდა.

ეს საქმიანობა შემდგომ მის წინააღმდეგ შემოტრიალდა. 30-იან წლებში მას ყოვლად გაუგებარ ბრალდებებს უყენებდნენ: ბრალს დებდნენ, რომ ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწერილი ისტორია არის ბურჟუაზიული; აყვედრიდნენ იმასაც, რომ მისი ნაშრომები ფაქტოლოგიურია, ანუ, მხოლოდ ფაქტების გროვაა და მეტი არაფერი. რეალურად, ივანე ჯავახიშვილს ჰქონდა სრულიად ჩამოყალიბებული კონცეფცია. ფაქტების გარეშე ისტორიული კვლევა რა არის? — არაფერი! და ამ მომცრო



მზექალა შანიძე

ტანის სუსტმა, ავადმყოფმა ადამიანმა იმდენი სამუშაო შეასრულა, იმდენი მასალა დააგროვა, იმდენ რამეს მოუყარა თავი და იმდენ დარგში დაწერა პირველი ფუძემდებლური ნაშრომი, რომ შემდგომ რაც უნდა მოხდეს, რაც უნდა ახალი გამოჩნდეს (და უთუოდ გამოჩნდება ახალი არა მხოლოდ მასალა, არამედ კონცეფციებიც), ივანე ჯავახიშვილი მაინც დარჩება ქართული მეცნიერების მესაძირკვლედ.

**— ბატონი აკაკი შანიძე იყო ის მეცნიერი, რომელმაც დიდი შემოქმედებითი გზა გაიარა ივანე ჯავახიშვილთან ერთად. მათი ურთიერთობა მხოლოდ მეცნიერული თანამშრომლობა იყო თუ მეგობრულიც?**

— ჩემს ოჯახში, ისე, როგორც მისი უშუალო მოწაფეების ოჯახებში, ბატონი ივანე მიაჩნდათ ზეკაცად, მოწიწებით ექცეოდნენ, რაც სრულებით არ უშლიდათ ხელს მეცნიერულ საკითხებზე ედავათ, ეკამათათ და განსხვავებული აზრები ჰქონოდათ.

**— ანუ მათ შორის პოლემიკასაც ჰქონდა ადგილი?**

— მამა თავის წერილებში მიმართავს ივანე ჯავახიშვილს და მიუთითებს, რომ გარკვეულ საკითხებში მის მოსაზრებას არ ეთანხმება.

**— კონკრეტულად?**

— მაგალითად, ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ქართული ანბანის საწყისი მოდელი არის სემიტური, მამა კი ყოველთვის იმ აზრისა იყო, რომ ეს არის ბერძნული. ერთსაც ჰქონდა თავისი არგუმენტები და მეორესაც, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს იმ დამოკიდებულებას, რაც ზემოთ აღვწერე.

**— საზოგადოებისთვის ბევრი რამაა ცნობილი ივანე ჯავახიშვილის, როგორც უდიდესი მეცნიერის შესახებ. შედარებით ნაკლები ვიცით მასზე, როგორც პიროვნებაზე. თუ გაიხსენებთ, როგორ ახასიათებდა მას ბატონი აკაკი, რა თვისებების მატარებელი იყო, როგორი იყო მეცნიერებაში და როგორი — პირად ურთიერთობებში?**



ივანე ჯავახიშვილი პროფესორებთან ერთად (სხედან, მარცხნიდან) ალექსანდრე წერეთელი, აკაკი შანიძე, ივანე ჯავახიშვილი, გრიგოლ ნათაძე; (დგანან) იასე ცინცაძე, ლუარსაბ ანთაძე, გიორგი გოზალიშვილი, ლევან მუსხელიშვილი, 1930 წელი.

— ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვაზე მამაჩემმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა: ახლა უნდა ვთქვა ის, რაც მის სიცოცხლეში ვერასოდეს გავბედეო. იგულისხმებოდა ივანე ჯავახიშვილის პიროვნული თვისებები და თავმდაბლობა. ბატონ ივანეს არ უყვარდა მის ღირსებებზე საუბარი და არასოდეს იგუებდა პირში შექებას. მამაჩემმაც კი, მხოლოდ მაშინ გაბედა ამაზე საუბარი, როცა მის საფლავთან იდგა.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ — ის არ იყო ჩვეულებრივი კაცი. მეცნიერიც ბევრია და ორგანიზატორიც, მაგრამ ერთ კაცში თავმოყრილი შინაგანი ძალა, მიზანდასახულობა, უაღრესი თავმდაბლობა, საქმისადმი ერთგულება ხშირად არ გვხვდება. ამით იყო ის ყველასაგან გამორჩეული.

**— თქვენ, პირადად, გახსოვთ ივანე ჯავახიშვილი?**

— ძალიან კარგად მახსოვს. ჩვენს ოჯახშიც სტუმრობდა და მეც დავდიოდი მათთან. უფრო მეტიც... მე შევესწარი მის სიკვდილს. 14 წლისა მამამ წამიყვანა იმ ლექციაზე, რომელიც ბატონი ივანესთვის უკანასკნელი აღმოჩნდა. მამას მიაჩნდა, რომ ამ ასაკის ბავშვი უკვე უნდა ერკვეოდეს რაღაცეებში და არ უნდა იყოს ინფანტილური. იმ საბედისწერო დღეს ჩემი თვალით ვნახე, როგორ წამოიქცა კაცი...

# მხოლოდ განათლება მოგვცემს მკაცრ გარემოში თვითდამკვიდრების საშუალებას

## ინტერვიუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდიატთან ლერი თავაძესთან

სოფო ზურაბიანი

**22 წლის მომავალი ისტორიკოსი ლერი თავაძე საკუთარ ბიოგრაფიაზე საუბრისას ივანე ჯავახიშვილის სახელს, სულ მცირე, ორჯერ მაინც ახსენებს: პირველად იმიტომ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს და მეორედ იმის გამო, რომ ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდიის მფლობელია.**

**თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სპეციალობის მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტი ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო ნომრის სტუმარია.**

**— როგორ მოიპოვეთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდია?**

— კონკურსი ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ჩატარდა. მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველა მსურველს, ვისაც მაღალი აკადემიური მაჩვენებელი ჰქონდა. ტესტირებით ზოგადჰუმანიტარულ განათლებას ამოწმებდნენ. მე, უმაღლესი — 80 ქულიდან, 70 ქულა დავაგროვე და ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდიატი გავხდი. ვამაყობ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველაზე საპატიო სტიპენდია მერგო.

**— უნივერსიტეტი ივანე ჯავახიშვილის იუბილეს ყოველ წელს განსაკუთრებით აღნიშნავს. იმდენად ფართოა ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული და საზოგადო მოღვაწეობის სფერო, რომ, ამ მხრივ, ისტორიკოსებს ბევრი გაქვთ სასაუბრო...**

— ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი განუზომელია. მან მთელი ცხოვრება საქართველოს ისტორიის შესწავლას მიუძღვნა. მართალია, მანამდეც იყვნენ გამოჩენილი ისტორიკოსები — მარტო ვახუშტი ბაგრატიონის „ცხოვრებაĴ ქართლისაĴ“ რად ღირს, მაგრამ ჯავახიშვილმა კომპლექსურად გამოიკვლია საქართველოს ისტორია, თანამედროვე ისტორიული მეთოდოლოგიის გამოყენებით. მან შეისწავლა ქართული სამართლის და ეკონომიკის ისტორია. საფუძველი ჩაუყარა ქართულ ნუმიზმატიკას. მისი დამსახურება შეუფასებელია. ივანე ჯავახიშვილს დიდ პატივს ვცემ, როგორც ერთერთ ყველაზე გამოჩენილ მოღვაწეს, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დააფუძნა. უნივერსიტეტის დაარსების იდეის ხორცშესხმას რუსეთის ცარისტული მთავრობა აქტიურად ეწინააღმდეგებოდა იმის შიშით, რომ უნივერსიტეტში თავს მოიყრიდა ქართული ელიტა. წინააღმდეგობების მიუხედავად, 1918 წელს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს (ძველი სტილით 25 იანვარს), უნივერსიტეტი დაარსდა და ეს დღე ქართული მეცნიერების აღორძინების სიმბოლოდ იქცა.

**— უნივერსიტეტის დამაარსებელი უნივერსიტეტიდან გააძევეს. როგორ შეაფასებდით იმ პერიოდს როგორც მომავალი ისტორიკოსი?**

— მახსენდება ერთი საინტერესო ეპიზოდი: ყველასთვის ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილი და სარგის კაკაბაძე მეცნიერულ საკითხებზე ხშირად კამათობდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ პროფესიული დისპუტი იყო. კომუნისტების პერიოდში ჯავახიშვილის მოღვაწეობას აქტიურად აკრიტიკებდნენ სწორედ იმის გამო, რომ იგი თავის შრომებში მარქსისტულ-ლენინურ ხედვებს არ აყალიბებდა. ჯავახიშვილს საგანგებოდ დაუპირისპირეს მისი გაზრდილები — აკადემიკოსები სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი. მათ „ამხილეს“ ივანე ჯავახიშვილი მკაცრად და უსამართლოდ. ერთადერთი, ვინც ჯავახიშვილი დაიცვა და აღნიშნა, რომ მას უსამართლოდ ექცეოდნენ, იყო სარგის კაკაბაძე — მისი მუდმივი მეტოქე და კრიტიკოსი.

**— ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების მიერ 88 წლის წინ თბილისის უნივერსიტეტის დაარსება ქვეყნის ისტორიაში უდიდეს მოვლენად შეფასდა. რას ფიქრობ, დღევანდელ უნივერსიტეტზე, როგორც თსუ-ს სტუდენტი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდიატი?**



— მაქვს იმის განცდა, რომ გამორჩეულ უნივერსიტეტში ვსწავლობ. იგი ყველაზე ძველია არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიაში. ამავე დროს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტს სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან ყოველთვის ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონდა. უნივერსიტეტი ქვეყნის სახეა, ამიტომ პრობლემები მასაც შეეხო. ისევე როგორც წლების წინ, დღესაც ქართველი ახალგაზრდებისათვის ყველაზე პრესტიჟულია აქ სწავლა. ვთვლი, სხვა სასწავლებლებთან შედარებით, ჩვენს უნივერსიტეტში ტრადიციები უფრო მეტად არის შენარჩუნებული და სწავლის დონეც უფრო მაღალია.

**— რომ შეგეძლოს, რას შეცვლიდი უნივერსიტეტში?**

— გარკვეულ ცვლილებებს შევიტანდი სწავლის პროცესში. ჩემთვის, როგორც მომავალი ისტორიკოსისთვის, მნიშვნელოვანია პრაქტიკა. აუცილებელია ველზე გასვლა და მუშაობა, ისტორიული ძეგლების ადგილზე შესწავლა, ფოტოგრაფირება, დამუშავება და ა.შ. იმედია, რეფორმების წარმატებით დასრულების შემდეგ ეს პრობლემაც მოგვარდება.

**— სტუდენტურ თვითმმართველობას უნივერსიტეტში ცვლილებების განსახორციელებლად მართვის გარკვეული ბერკეტები აქვს. შენ თუ აქტიურობ ამ მხრივ?**

— სტუდენტური თვითმმართველობა ყველგან არსებობს და, ბუნებრივია, საქართველოშიც უნდა არსებობდეს. მაგრამ, ჩვენთან, ამ ინსტიტუტს დახვეწა სჭირდება. თვითმმართველობა უფრო მეტად გამჭვირვალე და ინტელექტზე ორიენტირებული უნდა გახდეს. ამასთან, კარგი იქნება, თუ სტუდენტური კლუბები უნივერსიტეტში კონკრეტული დარგების მიხედვით შეიქმნება.

**— თქვენს მომავალ გეგმებზე რას იტყვით?**

— მახსოვს, დედაჩემმა ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ II, III, და IV ტომები მომიტანა. მაშინ, დაახლოებით, 17 წლის ვიყავი. ბრწყინვალე მეცნიერული ენით დაწერილი ტომების წაკითხვის შემდეგ გავიგე, როგორ შეიძლება იწერებოდეს საქართველოს ისტორია. ამ ტომებს დღესაც სიამოვნებით ვკითხულობ. მიყვარს საქმე, რომელსაც ვაკეთებ. ვაპირებ სამეცნიერო მუშაობის გაგრძელებას, მინდა, შევისწავლო შუა საუკუნეების ისტორია, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრიობა შენარჩუნებული ჰქონდა. მაგისტრატურის შემდეგ შევეცდები, დოქტორანტურაშიც დავრჩე.

**— რას ურჩევდი ივანე ჯავახიშვილის მომავალ სახელობით სტიპენდიატებს?**

— ისწავლონ გულისხმიერად! ისევ თავისი ინტელექტისა და განათლების წყალობით თუ მოიპოვებენ წარმატებას მომავალში. სამსახურის შოვნა, დღეს, არც თუ ისე იოლია. კონკურენცია კიდევ უფრო გაიზრდება და მხოლოდ განათლება და პრაქტიკული უნარ-ჩვევები მოგვცემს ასეთ მკაცრ გარემოში თვითდამკვიდრების საშუალებას.

# დოკუმენტი საიდუმლო გრიფით

**ზურაბ გაიპარაშვილი**
**უნივერსიტეტის სამუზეუმო სამსახურის უფროსი**

უნივერსიტეტის ისტორია მე-20 საუკუნის საქართველოში განვითარებული პროცესების კვალდაკვალ იწერებოდა. არ დარჩენილა საქართველოში განვითარებული არც ერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც თავისი კვალი არ დაემჩნია თბილისის უნივერსიტეტზე, ხშირად პირიქითაც ხდებოდა — უნივერსიტეტიდან იღებდა სათავეს მრავალი პროცესი, რომელიც მერე საყოველთაო ხასიათს იძენდა, უნივერსიტეტი განსაზღვრავდა საქართველოს არამარტო სამეცნიერო-საგანმანათლებლო თუ კულტურულ ვექტორებს, არამედ პოლიტიკურ განწყობილებებსაც. უნივერსიტეტის პოფესორ-მასწავლებლები თუ სტუდენტები ხშირად თავად იყვნენ მრავალი ინოვაციის, ეპოქალური მნიშვნელობის აღმოჩენის, გამოგონებისა და წამოწყების ავტორები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობების სათავეში მდგომნი და ხშირად კი — მსხვერპლნი იმ სისხლის წვიმებისა, რომლებმაც ომებისა თუ იდეოლოგიური რეპრესიების სახით გადაუარეს საქართველოს...

ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო დღეებში მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებ ჩვენი უახლესი ისტორიის უმძიმეს მონაკვეთს — 1937 წლის განუკითხაობის სახელით რომაა ჩვენთვის ცნობილი. მრავალი ახალგაზრდა შეეწირა იმ წლებს, მათ შორის — უნივერსიტეტის სტუდენტები. ზოგისთვის ძნელი შესაგუებელი იყო ცხოვრების საბჭოური წესი, ზოგი ჩუმად ოცნებობდა საქართველოს დამოუკიდებლობაზე, მათგან მცირედი ბედავდა ხმამაღლა ამის გაცხადებას თუ მოქმედებას, უმრავლესობა აპოლიტიკური იყო (მაშინდელი კანონმდებლოდან გამომდინარე — უდანაშაულო), თუმცა ბევრი მათგანი მოხვდა ციხეში, საკონცენტრაციო ბანაკებში, მრავალი ცოცხალი ვეღარ დაბრუნდა.

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ივანე ჯავახიშვილის პირად არქივში ასობით უამრავი საინტერესო დოკუმენტი ინახება. აქ დიდი მეცნიერის ქალიშვილის ნათელა ჯავახიშვილის რუდუნებით დამუშავდა ივანე ჯავახიშვილის უმდიდრესი საარქივო სამეცნიერო და ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომლის წიგნად გამოცემული აღწერილობა (შედგენილია ა. ბაქრაძისა და ნ. ჯავახიშვილის მიერ), მისი სამეცნიერო აპარატი თვალსაჩინო ნიმუშია საარქივო-სამუზეუმო მემკვიდროების მოვლისა და დაცვის თვალსაზრისით.

მკითხველს ვთავაზობ ივანე ჯავახიშვილის ამ ფონდში დაცული ერთი წერილის პუბლიკაციას, რომელიც ივანე ჯავახიშვილისთვის შუა აზიაში გადასახლებულ სტუდენტებს მოუწერიათ. დიდხანს ეს დოკუმენტი საიდუმლო გრიფით ინახებოდა და მკვლევართათვის ხელმიუწვდომელი იყო. ბარათი დაწერილია ფანქრით სამი ფურცლის ორივე გვერდზე. თან ახლავს ვინმე ,,დობრი უზბეკის'' მელნით ნაწერი პატარა წერილი: "Edf ;\ Ghjatcjh! Bp pf цevfyjcnb bcgjkyz. ghjc,e vjkjls[ cneltynjd, dscëàyys[ d chtl\ Fpb. d nf i r\ Hfbjy b gjcbkf. gbcvj dfv xthtp jlye ;tyxbye цehl ;f\

Gbcvj gthtlfk yf cn\ Csh-Ifhbz.\

Gjvjubnt tnbv ytcxfcnysv cneltynfv\ Jxtyü ghj i e\

Lj,hsq Ep,tr\ 8$*^^ 38 ц\@ (სტილი ყველგან დაცულია).

წერილი ჩადებული იყო კონვერტში, მარკის გარეშე. კონვერტს აქვს მხოლოდ თბილისის საფოსტო დამღა. რუსულად მელნით აწერია: "цjh\ N,bkbcb\ Dfrt\ Edf ;\ Ghjatcjhe Bdfye L ; fdf[b idbkb\ Kbxyj\ Bp Ep,trbcnfyf@\ ამავე კონვერტზე განსხვავებული ხელით მიწერილია: "Ek\ Rfkbybyf, 66@ — ივანე ჯავახიშვილის სახლის მისამართი. უნდა ვივარაუდოთ, რომ წერილი უნივერსიტეტში მიიტანეს და უნივერსიტეტიდან გადაუგზავნეს ადრესატს, სწორედ ამიტომ აქვს კონვერტს საფოსტო დამღა.

უცნობი დარჩა სტუდენტების ვინაობა, რომლებმაც ეს წერილი გამოუგზავნეს დიდ მეცნიერს. არც ისაა ცნობილი, ბარათი ნამდვილად გადასახლებული და განწირული ახალგაზრდების ხელითაა დაწერილი, თუ ეს წერილი ივანე ჯავახიშვილისთვის დაგებული ხაფანგი იყო. სამწუხაროდ, ისიც უცნობია, თუ როგორ მოიქცა ივანე ჯავახიშვილი, განაცხადა თუ არა წერილის მიღების შესახებ, სცადა თუ არა სტუდენტების დახმარება?.. ერთი კი ფაქტია, ივანე ჯავახიშვილმა წერილი არ გაანადგურა და მას სახლში ინახავდა. თუნდაც ეს ფაქტი, იმ დროს, გმირობის ტოლფასი იყო.

### გადასახლებული სტუდენტების წერილი თუ დაგებული ხაფანგი?!

1938 წ. 5/XII სპეცლაგერი

**ჩვენო უძვირფასესო დიდო პროფესორო პატივცემულო ივანე!**

**სალამი შუა აზიის უდაბნოებიდან!**

პირველად დიდ ბოდის ვიხდით თქვენს წინაშე, რომ რამდენიმე წუთი უნდა წაგართვათ თქვენი ძვირფასი დროიდან, მაგრამ იმედი გვაქვს, გვაპატიებთ.

პატივცემულო პროფესორო, ჩვენ ერთმა ჯგუფმა სტუდენტებმა, რომლებიც უმართებულოთ დაგვაპატიმრეს, შემდეგ კი უკანონოთ გადმოგვასახლეს აქეთ, გადავწყვიტეთ მოგვემართნა თქვენთვის და თქვენი საშუალებით ჩვენი სიალალ-მართლე, სავსებით უდანაშაულობა გვეცნობებია ჩვენი მამისთვის — დიდ სტალინისთვის და მის ერთგულ მოწაფის დიდათ პატივც. ბერიასათვის (ჩვენ აქედან არა ერთხელ გაუგზავნეთ საჩივრები, მაგრამ მთელი 100% ვართ დარწმუნებული, რომ აღნიშნული წერილები მათამდე არ მივიდა, ვილაც მტერმა უსინდისოთ გადაყლაპა ისინი).

პატივც. პროფესორო, ჩვენი სამშობლოს სიამაყევ, ჩვენ კარგათ გვესმის თქვენი გულის ნადები, თქვენი კეთილშობილება, თქვენი მაღალ-ჰუმანიური გრძნობები და იმიტომა გწერთ.

გვიშველეთ, ვიღუპებით, ბევრი ახალგაზრდა უკვე სამუდამოთ გამოეთხოვა ამ მუხთალ წუთისოფელს, სიკვდილის მომენტში მათ გამხდარ ათრთოლებულ ტუჩებზე მხოლოდდამხოლოთ ის ეკერა „ჩვენ უდანაშაულო ვიყავით, მუხთალმა მტერმა ჩაგვყარა, გადაეცით დიდ სტალინს, ბერიას, ფ. მახარაძეს, რომ ცამდე ალალმართალი ვიყავით, არასოდეს არ გაგვიფიქრია სამშობლოს ღალატი და ამ უდაბნოში ვკვდებით როგორც საუკეთესო სამშობლოს ერთგულნი, მშვიდობით ჩვენო მიწა-წყალო, მშვიდობით ჩვენო უტკბილესო უნივერსიტეტო, მშვიდობით ჩვენო დაჩაგრულო და გაუბედურებულო მშობლებო. გადაეცით მხურვალე სალამი ჩვენს პროფესორებს, განსაკუთრებით კი დიდ პროფესორს პატივც. ივანე ჯავახიშვილის"...

აი, პატივც. პროფესორო, ვინა ვართ და რათ ვიტანჯებით ტყუილ-უბრალოთ, გვიშველეთ, ვინც ჯერ ცოცხალნი ვართ, პირში სულები შეგვრჩა, ვგევართ ნამდვილ აკლდამიდან ამოღებულ ჩონჩხებს, გეხვეწებით, გემუდარებით შეგვიბრალეთ. ჩვენ ერთი მუჭა მტვერი ვართ სტალინის ფეხისა, ვკვდებით, ჩვენი თვალით ვხედავთ ხმალ ამოღებულ სიკვდილის აჩრდილს, შიმშილმა, წყურვილმა (ნეტა ერთხელ კიდევ დაგვალევინა ჩვენი სამშობლოს დიდი მდინარის მღვრიე მტკვრის წყალი, ერთხელ მაძღრისად გაგვაძღო ჩვენი ქართული პურით, ერთხელ კიდევ გვაყნოსია ჩვენი სამშობლოს ჰაერი) სიცივემ, $45^0$ ყინვებია, ჩვენ კი ტიტვლები ვართ თითქმის აღარც ცხვირპირი შეგვრჩა, აღარც ხელფეხი, მთელი სხეული, ეს დაძაბუნებული ჩვენი ლეში, მოძრულია, ჭკვა-გონება დაგვეჩლუნგა, წერა-კითხვა დაგვავიწყდა, წიგნის ასოები რაფერისაა აღარ ვიცით, სულიერათ დაცემული ვართ არავითარი მიწერ-მოწერის ნებას არ გვაძლევენ ჩვენიანებთან, არც იმათ იციან სადა ვართ და არც ჩვენ ვიცით მათი მდგომარეობა, აგერ წელიწადი, ორი წელიწადი უსრულდება ზოგს და ამ ხნის განმავლობაში მოწყვეტილი ვართ მათგან, რა არი ეს, ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ, რომ ეს ყველაფერი იცოდეს დიდმა სტალინმა და არაფერი ზომები არ მიიღოს ასეთ არა ნორმალურ და ბარბაროსულ მდგომარეობის გამოსასწორებლათ, არა გვჯერა არა და არა. დიდი სტალინი, პირველ ყოვლისა ხომ ადამიანია, იმასაც აქვს გული, ჰუმანიური გრძნობები, ისიც მშობელია და ადვილათ მიხვდება ყველაფერს. რაც ადამიანი დიდია, ბუმბერაზი, მით უფრო ლმობიერი ხდება და კეთილშობილი.

პატ. ივანე, ჩვენ უნივერსიტეტში არ ყოფილა არავითარი ფაშისტური ორგანიზაცია, ჩვენ არ ვიცით და არც გვსმენია ასეთი რამ, ჩვენ დაგვაპატიმრეს 1938 წლის იანვარ-თებერვალში და რა დიდი იყო ჩვენი განცვიფრება, როცა შინსახკომში აუტანელი ინკვიზიციური წამების შემდეგ წინადადება მოგვცეს ხელი მოგვეწერა განაჩენზე, რის შემდეგ გადმოგვასახლეს აქეთ. იტყვით თუ რათ მოვაწერეთ, მართალია დიდო პროფესორო, არ უნდა მოგვეწერა, მაგრამ ჯერ ერთი იმ წამებას სიკვდილი ათასჯერ გვერჩია, მერე ჩვენ ხომ ჯერ გაუფორმებელი ადამიანები ვიყავით, ბავშვები (ძველი დროის 30-35 წლ. კაცები ხომ არ ვიყავით), ცუდი არასოდეს არ გვენახა მუდამ ვცხოვრობდით დიდი სტალინის და ბერიას გამთბარი მზრუნველობის ქვეშ. ეხლა კი როცა ასეთი სიმწარე ვიგრძენით, უნდა გამოვტყდეთ — შევშინდით, ავკანკალდით, ავცახცახდით და ჩვენც ჩვენდა უნებურათ რაზე მოვაწერეთ ხელი არ გვახსოვს. ტროიკამ 10-10 წლით გადმოგვასახლა აქეთ, რატომ, რისთვის, დღესაც არ ვიცით, ვფიცავთ ჩვენ ახალგაზრდობას, ვფიცავთ დიდ სტალინის უმანკო სახელს, ვფიცავთ მის დედის საფლავს რომ ჩვენ 100% ალალ-მართალი ვართ, ყველანი სწავლის ფრიადოსნები ვიყავით, წესიერი კომკავშირლები, საზოგადო მოღვაწეები და სწორეთ მტერმაც ჩვენ გამოგვარჩია ბრინჯივით. გვიშველეთ, გკოცნით ხელებზე ჩვენო მამა, გააკეთეთ ისტორიული დიდი საქმე და გვიხსენით ახალგაზრდები სიკვდილისაგან.

*ტაშკ. მხარეს გადასახ. სტუდ."*

# ვცდილობ, ამ სახელის ღირსი ვიყო

## რას შთააგონებს ახალგაზრდა ფიზიკოსს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდიატობა

მაია ტორაძე

2006 წლის ივნისში იტალიის ქალაქ ნეაპოლში გაიმართა ფიზიკოსთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც, ცნობილ მეცნიერებთან ერთად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის სპეციალობის სტუდენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდიატი ბაჩანა ლომსაძეც იყო მიწვეული. მისმა ნაშრომმა, რომელიც შეეხება იონ-ატომური და იონ-მოლეკულური დაჯახების დროს მიმდინარე არადრეკად პროცესებს, ატომური სისტემების ევროპული ჯგუფის („38 th EGAS") დაინტერესება გამოიწვია.

ბაჩანა ჯერ მხოლოდ მესამე კურსის სტუდენტია, მისი სამეცნიერო საქმიანობა კი ბევრად ადრე, ჯერ კიდევ მეათე კლასში დაიწყო, როცა ატომურ-მოლეკულური დაჯახებების დროს მიმდინარე პროცესებით დაინტერესდა და არაერთ სამეცნიერო კონფერენციაში გაიმარჯვა. თუ ფიზიკისადმი მის თითქმის თანდაყოლილ ლტოლვას გავითვალისწინებთ, გასაოცარიც არაფერი იქნებოდა, რომ არა ერთი პარადოქსი — თავდაპირველად მშობლებმა ხელოვნების კოლეჯში შეიყვანეს და იმით კმაყოფილნი, რომ სწორად განსაზღვრეს შვილის მომავალი, მშვიდად დაელოდნენ მსახიობის კარიერას... სამყაროში კი ყველაფერი თავის კალაპოტს პოულობს. ყოველ შემთხვევაში, ფიზიკური მოვლენებისადმი დაინტერესებას ბაჩანა ასე ხსნის:

— თავდაპირველად ბუნებაში მიმდინარე პროცესები ჩემში გაოცებას იწვევდა. შემდეგ გაოცება ინტერესმა შეცვალა და, მიუხედავად იმისა, რომ მამაც ფიზიკოსი მყავს, აბსოლუტურად დამოუკიდებლად ჩავუღრმავდი ლიტერატურას. როცა მივხვდი, რომ ფიზიკის გარეშე არ შემეძლო, ფიზიკა-მათემატიკის სკოლაში გადავედი. აქედან დავიწყე კვლევითი სამუშაოები და რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა. შემდგომ ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და კვლევა განვაგრძე ბირთვული ფიზიკის კათედრაზე, კერძოდ, ატომურ-მოლეკულური დაჯახების პროცესების სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიაში, რაშიც უდიდეს დახმარებას მიწევენ პროფესორ-მასწავლებლები და კათედრის გამგე, პროფესორი ლერი ქურდაძე. სწორედ ამ ლაბორატორიაში ვმუშაობთ ტუტე მეტალთა იონების ინერტული აირის ატომებთან და მოლეკულებთან ურთიერთქმედებებზე. გვაქვს კარგი შედეგები, რომელთა საფუძველზეც გავხდი 5 სამეცნიერო შრომის ავტორი და თანაავტორი.



ბაჩანა ლომსაძე ლაბორატორიაში

ნაშრომები, რომელთა ავტორი და თანაავტორიც ვარ, გამოქვეყნებულია არგენტინაში, ინდოეთსა და იტალიაში. ერთ-ერთმა სტატიამ, სადაც საუბარია ჩაკეტილგარსიანი წყვილების შეჯახების შედეგად მიღებულ შედეგებზე — დიფერენციალური კვეთების, კუთხური და ენერგეტიკული დამოკიდებულების კვლევაზე, ატომური სისტემების ევროპული ჯგუფის ყურადღება მიიპყრო. მიუხედავად იმისა, რომ გრანტები შეზღუდული იყო, მაინც გამომიყვეს, რის შედეგადაც მონაწილეობა მივიღე ნეაპოლის საერთაშორისო კონფერენციაში.

ამგვარ კონფერენციებზე სტუდენტთა მონაწილეობა მხოლოდ ერთეულების ხვედრია და ასეთი ფაქტები შეუმჩნეველი არ რჩებათ საერთაშორისო სიმპოზიუმების ორგანიზატორებსაც. ალბათ, ამით იყო გამოწვეული ის, რომ ივლისში მიმიწვიეს ფრანკფურტის (გერმანია) ინსტიტუტში საერთაშორისო სკოლა-სიმპოზიუმზე, სადაც ლექციებს წამყვანი მეცნიერები ატარებენ. გარდა ლექცია-სემინარების მოსმენისა, ყველა სტუდენტს უნდა წაეკითხა ორიგინალური თემა. მე გავაკეთე მოხსენება ატომურ ნაწილაკთა დაჯახების დროს მიმდინარე ელემენტარული პროცესების შესახებ, რამაც, ვფიქრობ, დიდი ინტერესი გამოიწვია — სკოლა-სიმპოზიუმის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ რეკომენდაცია გამიწიონ ყველა ამ ტიპის ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად.

ოქტომბერში მიმიწვიეს საფრანგეთის მე-5 საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ეძღვნებოდა ატომურ-მოლეკულურ მონაცემებს და მათ გამოყენებას. კონფერენცია ჩატარდა პარიზის ობსერვატორიის ბაზაზე. მე წარვადგინე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომზადებული ორი ორიგინალური ექსპერიმენტალური ნაშრომი, რომელთა მონაცემები განთავსებული იქნება ვაშინგტონის სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ეროვნული ინსტიტუტის მონაცემთა ბაზაში.

**— ბაჩანა, შენ ხარ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდიატი. თუ გაქვს გათავისებული ამ სტატუსის მნიშვნელობა?**

— წინა წელს მიხეილ ნოდიას სახელობის სტიპენდიატი ვიყავი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდია წელს მომენიჭა. ეს ჩემთვის, ღირსების გრძნობასთან ერთად, უდიდესი პასუხისმგებლობაა. როცა არა მხოლოდ ქართული უნივერსიტეტის, არამედ ქართული მეცნიერების ფუძემდებლის სახელთან ერთად შენი სახელი იხსენიება, ნიშნავს იმას, რომ საკუთარ თავს მოდუნების უფლება არ მისცე. მე ვცდილობ, ამ სახელის ღირსი ვიყო.

**— სამეცნიერო კვლევები, სწავლა და სტუდენტისთვის საკმაოდ დატვირთული გრაფიკი თუ გაძლევს იმის საშუალებას, ჩაება სტუდენტურ მოძრაობაში?**

— რატომაც არა. დატვირთული გრაფიკი კი მაქვს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს მნიშვნელოვანი პერიოდია უნივერსიტეტის მომავლისთვის. ამიტომაც აქტიურად ვმონაწილეობ სხვადასხვა ღონისძიებაში. მაგალითად, უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება, რომლის წევრი მეც ვარ, თავმჯდომარის, ტარიელ კვიციანის დიდი მონდომებით და ჩვენი დახმარებით, ყოველწლიურად ატარებს სამეცნიერო კონფერენციებს, იწვევს სხვადასხვა პროფესიის საინტერესო ადამიანებს და მართავს მათთან შეხვედრებს. სხვათა შორის, ეს შეხვედრები სისტემატურია და სტუდენტთა დიდ ინტერესს იწვევს. ამასთან, ჩართულნი ვართ საქველმოქმედო აქციებშიც: ჩაგვაქვს წიგნები რეგიონებსა და კონფლიქტის ზონებში.

აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ მონაწილეობა მივიღე სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებშიც და ჩემი ფაკულტეტის 11 წარმომადგენელთან ერთად გავიმარჯვე. ვფიქრობ, ძალზე საინტერესო პროცესები იწყება და მიხარია, რომ მეც შემიძლია ჩემი უნივერსიტეტისთვის რაღაც გავაკეთო.

ვფიქრობ, სტუდენტი უნდა წარმოადგენდეს თავისი ფაკულტეტის ინტერესებს ამ ორგანოში. მან უნდა გაახმოვანოს ის კონკრეტული პრობლემა, რაც ხელს უშლის სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას. მიმაჩნია, რომ ამისათვის თვითმმართველობის ორგანო ყოველგვარი გარეშე ძალის ზემოქმედებისაგან დამოუკიდებელი უნდა იყოს და მხოლოდ საუნივერსიტეტო საქმით შემოიფარგლოს...

# ივანე ჯავახიშვილისა და ქართული უნივერსიტეტის დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სარწმუნოებრივი პოლიტიკისადმი

## სჯა-ბაასი საღვთისმეტყველო მეცნიერებაზე

**მანანა ლილუაშვილი**
საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის მთავრი სპეციალისტი

**ზურაბ გაიპარაშვილი**
უნივერსიტეტის სამუზეუმო სამსახურის უფროსი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსებიდანვე ქართული ეროვნული განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელად იქცა. უნივერსიტეტის პროფესორები აქტიურ როლს ასრულებდნენ რესპუბლიკის ყველა დონის სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების შედგენაში. 1918 წელს უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანმა ივანე ჯავახიშვილმა შეადგინა ფაკულტეტის მომავალი სამოქმედო გეგმა, სადაც იგი ვრცლად საუბრობდა იმ მიზნებსა და ამოცანებზე, რომელიც ამ ფაკულტეტს ეკისრებოდა ქვეყნისა და ხალხის წინაშე. მისი აზრით, „ქართულ მომავალ უნივერსიტეტშიაც უნდა იყოს ან ცალკე ღვთისმეტყველების ფაკულტეტი ან სიბრძნისმეტყველების, ან კიდევ ფილოსოფიურ ფაკულტეტთან სალექციო გეგმა და წასაკითხი საგნების სია უნდა იყოს წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული. თუნდაც რომ ცალკე ღვთისმეტყველების ფაკულტეტი შეიქმნას, მას პრაქტიკული ხასიათი კი არ უნდა ჰქონდეს, იქ მღვდელმსახურებისათვის კი არ უნდა ამზადებდნენ, არამედ მხოლოდ მეცნიერული თვალსაზრისით უნდა ხელმძღვანელობდეს... და მის ერთადერთ მიზანს საქრისტიანო დოღმატიკის, მწერლობისა, მთარგმნელობისა, საეკლესიო სამართლისა და ზნე-ჩვეულებათა მეცნიერულ-ისტორიული შესწავლა უნდა იყოს. ის უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ამ საგნებს მკვლევარი არ ჰყავს, სრულ უმაღლეს სასწავლებლად ვერ ჩაითვლება“ (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 7, ფურც., 54-55). როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ეს პროგრამა დიდი სჯა-ბაასის საგანი გამხდარა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს წინაშე. აზრთა სხვადასხვაობას, ბუნებრივია, კამათიც მოჰყოლია. ივანე ჯავახიშვილი გაბედულად ასაბუთებდა თავის მოსაზრებას და ამით იგი უპირისპირდებოდა მთავრობის ზოგიერთ წარმომადგენელს, ვინც ცდილობდა, რელიგიისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება თავს მოეხვია უნივერსიტეტის პროფესურისათვის. მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ჩვენში ბევრნი სარწმუნოებას ალმაცერად უყურებენ. ამის გამო თავიანთ ღირსების დამამცირებლად მიაჩნიათ საღვთისმეტყველო მეცნიერებაზე სჯა-ბაასიც კი, მაგრამ ამ შემთხვევაში ფრიად სამწუხაროა ვნებათა აღრევა და გაუგებრობაა... ამა თუ იმ სარწმუნოების აღიარება ან უარყოფა, ურწმუნოება, რწმენა ყოველი ადამიანის პირადი შეგნებისა და, რასაკვირველია, გრძნობის საქმეა, მაგრამ სულ სხვაა სარწმუნოებათა ისტორიულ-მეცნიერული შესწავლა. შეიძლება ადამიანი ურწმუნოც იყოს, მაგრამ რომ სარწმუნოებას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და იგი ადამიანთა მოდგმის სულიერი შემოქმედების ერთ-ერთი უძლიერესი დარგის გამოხატულობაა, ამის უარყოფა არავის შეუძლიან. ამიტომ თეორიით მეცნიერებაც მოვალეა სარწმუნოებათა მეცნიერულ-ისტორიული შესწავლა თავს იდვას, რაკი ჰუმანურ მეცნიერებათა მიზანი ადამიანის სულიერი შემოქმედების ყოველმხრივ გამოხატულების შესწავლაა“ (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 7, ფურც., 56-57). ივანე ჯავახიშვილი თავისი პოზიციის ამგვარი გამოხატვით ცდილობდა, წინ აღდგომოდა მთავრობის იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მიმართული იყო რელიგიის სწავლების წინააღმდეგ უნივერსიტეტში.

ივანე ჯავახიშვილი, თავის თანამოაზრეებთან ერთად, ადგენდა იმ მომავალი საგნების სიასაც, რომელიც აქ უნდა წაკითხულიყო: საეკლესიო ისტორია, ღვთისმეტყველებისა და საეკლესიო მწერლობის ისტორია, ქართული ძველი სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორია, საეკლესიო სამართალი. ლექციები უნდა წაეკითხათ ღვთისმეტყველების მაგისტროსს, პროფესორ კორნელი კეკელიძესა და პროფესორ იოსებ ყიფშიძეს. მაგრამ მთავარი იყო იმ კათედრის სახელწოდების შერჩევა, რომელიც შემდეგ ამ საქმეს უხელმძღვანელებდა.

1920 წლის იანვარში ივანე ჯავახიშვილის მიერ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოზე დაისვა საკითხი, რათა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე გამოყოფილიყო განსაკუთრებული ჯგუფი „სარწმუნოებრივ მეცნიერებათა შესასწავლად. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა სპეციალური კომისია ი. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის და ა. შანიძის შემადგენლობით, რომელთაც დაევალათ სახელის გამოძებნა ამ დარგისა, გარკვევა მისი სამეცნიერო დისციპლინებისა და შემდგომ სამოსწავლო გეგმის შედგენა“ (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწერი 6, საქმე 1, ფურც., 46). 1920 წლის 11 თებერვლის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სხდომათა დღიური გვამცნობს: „სარწმუნოებრივ მეცნიერებათა განყოფილების დაარსების შესახებ, შემდეგის დამატებით: შეტანილ იქნეს რელიგიის ფილოსოფიის კურსი“ (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწერი 6, საქმე 1, ფურც., 50).



ხოვლეს ეკლესია. გადაღებულია ივანე ჯავახიშვილის მიერ

ამ საკითხთან დაკავშირებით აქტიურად იღვწოდა კორნელი კეკელიძე, რომელსაც სასულიერო განათლება ჰქონდა მიღებული. მან შეიმუშავა სარწმუნოების დარგის მოწყობის გეგმა და სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს განსახილველად 1920 წლის 29 ივნისს წარუდგინა. ამრიგად, უნივერსიტეტში შეიქმნა „სარწმუნეობრივი მეცნიერების ახალი დარგი და საქრისტიანო სარწმუნოების განყოფილება, რომელიც აერთიანებდა საქრისტიანო სარწმუნოების სფეროს, მოგვიანებით მას დაემატა რელიგიის ფილოსოფიის კურსიც“ (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწერი 6, საქმე 1, ფურც., 69-72).

თითქოს წინასწარმეტყველებასავით გაისმა საქართველოს ეკლესიის მამამთავარ კირიონ II-ის ჯერ კიდევ უნივერსიტეტის გახსნის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო დღეს წარმოთქმულ სიტყვაში გამჟღავნებული სურვილი, რომ „ქართულ ნორჩ უნივერსიტეტში მალე გაიხსნას ყველა განზრახული ფაკულტეტი და მიჰმატებოდეს მას საღვთისმეტყველო ფაკულტეტიც, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში არის მოწყობილი... სარწმუნოება არასდროს მტრულად არ უცქერდა მეცნიერებას და ამიტომ იგი მუდამ ეკედლებოდა სარწმუნოებას“ (უწმიდესისა და უნეტარესის საქართველოს პატრიარქის კირიონ მეორის მიერ წარმოთქმული სიტყვა თბილისის უნივერსიტეტის საზეიმო გახსნაზე, გაზეთი „საქართველო”, 1918 წ. 30 იანვარი).

ქართული ეკლესიის მსახურნი იმედოვნებდნენ, რომ ახლადფეხადგმულ უნივერსიტეტში სასულიერო ფენის წარმომადგენლებსაც ექნებოდათ უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა, ქართველ მრევლს ამიერიდან ეყოლებოდა ეროვნულ განათლებას ნაზიარები სამღვდელოება. საარქივო მასალებმა შემოგვინახეს ცნობები იმ საეკლესიო მსახურთა შესახებ, რომელნიც საქართველოს სხვადასხვა „ეკლესია-მონასტრებში მღვდელმსახურებთან ერთად ირიცხებოდნენ უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელებად“ (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწერი 6, საქმე 1, ფურც., 72). ჯრუჭის ეკლესიის არქიმანდრიტი პავლე, რომელიც ათონის მონასტერშიც მოღვაწეობდა 2 წლის განმავლობაში, ითხოვდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად მიღებას: „რადგან მოვესწარი ქართულ უნივერსიტეტს, სურვილი მაქვს, არ მოვაკლდე სწავლა-განათლებას და ვიქნე უფრო ერთგული მსახური ჩვენი ერისა და ეკლესიისა“, — სწერდა არქიმანდრიტი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას. (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწერი 6, საქმე 1, ფურც., 56).

1918-1921 წლებში ქართულ მეცნიერთა ყურადღება ზოგადად რელიგიისა და განსაკუთრებით, ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლისაკენ იყო მიმართული. ცარიზმის პოლიტიკის შედეგად საქართველოში ბევრი ტაძარი გაიქურდა, ბევრიც — კირით გადათეთრდა, მოგვიანებით კი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გაცემული განკარგულების შედეგად, დაიხურა ასობით ეკლესია-მონასტერი, დაიტაცეს და სახლებში წაიღეს უნიკალური საეკლესიო სარიტუალო ნივთები და ხატები. საჭირო იყო დარჩენილის გადარჩენა და, ბუნებრივია, ეს საქმეც უნივერსიტეტის მეცნიერებმა ითავეს. დაარსდა სამუზეუმო ფონდი, რომელმაც, ფაქტობრივად, ბევრი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნივთი გადაურჩინა ერს.

დაწესდა წამახალისებელი პრემიები იმ სასტუდენტო ნაშრომებისათვის, რომელიც ქართულ ეკლესიასა და მართლმადიდებლური სარწმუნოების თემას შეეხებოდა. აი, რას წერდა 1920 წლის 15 მარტით დათარიღებულ განცხადებაში მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი: „ამასთანავე ვადგენ 4000 მანეთს და გთხოვთ ეს ფული ხელ-უხლებელ თანხად დაიდოს, რომლის სარგებელი უნდა მოხმარებულ იქმნას სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მიერ სარწმუნოების და ეკლესიის ისტორიის დარგიდან დროგამოშვებით გამოცხადებულ თემაზე სტუდენტთა მიერ საუკეთესო თხზულებათა დასაჯილდოებლად... ჩემი სურვილია, რომ ჯილდოს ჩემი განსვენებული მეუღლის ალექსანდრე ივანეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანის სახელი ჰქონდეს.” ამ დოკუმენტს ახლავს რექტორის მინაწერი: „უნივერსიტეტის გამგეობამ სასურველად სცნო, თუ თქვენი დასტურიც იქნება თანხის სარგებელი ერთდროულ დახმარებად ეძლეოდეს თქვენ მიერ შერჩეულ მოსწავლეს” (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 57, ფურც., 79).

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტმა გამოყო კომისია, აკაკი შანიძის, დიმიტრი უზნაძის, შალვა ნუცუბიძის შემადგენლობით, და დაავალა მათ, შეემუშავებინათ წესდება საპრემიო თხზულებათა შესარჩევად. ასე უწყობდა ხელს თბილისის უნივერსიტეტი სტუდენტებში მართლმადიდებელი ეკლესიისადმი მეცნიერული ინტერესის გაღვივებას.

იმდროინდელი მთავრობა, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი თავისი არსებობის პირველი დღიდანვე ცდილობდა — „განათლების ეკლესიისაგან გამიჯვნას, ამით ისინი ფაქტიური გზამკვლევნი აღმოჩნდნენ რუსეთის კომუნისტური პარტიის ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკისა საქართველოში. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება საერო სასწავლებლებზე გამახვილდა, სადაც სასულიერო დისციპლინების სწავლება იზღუდებოდა“ (ქ. პავლიაშვილი, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია 1917-1921 წლებში, თბ., 2000 წ. გვ. 5).

1919 წლიდან სასწავლო პროგრამებიდან ამოიღეს საღვთო სჯულის სწავლება. საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ამ პოლიტიკამ საბოლოოდ ჩასცა ლახვარი იმ ეროვნულ სასკოლო განათლებას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ტრადიციულად საქართველოში არსებობდა.

ნიშანდობლივია, რომ საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებამ უკმაყოფილება გამოიწვია როგორც საერო სასწავლებლის პედაგოგთა შორის, ისევე საკათალიკოსო საბჭოს წევრებში, რომლებმაც 1920 წლის 21 აპრილს დახმარებისათვის მიმართეს უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს. საკითხის სათანადო შესწავლის შემდეგ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ საკათალიკოსო საბჭოს ამცნო, რომ „საღვთო სჯულის სწავლება სკოლებში სასწავლო გეგმის საკითხია“ (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწერი 6, საქმე 1, ფურც., 55-56). ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ უნივერსიტეტის პროფესურა არ ეთანხმებოდა ხელისუფლების საგანმანათლებლო რეფორმას და ქართული ტრადიციის ერთგული რჩებოდა.

ეროვნული საგანმანათლებლო რეფორმის გატარებაში აქტიურად ჩაებნენ უნივერსიტეტის მეცნიერები. ეროვნული განათლებისა და ქრისტიანული მოძღვრების სწავლების დაშვება-გამართლებისათვის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მოქმედების ნაირსახოვან ფორმებს მიმართავდა. მაგალითად, დამფუძნებელი კრების სხდომაზე სახალხო განათლების კომისიის წევრმა გრიგოლ ნათაძემ შემოიტანა წინადადება — „საღვთოსჯულის მაგიერ შეტანილი ყოფილიყო პროგრამაში რელიგიათა ისტორია და ეთიკა. ნ. ნანეიშვილს კი მიაჩნდა, რომ რელიგიის ისტორიასთან დაკავშირებულია რელიგიის წარმოშობის სხვა საკითხებიც, ეს პრობლემები კი მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიის ფილოსოფიასთან. ბოლოს კი სარწმუნოების ისტორია რელიგიის ფილოსოფიის ისტორიის სახეს მიიღებს“ (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწერი 6, საქმე 1, ფურც., 1).

თუ გადავხედავთ იმ პერიოდის საარქივო მასალებსა და პერიოდიკას, ვნახავთ, როგორ ცდილობდა, ქართული საზოგადოება წინ აღდგომოდა მთავრობის ამ გადაწყვეტილებას. სასულიერო ფენა, ქართველ მეცნიერებთან ერთად, ცდილობდა, ლავირების გზით, გადაეჭრა ეს პრობლემა. ხობის ეკლესიის არქიმანდრიტი იოანე კანდელაკი სწერდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას: „...ყველაფერზე უფრო შემძლებს და შეუდარებელს მოსწავლეების ზნეობრივი აღზრდისას წარმოადგენს სარწმუნოება. ეთხოვოს დამფუძნებელ კრებას, რათა საღმრთოსჯული საქართველოს ყოველგვარ სასწავლებელში ისევ იქნეს მიღებული სასწავლო საგნად. ვინაიდგან საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია და ამ ეკლესიის მსახურნი წარმოადგენენ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებას, ვინაიდგან სახელმწიფო ქმნის საზოგადოებრივ ცხოვრებას, ხოლო ეკლესია კი ზნეობრივად ამაღლებს ცხოვრებას ქრისტეს ჭეშმარიტების შეცნობით“ (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 138, ფურც., 6).

ამრიგად, იმდროინდელ ქართულ საზოგადოებას დაუშვებლად მიაჩნდა ქართული ეკლესიისა და მასთან დაკავშირებული საკითხების უგულებელყოფა, რადგანაც ეკლესია და სახელმწიფო ერთი განუყოფელი ნაწილია და თუ ქართველი ერი ფიზიკურად და ზნეობრივი თვალსაზრისით გადარჩა, ამაში ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას უდიდესი წვლილი მიუძღვის. „ეკლესია არ უნდა იქნეს განცალკევებული სახელმწიფოსაგან, უნდა სარგებლობდეს სახელმწიფო კანონების მფარველობით და მატერიალური მხრით უნდა იყოს უზრუნველყოფილი“ (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 138, ფურც., 7).



ივანე ჯავახიშვილის მუზეუმის გახსნა სოფელ ხოვლეში

თუ თვალს გადავავლებთ 1918-1921 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მოღვაწეობას, რომლის დეკანიც 1919 წლიდან კორნელი კეკელიძე იყო, დავრწმუნდებით, თუ რაოდენ დიდი შრომა მიუძღვის მას „ქართული ეკლესიის ისტორიის, ზოგადად, სარწმუნოებრივ მეცნიერებათა, შესწავლის, ძველი ქართული საეკლესიო მწერლობის, როგორც სამეცნიერო დისციპლინების დამკვიდრების მიმართულებით უნივერსიტეტში“ (საქართველოს ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე 187, ფურც., 8-9). შეიძლება ითქვას, რომ ამ რთულ და საპასუხისმგებლო ამოცანას ქართული უნივერსიტეტის პროფესურამ ჩინებულად გაართვა თავი.

# ის ერთ-ერთი პირველი ესტუმრა ტყეში გაჭრილ ქაქუცა ჩოლოყაშვილს...

## რა დაამახსოვრდა 12 წლის კოტე ჩოლოყაშვილს

კოტე ჩოლოყაშვილი, პროფესორი:
— ივანე ჯავახიშვილი ბავშვობიდან მახსოვს. 12 წლისა ვიქნებოდი, როცა ჩემთან მოვიდა ჩემი უახლოესი მეგობარი თეიმურაზ დიდებულიძე და მითხრა, რომ მამამისი — ცნობილი ექიმი გიორგი დიდებულიძე თავისთან გვიბარებდა მე და ჩემს მეგობრებს: ბაადურ რაჭველიშვილს, ომარ მუსერიძეს და ვახტანგ ლებანიძეს. რა თქმა უნდა, სასწრაფოდ გამოვეწყვეთ და გავიქეცით. ბატონმა გიგუცამ, ასე ვეძახდით მას, ღიმილით მოგვახარა — ძალიან კარგ ადგილზე უნდა წაგიყვანოთო.

ალმოჩნდა, რომ იმ დღეს ბატონი ივანე ჯავახიშვილი სიტყვით უნდა გამოსულიყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, სადაც დიმიტრი ბაქრაძის საღამო იმართებოდა. გასვლამდე რამდენიმე წუთით ადრე გიგუცა ავადმყოფთან გამოიძახეს. მას არ შეეძლო ვინმესთვის, თუნდაც ასეთ დროს, დახმარებაზე უარის თქმა და, ცხადია, წამოსვლა ვერ მოახერხა, ჩვენ კი დაგვიბარა — ჩქარა წადით, ჯავახიშვილი რომ საუბარს დაიწყებს, იქ შესვლა შეუძლებელი იქნებაო.



გავიქეცით და პირდაპირ შევცვივდით მუზეუმის აუდიტორიაში, მაგრამ კაციშვილი არ ჭაჭანებდა — თურმე ხალხი გარეთ ელოდება ბატონ ივანეს...

ძალიან კარგად მახსოვს: კარი გაალო სიმონ ჯანაშიამ და შემობრძანდა საოცრად სხივმოსილი კაცი. ვისაც ივანე ჯავახიშვილი უნახავს, დამეთანხმება, რომ ამ ადამიანის სახეს რაღაც ნათელი ედგა. ბატონი ივანე დადგა ტრიბუნასთან და დიმიტრი ბაქრაძის დაკრძალვის თვითმხილველის სიტყვებით დაიწყო: როცა ჩვენ ვკრძალავდით დიმიტრი ბაქრაძეს, მას კი არ ვტიროდით, არამედ ჩვენს თავს, რადგან გვეგონა, საქართველოს ისტორიას ვმარხავდითო... ამ სიტყვებმა დარბაზზე ისე იმოქმედა, ხალხს თვალზე ცრემლი მოადგა.

სხვათაშორის, იმ ლექციაზე დასასწრებად, რომლის მსვლელობისას დიდი ივანე გარდაიცვალა, მეც წავედი, მაგრამ ვერ მივუსწარი...

დაკრძალვის დღეს უამრავი ხალხი მოაწყდა უნივერსიტეტს. ჩვენ შევძელით ვარაზისხევიდან, რომელიც მართლა ხევი გახლდათ, ამოვცოცებულიყავით უნივერსიტეტის ღობემდე. გამოსვენებისას კუბოს თავი ეჭირათ აკაკი შანიძეს და გიორგი ჩუბინაშვილს. დღემდე ცხადად მახსოვს ემოცია, რომელიც დამეუფლა შალვა დადიანის სიტყვებზე: „შაბაშ, სიტყვა, შაბაშ, კაცი, შაბაშ, თქვენი საქმე ქმნილი"...

**ივანე ჯავახიშვილი არ გახლდათ დიდი მეომარი კაცი, მაგრამ პრინციპული და მამაცი იყო. იქნებ ბევრმა არ იცის, რომ ის ერთერთი პირველი ესტუმრა ტყეში გაჭრილ ქაქუცა ჩოლოყაშვილს და ამით თავისი თანადგომა დაუდასტურა.**

კიდევ შემიძლია გავიხსენო ნახევრად მისტიური ამბავი, რომელიც ბატონი ივანეს გარდაცვალების შემდეგ მოხდა.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ვაწყობდით გამოფენას, სადაც, რა თქმა უნდა, ისტორიის კუთხეც უნდა გაკეთებულიყო. წინასწარი სამუშაოების დროს დასათვალიერებლად მობრძანდა მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი და ივანე ჯავახიშვილის თანამებრძოლი სიმონ ჯანაშია. გამოფენის კუთხე ისე იყო შერჩეული, რომ შემომსვლელი ვერ ხედავდა. ბატონმა სიმონმა გვთხოვა — ივანე ჯავახიშვილის სურათი წინა მხარეს დაკიდეთ, დამთვალიერებელი მაშინვე მიხვდება, რომ ისტორიის კუთხეაო. ჩვენ, რა თქმა უნდა, შევასრულეთ მისი მითითება. გასვლისას ბატონმა სიმონმა რამდენჯერმე გაგვაფრთხილა — ის ლურსმანი, რომელზეც გადაადგილებამდე ივანე ჯავახიშვილის ფოტო ეკიდა, ამოგვეღო. შევპირდით, მაგრამ საქმე გაგვიგრძელდა და... გადაგვავიწყდა. იმ ღამით ბატონი სიმონი გარდაიცვალა და ისე მოხდა, რომ იმ საბედისწერო ლურსმანზე მისი ფოტო დავკიდეთ...

წიგნის თარო

# დოკუმენტებში ამოკითხული ისტორია

## წიგნის „პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926" პრეზენტაცია

მანანა ჯურხაძე

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუძემდებლის ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 130-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებათა ნუსხაში ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი წიგნის — „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს 1917-1926 წლების სხდომათა ოქმები" პრეზენტაციას ეთმობა.*

წიგნი შეიძლება ფაქსიმილურ გამოცემად ჩაითვალოს, რადგან გამომცემლებმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუზეუმო სამსახურის უფროსმა ზურაბ გაიპარაშვილმა და სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა მანანა ლილუაშვილმა თავს უფლება არ მისცეს, გაესწორებინათ სხდომის მდივანთა მექანიკურად დაშვებული შეცდომებიც კი, მით უფრო არ შეასწორეს დიდ მეცნიერთა წერისა და მეტყველების მაშინდელი სტილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუზეუმო სამსახურის უფროსი ზურაბ გაიპარაშვილი:

**— საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარქივო ფონდი, რომელიც მრავალ უნიკალურ დოკუმენტს შეიცავს. რატომ შეაჩერეთ ყურადღება პროფესორთა საბჭოს სხდომების ოქმებზე?**

— მოგეხსენებათ, უნივერსიტეტის დაარსებისა და განვითარების ისტორიას არა ერთი მონოგრაფია, გამოკვლევა, საგაზეთო სტატია თუ ტელერადიო გადაცემა მიეძღვნა.

უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტის ისტორია გარკვეული დროისა და ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად იქმნებოდა. ვგულისხმობ, რომელიმე ეპიზოდის მიჩქმალვას ან საერთოდ, თავის არიდებას ისეთი თემების მიმართ, რომლებიც მავანთ საჩოთიროდ ეჩვენებოდათ, ან საბჭოთა რეჟიმის პირობებში მათ შესახებ საუბარი აკრძალული იყო. პროფესორთა საბჭოს სხდომების ოქმები კი მემატიანის სიზუსტით მოგვითხრობენ უნივერსიტეტში განხორციელებული ყველა, მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ღონისძიების შესახებ. ვფიქრობ, საზოგადოება უნდა გაეცნოს ერთერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს უნივერსიტეტის საარქივო მემკვიდრეობიდან. ამიტომაც გადავწყვიტე, მათი პუბლიკაცია.

**— სათაურიდან ჩანს, რომ წიგნი მოიცავს საუნივერსიტეტო ცხოვრების დეტალებს 1917 წლიდან 1926 წლამდე. საინტერესოა, როგორ წარიმართა უნივერსიტეტის დამფუძნებელთა წინა სამუშაო პერიოდი ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის გასახსნელად?**

— „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების" პირველი შეკრება 1917 წლის 12 მაისს პეტრე მელიქიშვილის ბინაში გაიმართა. კრებას 28 კაცი ესწრებოდა. სხდომას ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა.

უნივერსიტეტის დამფუძნებელთა მოღვაწეობა შემოდგომიდან უფრო ფართოდ გაიშალა. „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებისათვის" 1917 წლის 8 ოქტომბერი ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა. ამ დღეს დადგინდა გამგეობის შემადგენლობა, გადაიჭრა საუნივერსიტეტო ბაზის შექმნასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი.

1918 წლის 20 იანვარს „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების" გამგეობის სხდომაზე ივანე ჯავახიშვილმა კრებას აუწყა: ,,ქართული უნივერსიტეტის გახსნა პროფესორთა კოლეგიის თაოსნობით განსაზღვრულია 26 იანვრისათვის. 27 იანვრიდან კი მეცნიერების ტაძარში დაიწყება ლექციების კითხვა".

სტუმრების მიღება და დღესასწაულის ორგანიზატორობა ილია ჭავჭავაძის დისწულს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს კოტე აბხაზს უტვირთავს.

მოგეხსენებათ, უნივერსიტეტი 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა. ისიც ცნობილია, რომ ეს დამთხვევა შემთხვევითი არ ყოფილა, მას სიმბოლური დატვირთვაც ჰქონდა და მიანიშნებდა კიდეც, რომ უნივერსიტეტს დიდი ქართული საგანმანათლებლო ტრადიციები უნდა გაეგრძელებინა. ამ მოვლენას სამართლიანად ეწოდა „საქართველოს გონების სუვერენობის აღდგენა".

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ მეორემ უნივერსიტეტი აკურთხა და მომავლის გზა დაულოცა.

### პროფესორთა საბჭოში ჩინოვნიკების გამოჩენამ უნივერსიტეტის ავტონომიურობის პრინციპი შეასუსტა

**— უნივერსიტეტის მართვის უმაღლეს კოლეგიალურ ორგანოს პროფესორთა საბჭო წარმოადგენდა, საინტერესოა, რამდენი წევრი იყო საბჭოში და როგორ გადაწყვეტილებებს იღებდნენ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში — თაობების ბედის განსაზღვრაში?**

— უნივერსიტეტის არსებობის პირველივე დღეებიდანვე ახალგაზრდების ცოდნაზე მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები ზრუნავდნენ, დაიწყო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, კაბინეტ-ლაბორატორიები თანდათან მდიდრდებოდა დროის შესაბამისი უახლესი ტექნიკით, გაიზარდა ფაკულტეტების რაოდენობაც და სტუდენტთა კონტინგენტიც.

პროფესორთა საბჭოში, თავდაპირველად, მხოლოდ უნივერსიტეტის დამფუძნებლები იყვნენ. წლებთან ერთად, ბუნებრივია, მათი რიცხვიც გაიზარდა. საბჭოს წევრები გახდნენ ფაკულტეტების დეკანები, კათედრის გამგეები, პროფესორები, დოცენტები, მასწავლებლები, უმცროსი მასწავლებლები, და სტუდენტთა წარმომადგენლები. მოგვიანებით გამოჩნდნენ და უფრო მეტიც, პროფესორთა საბჭოს მუშაობაში აქტიურად




ჩაერთვნენ სახელმწიფო ჩინოვნიკები, პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, თვითონ იღებდნენ გადაწყვეტილებებს ან აიძულებდნენ საბჭოს წევრებს, მხარი დაეჭირათ მათთვის სასურველი გადაწყვეტილებების განხორციელებაში, რამაც, ბუნებრივია, თანდათანობით შეამცირა საბჭოს მუშაობის ეფექტურობა და მმართველობის ავტონომიური პრინციპიც შეასუსტა.

დადგა პერიოდი, როდესაც სხდომებს ჯავახიშვილი უკვე აღარ ესწრებოდა, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლებისათვის იგი მიუღებელი აღმოჩნდა.

1926 წლის 21 ივნისს, ახალი წესდების თანახმად, გაიმართა უნივერსიტეტის ახალი რექტორის და ახალი გამგეობის წევრების არჩევნები.

### ჯავახიშვილის წასვლის შემდეგ თბილისის უნივერსიტეტი რუსეთის დაბალი დონის უმაღლესი სასწავლებლის მოდელის მიხედვით გადააწყვეს

**— მართალია, წიგნი უპირველესად საინტერესოა წარსულის კვლევის თვალსაზრისით, მაგრამ უფრო მეტი დატვირთვაც ხომ არა აქვს, თუნდაც დღევანდელი რეფორმების პროცესში მყოფი უნივერსიტეტისათვის?**

— წიგნში უნივერსიტეტის ისტორია, დოკუმენტების მიხედვით არის მოთხრობილი, დაწყებული მისი დაფუძნებიდან, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის რექტორობიდან წასვლამდე. უნივერსიტეტის წესდებაში ჯავახიშვილს ბევრი ისეთი საკითხი ჰქონდა ჩადებული, რომელთა განხორციელება დღევანდელი რეფორმის პოლიტიკასაც ეხმიანება. მაგალითად, იმ პერიოდისათვის ქართულ უნივერსიტეტში, მსგავსად ევროპულისა, ერთი სამეცნიერო ხარისხი იყო მიღებული, კერძოდ, დოქტორის. პროფესორთა საბჭო უფლებამოსილი იყო, განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პიროვნებებისათვის დისერტაციის დაცვის გარეშე მიენიჭებინა მოძღვართმოძღვრის, ანუ დოქტორის ხარისხი. პროფესორად ისეთი მეცნიერი შეიძლებოდა ყოფილიყო არჩეული, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის ან უცხოეთის ერთ-ერთი უნივერსიტეტიდან იქნებოდა. მას აუცილებლად უნდა ჰქონოდა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო ნაშრომები. იმდროინდელი წესის თანახმად, ფაკულტეტის კომისია ფარული კენჭისყრით ირჩევდა მეცნიერს პროფესორად და შემდგომ მას საბჭო ამტკიცებდა. ახლადმოწვეული პროფესორი 5 წლის ვადით ითვლებოდა არჩეულად, ვადის გასვლის შემდეგ კვლავ იყრიდა კენჭს და ამჯერად ამ თანამდებობაზე 15 წლით ირჩევდნენ. დამსახურებულ პროფესორად იწოდებოდა პროფესორი, რომელსაც უნივერსიტეტში ოცწლიანი მოღვაწეობის გამოცდილება ჰქონდა. მართალია, უხუცესი პროფესორები დამსახურებულ პროფესორებად ითვლებოდნენ, მაგრამ ოცდაათწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, ისინი მოვალენი იყვნენ, კათედრა დაეტოვებინათ. რაც შეეხება პრივატ-დოცენტს, იგი შეიძლებოდა ყოფილიყო დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე მეცნიერი. საყურადღებოა ფაკულტეტების რაოდენობა. თავიდან მუშაობას შეუდგა ერთადერთი — სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი. 1918 წლის 30 იანვარს პირველი ლექცია ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა. ამ პერიოდში პროფესორ-მასწავლებელთა საერთო რაოდენობა 18 კაცს ითვლიდა, სწავლობდა 369 სტუდენტი და 89 თავისუფალი მსმენელი. ლექციების კითხვას არ მიანდობდნენ მეცნიერს, თუ მას გამოსაცდელ ლექციებს არ ჩაატარებინებდნენ.

დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ ივანე ჯავახიშვილისთვის მიუღებელი იყო უცხო ქვეყნის უმაღლესი სკოლის ფორმისა და შინაარსის პირდაპირი გადმოღება. ის თვლიდა, რომ სასწავლო პროცესებში უცხოური მოდელი ქართულ სინამდვილეს უნდა მორგებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, „განსაცდელში ჩააგდებდა ჩვენს უნივერსიტეტსა და მეცნიერებას".

მოგვიანებით, როდესაც იგი რექტორი აღარ იყო, დანანებით აღნიშნავდა: „უნივერსიტეტი, სამწუხაროდ, რუსეთის დაბალი დონის უმაღლესი სასწავლებლის მოდელის მიხედვით გადააწყვეს" და გულდაწყვეტილი ამბობდა: „დაიკარგა მთავარი არსი, რაც ჩვენ ჩავდეთო."

ამ დოკუმენტების მიხედვით კარგად ჩანს, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ფუძემდებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებას, რომ უნივერსიტეტი იყო ეროვნული იდეოლოგიის ბურჯი. ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამებრძოლებმა უნივერსიტეტი ჩამოაყალიბეს სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებად, რომელშიც საფუძველი ჩაეყარა და განვითარდა ქართული მეცნიერების მრავალი დარგი. თუ დაკვირვებით გავეცნობით ამ ოქმებს, წინაპართაგან ბევრი სასიკეთოს გათვალისწინება შეიძლება, როგორც უნივერსიტეტისათვის, ასევე, შესაბამისად, ქვეყნისთვის.

**— ალბათ, ძალიან საინტერესოა არქივში მუშაობა. თქვენ საშუალება გქონდათ შეხებოდით ჩვენი დიდი მეცნიერების — აკაკი შანიძის, იოსებ ყიფშიძის, კორნელი კეკელიძის, დიმიტრი უზნაძის, მიხაკო წერეთლის და სხვათა ხელნაწერ ფურცლებს...**

— მართალია, არქივში მუშაობა საინტერესოა, მაგრამ ამასთანავე, შრომატევადიც. ოქმების დიდი ნაწილი სწორედ იოსებ ყიფშიძის, აკაკი შანიძის, დიმიტრი უზნაძის, კორნელი კეკელიძის, მიხაკო წერეთლის ხელითაა შედგენილი. ნებისმიერი ადამიანისთვის, და მით უფრო უნივერსიტეტელისათვის, ამაღელვებელია ამ ლეგენდადქცეული ადამიანების ხელნაწერებთან შეხება, ხელნაწერებთან, რომლებიც, მემატიანის სიზუსტით გვიამბობენ, როგორ იქმნებოდა და ვითარდებოდა ჩვენი უნივერსიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ არქივის თანამშრომლებმა ტექსტების რესტავრაციაზე გულდასმით იმუშავეს, სიძველისაგან გაცრეცილი ფურცლები ბევრგან მაინც დაზიანებული აღმოჩნდა, ზოგან ტექსტი სრულიად გამქრალი იყო, ან გაჭირვებით იკითხებოდა.

მინდა, ვისარგებლო და მადლობა გადავუხადო ხელშეწყობისათვის საქართველოს საარქივო დეპარტამენტის, საქართველოს უახლესი ისტორიის, საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივებისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუზეუმო სამსახურის ყველა თანამშრომელს. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონებს — მარიამ ლორთქიფანიძესა და მზექალა შანიძეს გამოცემის რედაქტორებისა და რეცენზირებისათვის. წლების წინ, როდესაც მე მათი სტუდენტი ვიყავი, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე მათთან ერთად მომიწევდა მუშაობა, ეს ჩემთვის უდიდესი პატივია. ნებისმიერი მკვლევრისათვის ამ კეთილშობილ ქალბატონებთან და დიდ მეცნიერებთან ერთად წიგნის გამოცემა საოცნებო საქმეა, — მე ეს ოცნება ამიხდა.

# 18 ნოემბერს უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების დღე აღინიშნა

18 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დიდი ქართველი მეცნიერის, პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების დღე აღნიშნა.

თსუ-ს დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიის მოძღვარმა მამა კახაბერმა უნივერსიტეტის ეზოში ივანე ჯავახიშვილის საფლავთან სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა. მეცნიერის ხსოვნას პატივი მიაგეს მისმა შთამომავლებმა და ნათესავებმა, თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა.







პანაშვიდის შემდეგ თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი გიორგი ხუბუა ივანე ჯავახიშვილის შთამომავლებს და ნათესავებს შეხვდა. შეხვედრას თსუ-ს აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოსა და რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრები ესწრებოდნენ.

**„1921 წელს, როცა საქართველოში წითელი არმია შემოვიდა, ივანე ჯავახიშვილი სტუდენტებს მოუწოდებდა, დაეტოვებინათ ლექციები და წასულიყვნენ ფრონტის ხაზზე. დღეს ეს ფრონტის ხაზი უნივერსიტეტშიც გადის. შესაძლოა, ვიღაცას კიდევ აქვს ნოსტალგია საბჭოთა წარსულისადმი და იმედიც, რომ აქ ის დრო დაბრუნდება, მაგრამ უნივერსიტეტი დაუბრუნდება ევროპის საგანმანათლებლო ორბიტას. სწორედ ეს იყო უნივერსიტეტის დამფუძნებლების გეგმა. დარწმუნებული ვარ, ივანე ჯავახიშვილს არასოდეს ჰქონია თვითკმაყოფილების გრძნობა და მუდამ ფიქრობდა უნივერსიტეტის წინსვლაზე. ჩვენც ამ ტრადიციების ერთგული ვართ და თამამად აღვნიშნავთ, რომ უნივერსიტეტს შეუძლია მიიღოს დროის გამოწვევა, ფეხი აუწყოს თანამედროვე მოთხოვნებს. დღეს აქ სასწავლებლად ახალგაზრდების საუკეთესო ნაწილი მოდის, რომელიც მთელ თავის სამომავლო იმედებს უნივერსიტეტს უკავშირებს. ჩვენ უფლება არა გვაქვს, სტუდენტებს იმედები გავუცრუოთ"**, — ამ სიტყვებით მიმართა გიორგი ხუბუამ შეხვედრის მონაწილეებს.

რექტორის მრჩეველთა საბჭოს მხცოვანმა მეცნიერებმა: მზექალა შანიძემ, მარიკა ლორთქიფანიძემ, ოთარ ჯაფარიძემ და ჯუმბერ ჭუმბურიძემ ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები გაიხსენეს. ხოლო ივანე ჯავახიშვილის სიძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, თსუ-ს რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრმა, თამაზ გამყრელიძემ გაიხსენა, 1988-89 წლებში როგორ ეწინააღმდეგებოდა კომუნისტური ხელისუფლება და თსუ-ს პროფესორთა ნაწილი იდეას, პირველი ქართული უნივერსიტეტი ივანე ჯავახიშვილის სახელობისა ყოფილიყო.

თამაზ გამყრელიძის თქმით, კარგია, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი — უნივერსიტეტმა ყოველწლიურად აღნიშნოს ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების დღე.

ივანე ჯავახიშვილის შვილიშვილმა, თარხუჯ ჯავახიშვილმა გულისტკივილით აღნიშნა: „იმედია, დღევანდელი დღე მცირე როლს მაინც შეასრულებს იმ უაზრო და სულელური ჭორების გაქარწყლებაში, რასაც უნივერსიტეტის წინააღმდეგ ავრცელებენ, თითქოს პირველი და მეორე კორპუსები იყიდება და ივანე ჯავახიშვილის ცხედარი საფლავიდან უნდა ამოთხარონ. იქნებ ამ დღის შემდეგ ყველა დარწმუნდეს, რომ უნივერსიტეტის კაზინოდ გადაკეთებას და მისი დამფუძნებლების საფლავებიდან ამოღებას არავინ აპირებს".

შეხვედრის მონაწილეები დაეთანხმნენ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ გიორგი ხუბუას და პროფესორ მზექალა შანიძის აზრს, რომ სრულიად ბუნებრივია, თუკი დღეს, მნიშვნელოვანი რეფორმების ეტაპზე, უნივერსიტეტში იქნება აზრთა სხვადასხვაობა და ცხარე დისკუსია. მთავარია, საუნივერსიტეტო საზოგადოებამ არ დაკარგოს საერთოეროვნული მიზანი — უნივერსიტეტი იყოს ისეთი, როგორიც მის დამფუძნებელს, ივანე ჯავახიშვილს ჰქონდა წარმოდგენილი.

**თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

# ივანე ჯავახიშვილის ძეგლი უნივერსიტეტის ეზოში

## საუბარი ძეგლისა და ლექსის ავტორებთან

მაკა ლდოკონენი

უნივერსიტეტის ეზოში გამორჩეული და საპატიო ადგილი უჭირავს ივანე ჯავახიშვილის ძეგლს, რომლის ავტორი გახლავთ საქართველოს დამსახურებული მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე, პროფესორი თენგიზ ღვინიაშვილი.

**— ეს ძეგლი ჩემი სადიპლომო ნამუშევარი გახლდათ,** — იხსენებს ჩვენთან საუბარში ღვაწლმოსილი მოქანდაკე, **— ამით მსურდა გამომეხატა ჩემი უდიდესი მოწიწება და პატივისცემა ივანე ჯავახიშვილის პიროვნების მიმართ.**



ალბათ, ახალგაზრდა მოქანდაკის სადიპლომო ნამუშევარში ჩაქსოვილმა უდიდესმა განცდებმა განაპირობა ის ფაქტი, რომ ნიკო კეცხოველს ივანე ჯავახიშვილის სწორედ ეს ძეგლი მოსწონებია და შუამდგომლობა გაუწევია, იგი უნივერსიტეტის ეზოში, ივანე ჯავახიშვილის საფლავზე აღემართათ.

თვალი გადავავლოთ თენგიზ ღვინიაშვილის შემოქმედებას — ზაქარია ფალიაშვილის ძეგლი ბორჯომში, ილია ჭავჭავაძის ძეგლი ყვარელში, გიორგი ლეონიძისა — თბილისში, ნიკოლოზ ბარათაშვილისა — გორში; ასევე სხვა გამოჩენილ ქართველ ხელოვანთა თუ სახელმწიფო მოღვაწეთა პორტრეტები. მისი ნახატების გალერეაში ნათლად წარმოჩნდება ქართველი ინტელიგენციის მიმართ ხელოვანის განსაკუთრებული სულიერი განწყობა.

**ჩემს ბავშვობაში მთელი აქცენტი სსრკ-ს ისტორიის სწავლებაზე იყო გადატანილი, საქართველოს ისტორიას კი მხოლოდ ოჯახებში ასწავლიდნენ, სწორედ ჩემმა მამიდამ, ქალბატონმა ანა ღვინიაშვილმა ჩამინერგა განუსაზღვრელი სიყვარული საქართველოს ისტორიისადმი,** — იხსენებს ბატონი თენგიზი. მისი მეუღლე, ქალბატონი თათული მასხარაშვილი-ღვინიაშვილი კი ბავშვობაში ივანე ჯავახიშვილთან შემთხვევით შეხვედრის შთაბეჭდილებაზე მოგვითხრობს:

**— მერვე კლასში ვიყავი. ბაფთით თავზე, სასკოლო ფორმაში გამოწყობილი დედასთან სამსახურში, სახელმწიფო მუზეუმში მივიჩქაროდი. ზღურბლზე უნდა გადამებიჯებინა, როდესაც ივანე ჯავახიშვილი დავინახე და, რა თქმა უნდა, გზა დავუთმე. არაფრის დიდებით არ გამოვიდა შენობიდან, მე მოწიწებით ვიდექი, მაშინ ხელი მომკიდა, მუზეუმში შემიძღვა და მითხრა: რა ასაკშიც არ უნდა იყოს ქალი, მამაკაცმა ყოველთვის უნდა დაუთმოს გზაო.**

სამომავლოდ ივანე ჯავახიშვილის ეს ძეგლი თამაზ ჭილაძისათვის შთაგონების წყაროდ იქცა. ბატონი თამაზი უნივერსიტეტში 1949 წლიდან ამ სასწავლებლის აღზევებისა და განახლების ხანაში სწავლობდა. 1951 წლიდან სათავეში ედგა ნიკო კეცხოველის მიერ დაარსებულ ლიტერატურულ წრეს.

**— ამ წრეში გავერთიანდით ახალგაზრდა შემოქმედები, მომავალში 60-იანელებად რომ მოინათლა. ვუშვებდით ალმანახს „პირველი სხივი", და იქ ჩვენს ლექსებს ვაქვეყნებდით,** — იხსენებს ბატონი თამაზ ჭილაძე.

რაც შეეხება ლექსს — „ივანე ჯავახიშვილის ძეგლი უნივერსიტეტის ეზოში", პოეტს უძნელდება გადმოგვცეს ის ემოციები, ამ ლექსის შექმნას თავის დროზე რომ ახლდა და დღეს, წლების გადასახედიდან ორიოდე სიტყვით ასე გამოხატავს საკუთარ განწყობას:

**— განა შეიძლებოდა ივანე ჯავახიშვილზე ლექსი არ დამეწერა?!**

ლექსად თქმული

## ივანე ჯავახიშვილის ძეგლი უნივერსიტეტის ეზოში

გეხვევა ჭადრის ფოთლების სითბო,
ამდენი წყლული რამ დაგაჩნია.
ყველა ბრძოლაში დაეცი თითქო
და ყველა ბრძოლამ გადაგარჩინა!

მონღოლის ცეცხლით თმაგატრუსული,
აი, მობრუნდი ჩვენთან ისევე,
და ვიდრე სახლში შემოხვიდოდი,
თითქოს ეზოში ჩამოისვენე...

თამაზ ჭილაძე



## ივანე ჯავახიშვილს

როცა წარსულის სიღრმისაკენ ეტრატით ხელში
შებრუნდებოდი და შუქს ჰფენდი, როგორც მთოვარე,
მაგონდებოდა მე მშვენება ვახტანგ მეექვსის,
სამეფო კვერთხით სამეუფეო ტახტზე მჯდომარე.

როგორც მლოცველი, მზედალეულ ლანდთა მხილველი,
ძველს ქართულს სიტყვას მოუხმობდი, აბატონებდი,
და ნათლდებოდნენ შენს თვალებში გასაკვირველად
ქართლის ცხოვრების ფერწასული კაბადონები.

ფოთოლის გვარად ცახცახებდა ფურცელი ძველი,
რომ გაცოცხლება შენს ბაგეთა შიგან ელირსა:
ხან პატივაყრილ ქრისტეანთა ცრემლები მწველი
და ხან ჭიხვინი გამხეცებულ თემურლენგისა.

ვით ჯადოკაცი, უხსოვარი დროის უბეში
შეიჭრებოდი, რომ იქიდან გამოგეტანა
პერგამენტივით დახვეული ფიქრის ღრუბელი
და შემდეგ მაინც „კი მაგრამა" გეთქვა ნეტარად.

დახავსებული პალატები ერთხმად ამღერდნენ,
ოდეს უტყვ სულში ჩასწვდათ შენი ხმა უვნებელი,
ნათელო კაცო, სიკვდილის ფრთა ვერ დაგაბნელებს,
შენ საქართველოს ისტორიის ხარ რჯულმდებელი!

ნათელო კაცო, თუმც განხვედი და განისვენე,
შენი ჭაღარა ძველებურად ისევ კაშკაშებს,
ისევ კაშკაშებს და წიგნისკენ უხმობს ისევე
შავულვაშიან და შავგვრემან ქართველ ვაჟკაცებს.

როცა წარსულის სიღრმისაკენ ეტრატით ხელში
შებრუნდებოდი და შუქს ჰფენდი, როგორც მთოვარე,
მაგონდებოდა მე მშვენება ვახტანგ მეექვსის,
სამეფო კვერთხით სამეუფე ტახტზე მჯდომარე.

ლადო ასათიანი
1941 წელი

# ლადო გუდიაშვილის უკანასკნელი შთაგონება

გივი შეყილაძე



ამბავი, რომელსაც მოგითხრობთ, 30 წლის წინანდელია. ახლოვდებოდა დიდი ივანეს საუკუნოვანი იუბილე.

უნივერსიტეტში გამოითქვა სურვილი, ივანე ჯავახიშვილის სურათი დაგვეხატვინებინა. როდესაც რექტორატში ეს ითქვა, მორიდებით შევნიშნე: გუდიაშვილისთვის ხომ არ გვეთხოვა?

— კარგი იქნება, — მოიწონეს.

აღარ დამიყოვნებია და მხატვარს ვეახლე. მისმა მეუღლემ შეწუხებულმა მომიბოდიშა: ლადო ავად არის, დღენიადაგ წევს და, ალბათ, ვერ შეძლებსო.

მე არ მეთმობოდა მომავალი სურათი და თითქმის ხვეწნით ვთხოვე ქალბატონ ნინოს: მაინც უთხარით, უნივერსიტეტს თქვენი დახატული სურათი ჭირდებათქო. „ჭირდება“ ისეთი აქცენტით ნათქვამი გამომივიდა, მასპინძელი დაფიქრდა, შეყოყმანდა და მიპასუხა: — დარეკეთ ხვალ.

— ლადო დიდ უარზეა, ჩემთვის ძალზე ძნელია ბატონი ივანეს სურათის დახატვა, ვერ შევბედავო, ასეც რომ არ იყოს, ბატონ ივანეს მე როგორც წარმოვიდგენ, ვფიქრობ, ვერ მიმიხვდებიანო, — მიპასუხა მეორე დღეს ქალბატონმა ნინომ.

ვიგრძენი, ივანე ჯავახიშვილის პორტრეტის დახატვა ბატონი ლადოს დიდი ხნის სურვილი და ოცნება იყო. მხატვრის პასუხში ჩანდა მოკრძალება და თაყვანისცემა ერის სწორუპოვარი განმანათლებლისადმი. თუ ტილოზე პირველ ხაზს გაავლებდა, ვერავითარი ავადმყოფობა ვერ შეუშლიდა ხელს.

— იქნებ დავიყოლიოთ, პასუხისათვის მოვაკითხავთ, — ტელეფონში მოკლედ ვთქვი სათქმელი და დუმილის შემდეგ ქალბატონმა ნინომ მითხრა: — რა გაეწყობა, მობრძანდით.

ანაზდად უხერხულობა და შიში ვიგრძენი: კი, ბატონო, შევუკვეთე სურათი, დახატა გუდიაშვილმა, ერთიც ვნახოთ და არ მოეწონათ, თანაც ეჭვობს — ვერ მიმიხვდებიანო, მერე შრომის საფასურს ვინ გადაუხდის?

— ბატონი ლადო უარზეა, იქნებ ერთგვარი დელეგაციის სახით ვესტუმროთ და კიდევ ვთხოვოთ, — მოვახსენე პრორექტორს, ბატონ სერგოს.

მხატვარს ვეახელით — პრორექტორები სერგო ჯორბენაძე, ზურაბ ფორაქიშვილი, უნივერსიტეტის გამომცემლობის მთავარი რედაქტორი ნიკო ბერძენიშვილი და მე.

მაგრამ ტახტზე მოსვენებული ბატონი ლადო კვლავ უარზეა, ერთხელო, ადრე, დიმიტრი უზნაძის პორტრეტი შემიკვეთეს, მე როგორც ვხედავდი, ისე დავხატე და ვერ გამიგესო (ეს პორტრეტი ლადო გუდიაშვილის კატალოგის ერთერთი მშვენებაა). ახლაც შეიძლება ასე მოხდესო. ტორტით გაწყობილ სუფრაზე (გუდიაშვილები, როგორც წესი, ყოველთვის ტორტით მასპინძლობდნენ), ბატონ ზურაბ ფორაქიშვილს დიპლომატიის, სანათესაოს და ენაწყლიანობის მოშველიება დასჭირდა, რომ ბატონი ლადო დათანხმებულიყო.

მე ესკიზიც დახატული მაქვს, — მოულოდნელად თქვა მან და მეუღლეს გრაფიკული ჩანახატი გამოატანინა (იგი შემდეგ იქვე უსახსოვრა ბატონ სერგოს), ესკიზი მოიწონეს, აქეს და გათამამებულმა ბატონმა ლადომ დააბოლოვა: — სურათისათვის ტილოც მზად მაქვს. ისიც მეუღლეს გამოატანინა. და... ელდა მეცა, დაახლოებით 40X60 სანტიმეტრიან ჩარჩოზე გადაკრული ტილო. ეს უნივერსიტეტში საიუბილეოდ სხდომაზე გამოსაფენად ძალიან პატარაა, მაგრამ ვის კაბინეტს არ დაამშვენებს ლადო გუდიაშვილის სურათი?

კარგია, — მოიწონეს დელეგაციის წევრებმა. (არა და აშკარა შეუსაბამობა იყო იმასთან შედარებით, რაც გვჭირდებოდა).

— რამდენი უნდა გადავიხადოთ?

— არაფერი, — შეწუხდა დიდი მხატვარი, — მე ამაში უნივერსიტეტს ფულს არ გამოვართმევ.

და ამით დამთავრდა ვიზიტი ლადოს ოთახში.

საუბარი-მორიგება კი სალონში გაგრძელდა: თავად მხატვრის მეუღლეც დიდ უარზე იყო, ხოლო როცა აღარ მოვეშვით, გვითხრა: — სულ მცირე საფასური, ექვსას მანეთამდე... — ჩანდა, ძალიან ეძნელებოდა ამის თქმაც. — ხედავთ, ლადო ცუდად არის, წამალს, პატრონობას ფული სჭირდება და მხოლოდ ამისათვის და არა სურათის გასამრჯელოდ. ოღონდ ეს ლადომ არ გაიგოს...

რამდენიმე დღის შემდეგ ბატონი ივანეს სხვადასხვა პორტრეტები მომთხოვეს, ყური მოვკარი, ერთერთ ცნობილ მხატვარს აძლევენ მასალადო.

მერე გუდიაშვილი?

ათი დღის შემდეგ ქალბატონმა ნინომ შეგვატყობინა: სურათი მზად არისო. წამოვიღე, ჩავაბარე ბატონ სერგოს. ექვსასი მანეთი მისატანია. და აი, ხათაბალა: სურათი არ გამოგვადგება და ფულს ვერ გადავიხდითო.

შეწუხებულმა ბატონმა სერგომ მყისვე მონახა გამოსავალი (მას ასეთი სიტუაციებიდან თავის დაღწევის დიდოსტატად ვრაცხდი):

— ბატონო ნიკო, ბატონ ვალერიან გამყრელიძესაც (გამომცემლობის დირექტორი) ხომ უსრულდება მრგვალი თარიღი?

— ივანე ჯავახიშვილის სურათს გამომცემლობა შეიძენს და უსახსოვრებს ბატონ ვალერიანს, — მიუგო უმალ ნიკო ბერძენიშვილმა და ამით დასრულდა ყველაფერი.

მაგრამ არა ყველაფერი...

საიუბილეოდ პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში გამოიფინა მეორე ცნობილი მხატვრის ვეებერთელა ტილო, რომელიც უმალვე გადაიტანეს მაღლივ კორპუსში და, ჯერ, პირველ სართულზე, შემდეგ უფრო მოკრძალებულ ადგილას — მეორე სართულის კუთხეში მიუჩინეს ბინა. ბოლო დრომდე ინერციით იქ ეკიდა. მთავარი ისაა, რომ ნახატში გადახდილია უზარმაზარი თანხა.

ლადო გუდიაშვილის დახატული მშვენიერი პორტრეტი ინახებოდა ბატონ ვალერიან გამყრელიძის კოლექციაში. ამჟამად იგი მისი ვაჟის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის ბინას ამშვენებს, როგორც ხატი დიდი წინაპრისა. ბატონი თამაზის მეუღლე, ქალბატონი ნინო ხომ ივანე ჯავახიშვილის შვილიშვილია.

ლადო გუდიაშვილი ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა. ალბათ, ესაა მისგან დახატული ბოლო პორტრეტი. ალბათ, ივანე ჯავახიშვილი იყო მისთვის ბოლო შთაგონება.

გული მწყდება, რომ ის ნახატი ჩემი საკუთრება არაა (მაშინ 600 მანეთი ჩემთვის ფუჭი ოცნება იყო).

მაინც როგორი არის ეს სურათი? (გაზეთში გამოქვეყნებული შავ-თეთრი რეპროდუქცია ვერ შეუქმნის მკითხველს შესაბამის შთაბეჭდილებას).

უწმიდეს და უფაქიზეს ფრესკაზე ბატონი ივანეს სახეს ნათლის შარავანდედი ადგას. თვითონ სახე გასაოცარი და იდუმალი ათინათით განათებულა, სევდაშეზავებული ფერებითაა გაცოცხლებული.

და ბოლოს:

ეს წერილი მოკრძალებული მიზნით დაიწერა.

უბრალოდ შთამომავლობისათვის გავიხსენე ივანე ჯავახიშვილის ამ დიდებული პორტრეტის ისტორია.

ბლიცი

## სამარისებური სიჩუმე და ნაკუწებად ქცეული წერილი

მარიამ ლორთქიფანიძე, პროფესორი:

1939 წლის სექტემბერში, როდესაც უნივერსიტეტში ჩავირიცხეთ მე, ოთარ ჯაფარიძე, გივი კილურაძე და კიდევ რამდენიმე ჩვენი ამხანაგი, დავიწყეთ ლექციების ცხრილში ივანე ჯავახიშვილის ძებნა. გვეწყინა, რომ არც პირველ და არც მეორე კურსს ჯავახიშვილის ლექცია არ ჰქონდა, რადგან ის თურმე მესამე კურსიდან იწყებდა სპეციალური კურსების ჩატარებას. მალე გავარკვიეთ, ახლა რომ კორნელი კეკელიძის სახელობის კაბინეტია, იქ უკითხავდა იურისტებს ქართული სამართლის ისტორიას. მივედით და ვთხოვეთ მათ, მოეცათ საშუალება, რომ დავსწრებოდით ბატონი ივანეს ლექციებს.



თვალწინ მიდგას მისი აუდიტორიაში შემოსვლის სურათი — შემოვიდოდა დიდი სასმენი აპარატით და შავი „პორტფელით“, დადებდა ამ „პორტფელს“ მაგიდაზე, ამოალაგებდა ბარათებს (ბარათების სისტემა ჰქონდა), დაალაგებდა მაგიდაზე და იწყებდა ლექციის კითხვას — ჯერ დებულებას წამოაყენებდა და შემდეგ ამ ბარათებიდან წაიკითხავდა საილუსტრაციო მასალას — ვთქვათ, X დებულებას როგორ ასაბუთებს ვახტანგის სამართალი. ხდებოდა სხვაგვარადაც — თავდაპირველად წაიკითხავდა ბარათიდან ამონაწერს, შემდეგ იწყებდა მის განზოგადებას. ამით აჩვევდა სტუდენტებს, რომ უნდა ამოხვიდე წყაროდან და წამოაყენო დებულება, მაგრამ შეიძლება ჯერ დებულება ჩამოაყალიბო და შემდეგ დაასაბუთო წყაროებით.

მისი ლექცია ცოტა ძნელად მოსასმენი და რთული იყო. თანაც, ჩვენ მაშინ სამართლის ისტორიისა არაფერი გაგვეგებოდა, მაგრამ ძალიან პატიოსნად დავდიოდით და ვუსმენდით.

მახსენდება ერთი შემთხვევაც — ყოველი ლექციის ბოლოს რამდენიმე წუთს ტოვებდა შეკითხვებისთვის. რადგან ცუდად ესმოდა, გვთხოვდა, რომ შეკითხვები წერილობით მიგვეწოდებინა.

ერთ მშვენიერ დღეს მას გადასცეს რვეულის პატარა ფურცელი. ბატონმა ივანემ წაიკითხა — „არსებობს სტალინის მოძღვრება, რომ ქართველები ერად ჩამოყალიბდნენ XIX საუკუნის 60-იან წლებში, თქვენ კი საიდან იწყებთ ქართველი ერის ისტორიას?“ ხომ წარმოგიდგენიათ, რა სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა აუდიტორიაში?

ყველას ერთი ფიქრი უტრიალებდა — რა მოხდება? ბატონმა ივანემ წყნარად აიღო ეს ქაღალდი, დაკეცა, წვრილწვრილად დაანაკუწა, მელნის ჩასადგმელში ჩაყარა, ჩაალაგა თავისი ბარათები, მოჰკიდა „პორტფელს“ ხელი და გავიდა. გაოგნებულები გამოვედით გარეთ. მე, აღშფოთებულს იმით, თუ რატომ არ გასცა პასუხი, ჩემი მეგობრები მაწყნარებდნენ — ივანე ჯავახიშვილის საქციელი ამ სიტუაციაში ერთადერთი სწორი გამოსავალი იყოო. მერე და მერე მივხვდი, რომ, მართლაც, ეს ყველაზე მართებული ქმედება იყო — ჯავახიშვილმა ამ შეკითხვის ავტორი პასუხის ღირსადაც კი არ ჩათვალა. საბედნიეროდ, უკვე ჩავლილი იყო რეპრესიების ტალღა. თანაც ივანე ჯავახიშვილი აკადემიკოსი და უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო და ასეთი რამ აღარ ემუქრებოდა, თორემ ეს ამბავი რომ სათანადო ადგილზე მივიდოდა, ამაში ორი აზრი არ არსებობს.

ივანე ჯავახიშვილს მთელი ქალაქი აღმერთებდა. მახსოვს, როცა ვიღაცამ ხმა მოიტანა მისი გარდაცვალების თაობაზე, წამსვე, მთელი თბილისი ქუჩაში გამოეფინა...

მახსოვს მისი დაკრძალვა. მე და ჩემი მეგობარი ნიკო ქანთარია ერთი საათით ადრე გამოვედით სახლიდან, მაგრამ წყნეთის ქუჩას რომ მოვუახლოვდით, წინ წამოსვლა უკვე შეუძლებელი გახდა. ძლივს მოვახერხეთ უნივერსიტეტის ღობესთან მოსვლა. იმას აქეთ ვერაფრით შემოვაღწევდით. მახსოვს, როგორ გამოასვენეს და ისიც მახსოვს, რომ ჩვენს ირგვლივ ყველა — ქალიც და კაციც ქვითინებდა.

მთელმა ქართულმა ინტელიგენციამ დაიტირა ივანე ჯავახიშვილი, რადგან მას აიგივებდნენ ეროვნულობასთან. მისი დამსახურება იყო მოკრძალებული დამოკიდებულება ქართული უნივერსიტეტის მიმართ. მამაჩემიც კი, რომელსაც ეს უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია, მის წინ გავლისას ჩერდებოდა, ქუდს მოიხდიდა, თავს დაუხრიდა და შემდეგ აგრძელებდა გზას.

## ხვალიდან დავიწყებ ლექციის კითხვას საქართველოს ისტორიაში...

### ერთი ღამე მეტეხის ციხეში



ჯუმბერ ჭუმბურიძე, პროფესორი:

ივანე ჯავახიშვილის შრომებს მოწაფეობის დროიდან ვეცნობოდი. უნივერსიტეტში რომ ჩავირიცხე, მაინტერესებდა მისი მოსმენა. მართალია, ლექციებს ჩვენს ფაკულტეტზე არ კითხულობდა, მაგრამ იურისტებს უკითხავდა სამართლის ისტორიას და რამდენიმე ლექციას დავესწარი.

უნივერსიტეტს ახსოვს მეცნიერები, მაგალითად, შალვა ნუცუბიძე, რომელიც დიდი ორატორული ნიჭით გამოირჩეოდა, ბატონი ივანე კი პირიქით, საუბრობდა დინჯად, აუღელვებლად, ყოველგვარი ორატორული აქცენტების გარეშე, წინ ეწყო თავისი ნამუშევრები და ხანდახან ჩახედავდა ხოლმე. მისი ტონი იყო აკადემიური. საინტერესოდ, სიღრმისეულად და გასაგებად განიხილავდა ძალიან რთულ საკითხებს.

ივანე ჯავახიშვილი ჩემი ლექტორი არ ყოფილა, ამიტომ გასახსენებელი ცოტა მაქვს, მაგრამ შემიძლია გავიმეორო ჩემი მეგობრის, ცნობილი გერმანისტისა და შესანიშნავი ინტელიგენტის ბიძინა კონტრიძის მონათხრობი. იგი, თავისი აქტიური პოზიციის გამო ხშირად იყო რეპრესირებული. 1924 წელს, სხვა თანამოაზრეებთან ერთად, დააპატიმრეს და ჩასვეს მეტეხის ციხეში. ერთ საღამოს, თურმე, გაიღო კარი და შეიყვანეს ბატონი ივანე ჯავახიშვილი. ბიძინა იხსენებდა — წამოვხტით ყველა, შემოვესიეთ, საწოლი გავუმზადეთ, რაც შეგვეძლო ყურადღება გამოვიჩინეთ და მივუალერსეთ. ბატონმა ივანემ კი გვითხრა — ახლა გვიანია, დაძინების დროა, ნუ მივეცემით პესიმიზმს და უსაქმურობას, ხვალიდან დავიწყებ თქვენთან ლექციების კითხვას საქართველოს ისტორიაშიო.

მეორე დღეს, ყველასთვის გასახარად, ივანე ჯავახიშვილი გაუთავისუფლებიათ.

რედაქტორი ნინო კაკულია
ტექნიკური რედაქტორი გივი შეყილაძე
სტილისტი-კორექტორი მანანა ჯურხაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა რუსუდან ონეზაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
გია მაჩაბელი,
ზაზა ფირალიშვილი,
ვახტანგ გურული,
ნინო ჩიხლაძე,
ნოდარ ხადური
თემურ ნადარეიშვილი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ.1
22 10 34
www.tsu.ge
@newspaper@tsu.ge

საკონტაქტო ტელეფონები:

| | |
|---|---|
| რექტორის მისაღები | 22-51-07 |
| რექტორის მოადგილის მისაღები | 29-08-25 |
| საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური | 23-03-80 |
| საერთო განყოფილება (კანცელარია) | 23-39-16; 22-59-44 |
| სამუზეუმო სამსახური | 29-08-42 |